პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

3 ივლისი **შაბათი** 2010
№ 154 (13 142) ფასი 60 თეთრი

## 1/4 ფინალი

| 3 ივლისი, შაბათი. 18:00 | 3 ივლისი, შაბათი. 22:30 |
|---|---|
| **არგენტინა** | **პარაგვაი** |
| **გერმანია** | **ესპანეთი** |
| კეიპტაუნი | იოჰანესბურგი |

## 1/2 ფინალი

6 ივლისი, სამშაბათი. 22:30

**ურუგვაი**

**ჰოლანდია**

კეიპტაუნი

# ბრაზილია შოკშია




## ჰოლანდია ფინალს ხედავს

» გვერდი 2



## ნერვების თამაში კეიპტაუნში



## რა პირობა დადო ლარისა რიკელმემ?

დღევანდელი მატჩების წინ » გვერდი 3



## დუნგა წავიდა...

## კაპელო დარჩა

» გვერდი 2,7

## იოჰანესბურგის დრამა



## როცა ბომბარდირი მეკარედაცვარგა...

ურუგვაი-განა. მატჩის საკვანძო მომენტი. 120-ე წუთზე ლუის სუარესი ბურთს ხელით იგერიებს...



მერაბ ჟორდანია:

## მე და აბრამოვიჩი ახლა ერთად ვართ...

» გვერდი 9

# ისევ სუარესი, ამჯერად მეკარედ!

2 ივნისი. იოჰანესბურგი.
სოკერ სიტი. 84 000 მაყურებელი

## ურუგვაი–განა 1:1, პენ 4:2

**ურუგვაი:** მუსლერა - მ. პერეირა, ლუგანო (38. სკოტი), ვიქტორინო, ფუსილე - პერესი, რიოსი, ა. ფერნანდესი (46. ლოდეირო) - ფორლანი - კავანი (76. აბრეუ), სუარესი.

**განა:** კინგსონი - პეინტსილი, ჯონ მენსა, ფორსა, სარპეი - ინკოომი (74. აპია), ასამოა, ანანი, კ. ბოატენგი, მუნტარი (88. ადიია) - გიანი.

**გოლები:** 0:1 მუნტარი (45), 1:1 ფორლანი (55)

**პენალტების სერია:** 1:0 ფორლანი, 1:1 გიანი, 2:1 ვიქტორინო, 2:2 აპია, 3:2 სკოტი, ჯონ მენსა (მეკარე) მ. პერეირამ (ააცილა), ადიია (მეკარე), 4:2 აბრეუ

**გაფრთხილება:** ფუსილე (20), რიოსი (48), პეინტსილი (54), პერესი (60), სარპეი (77), მენსა (93)

**გაძევება:** სუარესი (120)

**გამოუყენებელი პენალტი:** ასამოა გიანი (120)

**მატჩი დაიწყო:** განა; **დარტყმა:** 15(7)-26(4); **ჯარიმა:** 23-23; **კუთხური:** 12-8; **ბურთის ფლობა:** 43%-57%.

**არბიტრი:** ოლეგარიო ბენკერენშა (პორტუგალია)

### საინტერესო მომენტები

18' - ურუგვაის ნაკრებმა კუთხური მოაწოდა, **ჯონ მენსას** ავტოგოლისგან თავისი გუნდი **რიჩარდ კინგსონმა** იხსნა.

22' - **დიეგო ფორლანმა** არაზუსტად დაარტყა.

26' - **ლუის სუარესის** ძლიერი დარტყმა კინგსონმა თითის წვერებით მოიგერია

30' - **აიზეკ ფორსას** თავური ოდნავ არაზუსტი გამოდგა.

32' - **ასამოა გიანმა კვადვო ასამოას** პასი მიიღო და მიზანს ოდნავ ააცილა.

38' - მატჩის დებიუტში დაშავებულმა **დიეგო ლუგანომ** ერთი პერიოდი კიდევ ითამაშა, მაგრამ მოედანზე დარჩენა მაინც ველარ შეძლო და შესაცვლელი შეიქნა.

44' - **კევინ-პრინს ბოატენგმა** „მაკრატელა" ააცილა.

45' - პირველი ტაიმისთვის დამატებული მეორე წუთი იწურებოდა, როცა **სალი მუნტარის** არცთუ საშიშ შორეულ დარტყმაზე ფერნანდო მუსლერამ რეაქცია დააგვიანა - 0:1.

55' - ფორლანმა ჯარიმა შესანიშნავად შეასრულა, მაგრამ მაინც უნდა ითქვას, რომ გოლი კინგსონის შეცდომით გავიდა - 1:1.

58' - გიანის დარტყმა მუსლერამ მოიგერია.

63' - ფორლანმა ჩააწოდა, სუარესმა ოდნავ ააცილა.

70' - კინგსონმა სუარესის მიერ ახლო მანძილიდან ძლიერად შესრულებული დარტყმა მოიგერია.

78' - ფორლანმა ჩააწოდა, სუარესის თავური კინგსონმა კუთხურზე მოიგერია.

82' - შეცვლაზე შესულმა **ნიკოლას ლოდეირომ** კონტრშეტევისას თანაგუნდელებისთვის პასის მიცემა არ ინება და ბურთი მიზანს ააცილა.

108' - ფორლანმა არაზუსტად დაარტყა.

112' - ურუგვაის ნაკრების კარში კინაღამ ავტოგოლი გავიდა.

119' - **კევინ-პრინს ბოატენგმა** თავური ააცილა.

120' - სუარესმა მეკარის როლი ითამაშა და თავისი გუნდი გარდაუვალი გოლისგან ხელით იხსნა. დამსახურებული გაძევება და სამართლიანი პენალტი ურუგვაელთა კარში.

120' - გიანის მიერ შესრულებული თერთმეტმეტრიანი ხარიხას მოხვდა და მსაჯის საფინალო სასტვენიც იქვე გაისმა.

განის ნაკრებს სულ ცოტა, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, რამდენიმე სანტიმეტრი დააკლდა სრულიად აფრიკული ფეხბურთის სარეკორდო მიღწევამდე. გუშინ საღამოს მიმდინარე მუნდიალის ჯერჯერობით ყველაზე დრამატული და განელთათვის ტრაგიკული მატჩი ვიხილეთ. ადამიანურად მართლაც უდიდეს თანაგრძნობას იმსახურებს „შავი ვარსკვლავების" ლიდერი, უმაღლესი დონის ფორვარდი **ასამოა გიანი**, რომელმაც სამხრეთ აფრიკაში თავისი გუნდისთვის არაერთი გადამწყვეტი გოლი გაიტანა და გუშინ ისტორიული მნიშვნელობის საგოლე დარტყმა გაუცუდდა. თუმცა ასეთია ფეხბურთი, ასეთი შეცდომა იშვიათად თუ ეპატიება ფეხბურთელსა და მის გუნდს და თუ ვინმეს ჰგონია, რომ მატჩისშემდგომი პენალტების სერია ლატარიაა, ეს სერია, რომელიც გიანის მიერ გაფუჭებული თერთმეტმეტრიანს ეგრევე მოჰყვა, სრულიად კანონზომიერი შედეგით დასრულდა – არავისთვის უნდა იყოს გასაკვირი, რომ მორალურად გატეხილმა აფრიკელებმა კიდევ ორი პენალტი გააფუჭეს (თუმცა გიანის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ რამდენიმე წუთის წინ განცდილი ტრაგედიის მიუხედავად, იგი ნიშნულთან მაინც მივიდა და მეორე ცდაზე ზუსტად დაარტყა).

ასე რომ, განის ნაკრებმა ვერ გააუმჯობესა კამერუნისა და სენეგალის ეროვნული გუნდების მიღწევა და ვერ გახდა პირველი აფრიკული გუნდი, რომელიც მუნდიალის ნახევარფინალში გაღწევას შეძლებდა. თავის მხრივ, ურუგვაელებმა საუკეთესო სამუნდიალო შედეგი აჩვენეს 1970 წლის შემდეგ. მაშინ მათ მსოფლიოს ჩემპიონატზე მეოთხე ადგილი დაიკავეს და ამ შედეგის გაუმჯობესებისთვის იბრძოლებენ. ზედმეტია იმის შეხსენება, რომ ურუგვაელები მსოფლიოს ორგზის ჩემპიონები არიან.

განა-ურუგვაის შეხვედრაში მხოლოდ ზემოთ ნახსენები ეპიზოდები არ ყოფილა საინტერესო. ყველაფერთან ერთად, ეს მატჩი უაღრესად შინაარსიანიც გამოდგა. თამაშის დებიუტი ურუგვაელთა უპირატესობით აღინიშნა, მაგრამ განელებმა პირველი ტაიმის დასკვნით ნაწილში თამაშის ხარისხი საგრძნობლად გააუმჯობესეს და ზედ შესვენების წინ **სალი მუნტარის** მიერ გატანილი გოლი სავსებით კანონზომიერი იყო. ამ უსიამოვნებასთან ერთად, ურუგვაელებს შეხვედრის პირველ ნახევარში კიდევ ერთი ცუდი ამბავი შეემთხვათ - კაპიტანი **დიეგო ლუგანო** დაკარგეს.

მეორე ტაიმის დებიუტიდანვე სამხრეთამერიკელებმა აქტიური თამაში შემოგვთავაზეს და **დიეგო ფორლანმა** ჩინებული საჯარიმო დარტყმით წონასწორობა აღადგინა. თუმცა მუნტარის გოლის მსგავსად, მეკარის შეცდომა აქაც აშკარა იყო.

მკითხველთა აბსოლუტურ უმრავლესობას ეს მატჩი ნანახი ექნება და ამიტომაც სხვა საინტერესო მომენტების აღწერით თავს აღარ შეგაწყენთ. მხოლოდ იმას ვიტყვით ხაზგასმით, რომ ორივე გუნდმა უმაღლესი დონის ფეხბურთი ითამაშა. ვერავინ იტყვის, რომ ურუგვაი ნახევარფინალში დაუმსახურებლად გავიდა, მაგრამ ეს პატივი განასაც არანაკლებ (იქნებ უფრო მეტადაც) ეკუთვნოდა. **მილოვან რაევაცმა** უდავოდ ძლიერი და სიმპათიური ფეხბურთის მოთამაშე გუნდი ჩამოაყალიბა, რომელსაც ახალგაზრდების სიმრავლიდან გამომდინარე, დიდი მომავალი აქვს.

ასამოა გიანსა და სხვა განელებს ნეიტრალური ქომაგისგან მხოლოდ და მხოლოდ საქებარი სიტყვები ეკუთვნით, მსოფლიოს ჩემპიონობისთვის ბრძოლას კი პირველი მუნდიალის გამარჯვებული აგრძელებს, რომლის ნევრებსაც მაღალ საშემსრულებლო ოსტატობასთან ერთად, მეტოქეზე მტკიცე ნერვები აღმოაჩნდათ. სხვებთან ერთად, გამარჯვებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის **ლუის სუარესს**, რომლის გმირობა სავსებით მოსალოდნელი იყო, მაგრამ არამც და არამც ამგვარი. თუკი მერვედფინალში ურუგვაიმ მისი დუბლით გაიმარჯვა, **ოსკარ ტაბარესის** გუნდს ამჯერად სუარესის სამეკარეო ნიჭი წაადგა.

### საუკეთესო მოთამაშე

დიეგო ფორლანი (ურუგვაი)

**სუარესის გმირობა უკვე ვახსენეთ, მთელი მატჩი მაღალ დონეზე ჩაატარა ასამოა გიანმაც, თუმცა საუკეთესოდ დიეგო ფორლანს ვასახელებთ, რომელმაც დიდებული გოლის გარდა, თავი გუნდის ლიდერისთვის საჭირო ყველა თვისებითაც დაგვამახსოვრა.**

### მატჩის შემდეგ

ოსკარ ტაბარესი (ურუგვაის ნაკრების მთავარი მწვრთნელი): **„უბედნიერესი ვარ. იმის მიუხედავად, რომ საუკეთესოდ არ გვითამაშია, მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში გავედით. ვამაყობ, რომ ასეთი მაღალი დონის და მტკიცე ფეხბურთელები მყავს. ჰოლანდიასთან მატჩშიც გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ".**

**ლევან ჯანეზაშვილი**

# ბრაზილია შოკშია, ჰოლანდია ფინალს ხედავს

2 ივლისი. პორტ ელიზაბეტი.
ნელსონ მანდელა. 42 000 მაყურებელი

## ჰოლანდია–ბრაზილია 2:1

**ჰოლანდია (4-2-3-1):** სტეკელენბურგი - ვან დერ ვილი, ჰეიტინგა, ოიერი, ვან ბრონკჰორსტი - ვან ბომელი, დე იონგი - რობენი, სნეიდერი, კუიტი - ვან პერსი (85. ჰუნტელაარი).

**ბრაზილია (4-3-1-2):** ჟულიო სეზარი - მაიკონი, ლუსიო, ჟუანი, ბაშტოში (62. ჟილბერტო მელო) - დანი ალვეში, ჟილბერტო სილვა, ფელიპე მელო - კაკა - რობინიო, ლუიშ ფაბიანო (77. ნილმარი).

**გოლები:** 0:1 რობინიო (10), 1:1 ფელიპე მელო (53-საკ. კარში), 2:1 სნეიდერი (68)

**გაფრთხილება:** ჰეიტინგა (14), ბაშტოში (37), ვან დერ ვილი (47), დე იონგი (65), ოიერი (76)

**გაძევება:** ფელიპე მელო (73)

**მატჩი დაიწყო:** ჰოლანდია; **დარტყმა:** 8(4)-13(4); **ჯარიმა:** 18-21; **კუთხური:** 4-8; **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**არბიტრი:** იუნიჩი ნიშიმურა (იაპონია)

### საინტერესო მომენტები

9' - **დანი ალვეში** მარცხენა ფრთიდან შეიჭრა ჰოლანდიელთა საჯარიმოში, რობინიოს გაუკეთა გადაცემა, რომელმაც პრაქტიკულად ცარიელ კარში გადაგზავნა ბურთი, თუმცა ლაინსმენმა თამაშგარე მდგომარეობა დააფიქსირა.

10' - **ფელიპე მელომ** მოედნის ცენტრში მიიღო ბურთი, თავი ასწია და გამჭოლი გადაცემით **რობინიო** ჰოლანდიელთა კიპერს პირისპირ შეჰყარა - ამ უკანასკნელმა ერთი შეხებით გადაგზავნა ბურთი მეტოქის კარში - 0:1.

27' - დანი ალვეშმა თავგზა აუბნია **დირკ კუიტს**, საჯარიმოში შემორბენილ **ჟუანს** ჩააწოდა, თუმცა მისი დარტყმული ასცდა **სტეკელენბურგის** კარს.

34' - რობინიო ორ მეურვეს გასცდა, შესანიშნავი გადაცემით **კაკა** მოძებნა, რასაც კარში დარტყმა და სტეკელენბურგის ჩინებული ნახტომი მოჰყვა.

37' - **ვესლი სნეიდერმა** დაახლოებით 30 მეტრიდან შეასრულა საჯარიმო დარტყმა და ჟულიო სეზარი დაეუფლა ბურთს.

45' - **დუგლას მაიკონი** ჩაერთო შეტევაში, კარგი პასიც მიუვიდა და დაარტყა კიდეც, თუმცა ოდნავ არაზუსტად.

53' - სნეიდერმა მეტოქის საჯარიმოში ჩაჰკიდა ბურთი, რასაც ჟულიო სეზარის და ფელიპე მელოს შეუთანხმებელი მოქმედება მოჰყვა. „იუვენტუსის" შუახაზელმა თავით გადაგზავნა ბურთი საკუთარ კარში და ანგარიში გათანაბრდა - 1:1.

60' - დანი ალვეშმა დაარტყა საშუალო დისტანციიდან და ოდნავ ასცდა ბურთი სტეკელენბურგის კარს.

65' - ჰოლანდიელთა საჯარიმოში შექმნილი არეულობის შემდეგ, ბურთი კაკას მიუვიდა, დაინახა ცარიელი კუთხე და დაარტყა კიდეც, მაგრამ მცირედით არაზუსტად.

68' - **არიენ რობენმა** კუთხური ჩააწოდა, დირკ კუიტმა შეუცვალა ბურთს მიმართულება, რასაც სნეიდერის საგოლე თავური მოჰყვა - 2:1.

83' - **რობინ ვან პერსი** აღმოჩნდა მეტოქის საჯარიმოში და შეეძლო დაერტყა, თუმცა თანაგუნდელს დაელოდა და ძალიან სახიფათო იერიში ჩააფლავა.

84' - კაკა შეიჭრა მარცხენა ფრთიდან ჰოლანდიელთა საჯარიმოში, დაარტყა კიდეც, თუმცა **ოიერი** გადაეფარა ბურთს და გუნდი გაშვებულ გოლს გადაარჩინა.

ბრაზილია მსოფლიოს ჩემპიონატს მეოთხედფინალურ ეტაპზე გამოეთხოვა და დუნგას სამშობლოში, რბილად რომ ვთქვათ, კრიტიკის ქარცეცხლში გაატარებენ. ბრაზილია არის გუნდი, რომლის მიზანი მხოლოდ და მხოლოდ ჩემპიონობაა და სხვა დანარჩენი ფიასკო. შესაბამისად, ჰოლანდიელებთან მარცხი და მუნდიალის ნაადრევად დატოვება სწორედაც რომ სრული ფიასკოა. საერთოდ, დუნგას იმად აკრიტიკებდნენ, რომ ზედმეტად პრაგმატულ და შედეგზე ორიენტირებულ ფეხბურთს ათამაშებდა შეგირდებს. ბრაზილიელებს სანახაობა უნდა და თითქოს, ამ კომპონენტში „სელესაო" მოიკოჭლებდა. ანუ, დაახლოებით ისეთი ატმოსფერო შეიქმნა მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონის გარშემო, როგორიც 1994 წლის მუნდიალის დაწყებამდე. **ალბერტო პარეირას** სწორედ იმის გამო აკრიტიკებდნენ, რომ ბრაზილიელები ევროპულ ფეხბურთს თამაშობდნენ. მაშინ, „სელესაო" მსოფლიოს ჩემპიონი გახდა და სიტყვა აღარავის დასცდენია, აი დუნგას კი, წესით, კარგი დღე არ უნდა დაადგეს.

მაგრამ, მეორე მხრივ, თუ გუშინდელ თამაშს კარგად გავიხსენებთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ბრაზილიას სულაც არ უთამაშია ზედაცვითი ფეხბურთი - არც შეტევაში აკლდათ სამხრეთამერიკელებს იმპროვიზაცია და კრეატივი. პირიქით, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ტექნიკური არსენალის დემონსტრირების თვალსაზრისით, ერთ-ერთი საუკეთესო თამაში ვიხილეთ და ეს სწორედ ბრაზილიელთა დამსახურება გახლდათ. განსაკუთრებით კარგი იყო პირველი ტაიმი, რომელიც სამხრეთამერიკელებმა დამსახურებულად მოიგეს.

რა მოხდა შესვენების შემდეგ? - დუნგამ თამაშის ტემპის დაგდება სცადა და ვფიქრობთ, აქ დაუშვა დიდი შეცდომა. ჰოლანდიელებმა ამოისუნთქეს, თითქოს თვალებში გამოიხედეს და მეტოქის ნახევარსაც გაუშინაურდნენ. შესაძლოა, ბრაზილიელთა კარში გატანილი გოლი ბევრს ალოგიკურად მოეჩვენა, მაგრამ თუ ზემოთ ნათქვამს გავითვალისწინებთ, ძალიანაც ლოგიკური იყო. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჰოლანდია მეტოქის ნახევარზე გადავიდა, ორი-სამი ნახევარმომენტი შექმნა, ერთი-ორჯერ საჯარიმოში ჩააგდო ბურთი და რა გასაკვირია, რომ ერთ-ერთ ასეთ ეპიზოდს გოლი მოჰყვა. გოლის აღწერას აღარ მოვყვებით, უბრალოდ აღვნიშნოთ, რომ ფელიპე მელომ ხაზი გადაუსვა ყველაფერ იმას, რაც პირველ ტაიმში გააკეთა - ჯერ საკუთარი კარი დალაშქრა, შემდეგ კი თავი გაიგდო. წყობიდან გამოსული მელო ადრეც არაერთხელ გვინახავს საკლუბო დონეზე ასპარეზობისას და როგორც ჩანს, ნერვები მთლად წესრიგში არ აქვს.

საერთოდაც, მას შემდეგ, რაც ბრაზილიელებმა გოლი გაუშვეს, უხეშობას უმატეს და აშკარად ნერვიულობა დაეტყოთ. რამდენჯერმე უმიზეზოდ გაიწიეს მსაჯზე, რამაც კიდევ უფრო დაამძიმა მათი მდგომარეობა - როდესაც, წყობიდან ხარ გამოსული, იქ რაიმე ღირებულის შექმნა ფაქტობრივად გამორიცხულია. გვრჩება შთაბეჭდილება, რომ ამაში ბრალი დუნგასაც მიუძღვის, რომელიც ზედმეტად ემოციურად იყო ჩართული თამაშში. როდესაც მის გუნდს დამაჯერებლად მიჰყავდა თამაში, მაშინაც თითქოს პანიკაში იყო. ფაქტია, რომ ეს შეგირდებზეც აისახა და ყველაფერ ამან, ბრაზილია სავალალო შედეგამდე მიიყვანა.

კიდევ რა შეიძლება ითქვას? - ის, რომ ფელიპე მელომ აშკარად წააგო დუელი ვესლი სნეიდერთან. მართალია, გენიალური საგოლე გადაცემა გააკეთა, მაგრამ „ინტერის" შემტევთან ვერაფერი გააწყო და ამ ორთაბრძოლაში აშკარად დამარცხდა. დუელი **ბაშტოშმაც** წააგო არიენ რობენთან და ამად შეცვალეს მეორე ტაიმში. ჰოლანდიელთა ლიდერმა მეორე ნახევარში გაილაღა და რამდენჯერმე დააწიოკა ბრაზილიელთა მარცხენა ფლანგი. ანუ, გამოდის, რომ ორ მეტად მნიშვნელოვან პოზიციაზე დუელი ჰოლანდიელებმა მოიგეს, რაც საბოლოო შედეგშიც აისახა. ბრავო **ბერტ ვან მარვიიკს** და მის ჰოლანდიას - გუნდმა მებრძოლ ხასიათთან ერთად კლასი გვიჩვენა და სრულიად დამსახურებულად გაიმარჯვა. „ნარინჯისფრები" ნახევარფინალში არიან და ეს უკვე წარმატებაა, თუმცა თუ ასე გააგრძელეს, ვინ იცის, იქნებ...

### საუკეთესო ფეხბურთელი

ვესლი სნეიდერი (ჰოლანდია)

**ჰოლანდიელთა რიგებში არაერთი ფეხბურთელის გამორჩევა შეიძლება - მაგალითად, სტეკელენბურგის, რომელმაც რამდენიმე რთული დარტყმა მოიგერია და კიდევ ერთხელ დაგვანახვა, რომ მაღალი კლასის კიპერია. თუმცა, საუკეთესო ფეხბურთელად მაინც ვესლი სნეიდერი უნდა დავასახელოთ, რომელმაც ფაქტობრივად გამოჭედა კიდეც ჰოლანდიელთა გამარჯვება. ჯერ ფელიპე მელოს გაატანინა ავტოგოლი, შემდეგ კი თავადაც შეაგდო და შეხვედრის საბოლოო ანგარიში დააფიქსირა. პრინციპში, შეგვიძლია პირველი გოლიც მას მივაწეროთ და ასეთ შემთხვევაში, სულაც დუბლის ავტორად გვევლინება. კიდევ არაერთხელ გამოავლინა უმაღლესი საშემსრულებლო ოსტატობა და შესაბამისად, ჩვენი არჩევანი მასზე შეჩერდა.**

### მატჩის შემდეგ

ბერტ ვან მარვიიკი (ჰოლანდიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი): **„პირველ ტაიმში, ვერ ვაჩვენეთ ის ფეხბურთი, რომელიც დავგეგმეთ, თუმცა დროთა განმავლობაში გამოვასწორეთ მდგომარეობა და მეორე ტაიმში უკვე საუკეთესო კუთხით წარმოვჩინდით. დავამტკიცეთ, რომ ნებისმიერი მეტოქის დამარცხება შეგვიძლია. მიზანი? - იმას ვიტყვი, რაც ჯერ კიდევ ჩემპიონატის დაწყებამდე განვაცხადე - ჩვენ შეგვწევს იმის ძალა, რომ მსოფლიოს ჩემპიონები გავხდეთ. როდესაც ეს პირველად ვთქვი, ბევრს სასაცილოდ არ ეყო. ბედნიერი ვარ, რომ სკეპტიკოსთა პროგნოზი არ გამართლდა".**



ვესლი სნეიდერის გოლი ბრაზილიელთა კარში

კარლოს დუნგა (ბრაზილიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი): **„რა თქმა უნდა, ძალიან საწყენია, რაც მოხდა. ნამდვილად არ ველოდით, თუ ასე განვითარდებოდა მოვლენები. ჩვენ ვმუშაობდით იმისთვის, რომ უკეთესი შედეგი გვქონოდა, მაგრამ ვიცოდით, რომ მძიმე მატჩი იქნებოდა. კარგი პირველი ტაიმის შემდეგ მეორე ნახევარი ძალიან ცუდი იყო. ვერ შევძელით პირველ ტაიმში აღებული ტემპისა და თამაშის მართვის სადავეების შენარჩუნება. თან 10 ფეხბურთელით მუნდიალის მეოთხედფინალში თამაში ძალიან ძნელია... მაგრამ ეს არ არის გასამართლებელი არგუმენტი. მე ვარ მწვრთნელი ამ გუნდის და ვიღებ პასუხისმგებლობას იმაზე, რაც მოხდა. ჩემი კონტრაქტის ვადა უკვე ამოიწურა და შემიძლია ვთქვა, რომ არ ვაპირებ მის გაგრძელებას. ამაყი ვარ, ეროვნული გუნდის გაძღოლა რომ მანდეს".**

**ლაშა ნიკლაური**

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ მასილაძე (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

მედია პალიტრის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალების და ფოტოების სხვა გამოცემაში და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

# ნერვების თამაში კეიპტაუნი

## არგენტინას შურისძიება უნდა, გერმანიას ძირითად დროში მოგება

3 ივლისი. კეიპტაუნი.
გრინ პოინტი. 18:00

**არგენტინა–გერმანია**

სავარაუდო შემადგენლობები

**არგენტინა (4-4-1-1):** რომერო - ოტამენდი, დემიკელისი, ბურდისო, ჰაინცე - ტევესი, ვერონი, მასკერანო, გუტიერესი (ან დი მარია) - მესი - იგუაინი.

**გერმანია (4-2-3-1):** ნოიერი - ლამი, მერტეზაკერი, ფრიდრიხი, ჟ. ბოატენგი - ხედირა, შვაინშტაიგერი - მიულერი, იოზილი, პოდოლსკი - კლოზე.

**არბიტრი:** რავშან ირმატოვი (უზბეკეთი)

გერმანიისა და არგენტინის ნაკრებ გუნდებს შორის ფსიქოლოგიური ომი ოთხშაბათს დაიწყო და ამის ინიციატორი ბუნდესგუნდის ლიდერი **ბასტიან შვაინშტაიგერი** გახლდათ, რომელმაც პრესკონფერენციაზე თქვა, რომ „ალბისელესტეს" ფეხბურთელები პროვოკატორები არიან, ბინძურ ფეხბურთს თამაშობენ და რომ გერმანიის ნაკრების ყველა ფეხბურთელი ფრთხილად უნდა იყოს. ზოგადად, ამ ორ საფეხბურთო ქვეყანას შორის ომი დიდი ხანია დაწყებულია და მას დიდი ისტორია აქვს, მაგრამ ახლა არგენტინისა და გერმანიის ძველი დაპირისპირებების გახსენებას არ ვაპირებთ, რადგან გულშემატკივრებისთვის ყველაფერი კარგად არის ცნობილი. ამ შემთხვევაში, მხოლოდ 2006 წლის მუნდიალი უნდა გავიხსენოთ, სადაც გერმანელები და არგენტინელები ერთმანეთს ასევე მეოთხედფინალში დაუპირისპირდნენ და ის მატჩი გერმანიამ პენალტების სერიაში მოიგო. სწორედ ამ თამაშიდან გამომდინარე საუბრობდა შვაინშტაიგერი იმაზე, რომ არგენტინელებისგან პროვოკაციებია მოსალოდნელი. 2006 წელს, საფინალო სასტვენის შემდეგ მოედანზე დიდი შეხლა-შემოხლა იყო, რაც არა მარტო შვაინშტაიგერს, არამედ დღეს მოედანზე გასასვლელი ფეხბურთელებიდან საკმაოდ ბევრს ახსოვს.

„ალბისელესტეს" მთავარმა მწვრთნელმა **დიეგო მარადონამ** შვაინის და ზოგადად მთელ საფეხბურთო გერმანიას პასუხი ორი დღის დაგვიანებით გასცა. დიეგომ თქვა, რომ გერმანელი ფეხბურთელის, ვინმე „სვეინსტეიგერის" მოსაზრებები საერთოდ არ აინტერესებს და თანაც, ბუნდესგუნდის ლიდერს მიმართა, რა იყო, ხომ არ ნერვიულობ, სანერვიულო კი ნამდვილად გაქვსო. მარადონამ ისიც თქვა, რომ არგენტინის ნაკრები შვაინშტაიგერს და მთელ გერმანიას საკადრის პასუხს დღეს, კეიპტაუნის სტადიონ „გრინ პოინტზე" გასცემს. მარადონამ დაიქადნა, არგენტინა შურს იძიებს გერმანიაზე იმისათვის, რომ ბუნდესგუნდმა 2006 წელს „ალბისელესტე" დაამარცხა.

ამის მეტი, ფეხბურთელებს და მწვრთნელებს ერთმანეთზე ცუდი არაფერი უთქვამთ. გერმანიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **იოახიმ ლიოვმა** წინასამატჩო პრესკონფერენცია გუშინ გამართა და „ალბისელესტე" ძალიან აქო. მან ისიც აღნიშნა, რომ შვაინშტაიგერმა თავისი მოსაზრებები გამოთქვა და რომ გერმანიის ნაკრებში თავისი აზრის გამოთქმა ნებისმიერ ფეხბურთელს შეუძლია.



*„ის, რაც შვაინშტაიგერმა თქვა, მისი აზრია, ჩვენს გუნდში კი აზრის გამოხატვის თავისუფლებაა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ გერმანიის ნაკრები არგენტინის ეროვნულ გუნდს პატივს არ სცემს. ბასტიანს ვეთანხმები იმაში, რომ არგენტინელები თამაშის დროს ხშირად აგრესიულები არიან და მთელ რიგ მომენტებში, ასე ვთქვათ, „არალეგალურად" თამაშობენ, მაგრამ ეს ზოგადად არგენტინის ნაკრების ერთ-ერთი პლუსია. ფეხბურთი ომია, ომში კი ყველაფერი მოსულა. მთავარი ის არის, რომ ჩვენ ყველაფრისთვის მზად უნდა ვიყოთ,"* - განაცხადა ლიოვმა.

ზოგადად, ლიოვი გუშინდელ პრესკონფერენციაზე ძალიან განტვირთული, მშვიდი და ასი პროცენტით კონცენტრირებული ჩანდა. მან თქვა, რომ ამ მატჩს გერმანიის ნაკრების თითოეული ფეხბურთელი მოუთმენლად ელის. ერთადერთი გერმანელი ფეხბურთელი, ვისი თამაშიც დღეს საეჭვოა, თავდამსხმელი **კაკაუ** გახლავთ. **ლუკას პოდოლსკი** და **მესუთ იოზილი** კი სრულიად ჯანმრთელები არიან.

ბუნდესმწვრთნელმა არგენტინის ნაკრების შემტევი სტილი შეაქო. მისი აზრით, დღევანდელ მატჩში მაყურებლები უაღრესად საინტერესო, ორმხრივ შეტევებს და საერთო ჯამში, ძალიან თვალსასეირო ფეხბურთს იხილავენ. *„არგენტინის ნაკრები მხოლოდ მესი არ არის. „ალბისელესტეში" ყველა ფეხბურთელი უმაღლესი კლასისაა,"* - თქვა ლიოვმა. მატჩის წინ, არგენტინული პრესა წერდა, რომ მარადონა დღეს გაცილებით ფრთხილ ტაქტიკას აირჩევს. ლიოვს არ სჯერა, რომ დიეგოს სტრატეგია დღეს უფრო ფრთხილი იქნება, ვიდრე წინა მატჩებში.

ლიოვმა და მისმა თანაშტაბელებმა არგენტინის ნაკრების მატჩების ვიდეო-ჩანაწერები დეტალურად გააანალიზეს და **იოგის** თქმით, იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ დღევანდელი „ალბისელესტე" ოთხი წლის წინანდელზე უფრო ძლიერი გუნდია. იოგი არც იმას მალავს, რომ დამატებითი დროისა და თერთმეტმეტრიანების სერიის პერსპექტივა არ ხიბლავს. მისი თქმით, ბუნდესგუნდი ყველაფერს გააკეთებს საიმისოდ, რომ თამაში ძირითად დროში მოიგოს.

რაც შეეხება არგენტინის ნაკრებს: „ალბისელესტეს" ბანაკიდან გუშინ კომენტარები არ გაკეთებულა. მარადონამ თავისი სათქმელი ჟურნალისტებს გუშინწინ უთხრა და ზემოთაც შეგახსენეთ, თუ რაზე ისაუბრა დიეგომ უმეტესად, გუშინ კი მიიჩნია, რომ ახალი არაფერი ჰქონდა სათქმელი. მას არც არგენტინული პრესის მიერ გავრცელებულ ცნობებზე (მარადონა გერმანიასთან უფრო ფრთხილ ტაქტიკას აირჩევსო) გაუკეთებია კომენტარი. ასე იქნება, თუ ისე, ფაქტი ის არის, რომ მარადონას გუნდი დაცვაში არ დადგება - ეს ასი პროცენტით გამორიცხულია. „ალბისელესტე" შეუტევს და აშკარაა, რომ არც გერმანიას სურს „მეორე ნომრობა". შესაბამისად, თამაში ძალიან საინტერესო უნდა გამოვიდეს. დიდი შანსია, რომ ეს იყოს ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში.

**გოტფრიდ ლენცი**

# ვილია რაულის რეკორდს უტევს

## რა პირობა დადო ლარისა რიკელმემ

3 ივლისი. იოჰანესბურგი.
ელის პარკი. 22:30

**პარაგვაი–ესპანეთი**

სავარაუდო შემადგენლობები

**პარაგვაი (4-4-2):** ვილარი - ბონეტი, ალკარასი, და სილვა, მორელი - ვერა, რივეროსი, კასერესი, ბენიტესი - სანტა კრუსი, ბარიოსი.

**ესპანეთი (4-3-2-1):** კასილიასი - ს. რამოსი, პიკე, პუიოლი, კაპდევილა - ჩავი, ბუსკეტსი, ჩაბი ალონსო - ინიესტა, ვილია - ტორესი.

**არბიტრი:** კარლოს ბატრესი (გვატემალა)



ლარისა რიკელმე პარაგვაელ ფეხბურთელებზე უფრო პოპულარულია

ფოტოზე **ლარისა რიკელმეა**, პარაგვაის ნაკრების ნომერ პირველი ფანი მუნდიალზე და სამხრეთ აფრიკაში მყოფ მშვენიერ ქალბატონთაგან ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული გულშემატკივარი, რომელიც Viva la albirroja!!!-ს შეძახილით იყოლიებს თანამემამულეებს, რიცხვმცირე, მაგრამ მეტად ხმაურიან პარაგვაულ დესანტს. არ ვიცით, რამდენად უშველის ამჯერად ლარისა „ალბიროხას", რომელმაც ისედაც ბევრს მიაღწია მუნდიალზე - მეოთხედფინალში გავიდა. პარაგვაის ნაკრები მუნდიალზე მერვედ არის და ეს გუნდის ყველაზე დიდი მიღწევაა, თუმცა 24 წლის ლარისა და კომპანია აღარ მალავს, რომ მათ მეტის მიღწევის იმედი აქვთ. მეტიც, ლარისა რიკელმემ, რომელიც სამშობლოში ცნობილი მოდელია, საჯაროდ დადო პირობა, რომ თუკი პარაგვაი მსოფლიოს ჩემპიონატს მოიგებს (?!), ის ქუჩაში დედიშობილა გაივლის (მხოლოდ ტანი ექნება მოხატული ეროვნული დროშის ფერებში). ასე რომ, **მარადონა** ნუდისტურ ზრახვებში მარტო არ არის...

პარაგვაის ნაკრები, რომ ხელწამოსაკრავი მეტოქე არ არის, ეს **ხერარდო მარტინოს** გუნდმა უკვე შესანიშნავად დაამტკიცა, როცა იმ ჯგუფში პირველი ადგილი მოიპოვა, სადაც მსოფლიოს ჩემპიონი თამაშობდა. თუმცა ესპანელებს მაინც გაუმართლდათ, მსოფლიოს ჩემპიონატის ამ სტადიისთვის მათი მეტოქე საკმაოდ სუსტია იმისათვის, რომ „ესპანური არმადის" შეჩერება შეძლოს. პარაგვაი პირველად თამაშობს მეოთხედფინალში, თავის მხრივ ესპანეთსაც არასოდეს გადაულახია ეს ეტაპი მუნდიალების ისტორიაში - მართალია, „ფურია როხას" საუკეთესო შედეგი მე-4 ადგილია (1950 წელს), მაგრამ ბრაზილიაში მსოფლიოს ჩემპიონი ფინალური ჯგუფური ეტაპით გამოვლინდა. პარაგვაის ძლიერი შემადგენლობა ჰყავს და, როგორც ჩილეს ნაკრები, ტაქტიკურად განსწავლული გუნდია. სამხრეთამერიკული გუნდი თამაშობს მინდვრის შუაში სამი საკმაოდ ღრმად შეწეული ნახევარმცველით, რომელთაც ძალზე ეფექტურად შეუძლიათ მეტოქის შეტევის ჩაშლა. დაცვის ხაზშიც ყველაფერი მწყობრშია, გუნდმა ტურნირზე ერთადერთი გოლი გაუშვა, ისიც იტალიელთაგან. აი, შეტევასა და შექმნაში კი გუნდი დიდად ვერ ყოჩაღობს, მაგალითად, იაპონიასთან მატჩში პარაგვაელთა პასების მხოლოდ 60 პროცენტი იყო ზუსტი. თუკი ოთხი მცველი და სამი უკან დახეული ნახევარმცველი ფუნქციებს თავს კარგად ართმევს, მათი კავშირი ორ ფორვარდთან საკმაოდ დისტანციური და არაეფექტურია. ნახევარდაცვაში ართმევაზე **ვერა, კასერესი** და **რივეროსი** თამაშობენ, შექმნაზე კი - **ედგარ ბენიტესი**. ბენიტესიც გარკვეულ იზოლაციაშია, ხოლო ფორვარდებს, **ბარიოსსა** და **სანტა კრუსს** ლამის ყველა სახიფათო მომენტის შექმნაზე ზრუნვა თავადვე უწევთ, მათ უკნიდან სათანადოდ ვერ ეხმარებიან.

პარაგვაი ამ პრობლემის გადასაჭრელად გრძელ პასებს იყენებს, რაც გუნდს კარგად კი გამოსდის, მაგრამ მაინც შეტევაში სამხრეთამერიკული ნაკრები ერთფეროვანია. ბარიოსი ძალზე ნიჭიერი ფორვარდია და მას შეუძლია **პიკესა** და **პუიოლს** პრობლემები შეუქმნას. ხერარდო მარტინოს შეტევაში რეზერვიც არ აქვს ურიგო: სკამზე ორი კარგი ფორვარდი ზის - **ვალდესი** და **კარდოსო**. როცა პარაგვაი შეტევაშია, 4-4-2 4-3-3-დ იქცევა, ამ დროს ბენიტესი მარცხენა ფლანგიდან უტევს. საერთო ჯამში პარაგვაის შეტევები მაინც ადვილად გამოსაცნობი სცენარით ვითარდება.

ესპანეთის ნაკრებს ტრავმის გამო **რაულ ალბიოლი** გამოაკლდა. მართალია, ალბიოლი ისედაც არ არის ძირითადის ფეხბურთელი, მაგრამ როცა ის თამაშობს, ეროვნული ნაკრები მხოლოდ იგებს (თუმცა ეს უბრალო დამთხვევაა). ვარჯიშზე კოჭის ტრავმა მიიღო **ხავი მარტინესმა**. **ჩაბი ალონსომ** და **ანდრეს ინიესტამ** შეძლეს პორტუგალიასთან თამაში, ამიტომაც **ვისენტე დელ ბოსკეს** ტაქტიკისა და შემადგენლობის შეცვლის მიზეზი არა აქვს (მხოლოდ ერთ პოზიციაზე საუბარი ცალკე მოგვიწევს). როცა ინიესტა თამაშობს, ესპანეთის ნაკრებს შექმნაში პრობლემები აღარ აქვს. დიდებულად ეხმარება შემტევებს **სერხიო რამოსიც**, რომლის სოლორეიდები და ჩაწოდებები ბევრ თავსატეხს უქმნის მეტოქე გუნდებს. თავისთავად რამოსის წინ წასვლა სივრცეებს ტოვებს დაცვაში, თუმცა ეს ისედაც მოსალოდნელი იყო.

მთავარი კითხვა იმ ფეხბურთელს შეეხება, რომელიც ევროტრიუმფის დროს „ფურია როხას" ლამის უმთავრესი იარაღი იყო - **ფერნანდო ტორესს**. „ელ ნინიო ფორმაში არაა, ესპანეთის ნაკრებმა მხოლოდ მას შემდეგ დაძლია პორტუგალიის ნაკრების წინააღმდეგობა, რაც ვისენტე დელ ბოსკემ მის ნაცვლად **ფერნანდო ლორენტე** შემოიყვანა. თითქოსდა ლორენტეს გამოყენება უპრიანი იქნებოდა, ჯერ ერთი, მან აჩვენა, რომ კარგ ფორმაშია, მეორეც სულ სხვა სტილის ფორვარდია, ვიდრე ტორესი და პარაგვაის დაცვის ხაზისთვის ამის გამოც უფრო მეტი პრობლემის შექმნა შეუძლია. ერთი ეგ არის - დელ ბოსკემ უკვე განაცხადა, რომ „ელ ნინიოს" კვლავაც ენდობა და სასტარტოდან მის ამოგდებას არ აპირებს. არადა ლორენტეს გამოყვანის შემთხვევაში რამოსის ჩაწოდებებს მეტი აზრი მიეცემოდა, რადგან ტორესი ხშირად ინერტული იყო ჩაწოდებებისას და რამოსმა არ იცოდა რა ექნა ბურთისათვის, **ვილია** ძალზე შორს იყო ფლანგზე მისგან. ლორენტემ რომ ითამაშოს, ესპანეთის ნაკრების ცენტრიდან შეტევის შესანიშნავი შანსიც გაუჩნდება, რადგან ბასკი კარისკენ ზურგით მდგომი შესანიშნავად თამაშობს და „იჭერს ბურთს".

დავიდ ვილიას ესპანეთის ნაკრებში 40 გოლი აქვს გატანილი, ორით ნაკლები, ვიდრე რეკორდსმენ **რაულ გონსალესს**. „ელ გუახე" დღეს რაულის რეკორდის დამხობას შეეცდება. ესპანეთისა და პარაგვაის ნაკრებები აქამდე სულ სამჯერ შეხვდნენ ერთმანეთს, ერთი მატჩი „ფურია როხამ" მოიგო, ხოლო 2 ფრედ დასრულდა, ბურთების შეფარდება 3:1-ია ევროპის ჩემპიონის სასარგებლოდ.

**ნელსონ ვალდესი** (პარაგვაი): *„ესპანეთის ნაკრებს განსაკუთრებული ფეხბურთელები ჰყავს, მაგრამ ჩვენ მუნდიალზე დავამტკიცეთ, რომ უკეთესად ფავორიტების წინააღმდეგ ვთამაშობთ. ჩვენ ჯერ არ ვაპირებთ სამხრეთი აფრიკიდან წასვლას, დაე, ეს მეტოქემ გააკეთოს. ხერარდო მარტინო ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელია იმათთაგან, ვისთანაც მიმუშავია".*

**ვისენტე დელ ბოსკე** (ესპანეთის ნაკრების მწვრთნელი): *„ჩვენი მთავარი ფორვარდი ფერნანდო ტორესია. მან უკვე ბევრი ითამაშა ამ მუნდიალზე და კიდევ მეტ დროს მივცემთ თავის გამოჩენისათვის. რა თქმა უნდა, ვიცი, რომ ფერნანდო ლორენტეს ბევრი სარგებლის მოტანა შეუძლია გუნდისთვის".*

**ფერნანდო ლორენტე** (ესპანეთი): *„დიდებული მომენტი იყო ჩემთვის, როცა მწვრთნელმა მოედანზე შესვლა მიბრძანა. ყველანი ძალიან დაძაბულები ვიყავით, განსაკუთრებით სათადარიგოთა სკამზე. მოედანზე გასვლისთანავე გაქრა ნერვიულობა, შევეცადე ჩემი შესაძლებლობები გამომეყენებინა გუნდის წარმატებისათვის. მას შემდეგ, რაც შვეიცარიასთან წავაგეთ, გუნდი უკეთესად ათამაშდა".*

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

„ლიგა"
სამკურნალო გაერთიანება
სექსოპათოლოგია
– ერექციის ხარისხის გაუმჯობესება
– სქესობრივი აქტის გახანგრძლივება
– ყველა სახის სექსუალური დარღვევის მკურნალობა
– სექსუალური წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა
ხელმძღვანელი პროფესორი არჩილ ბაქრაძე
მის: ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11 ☎ 32 21 21, 31 73 24

ინტერვიუ

# პელე
# მარადონა ცუდი მწვრთნელია!
## პელეს არც ბრაზილიის ნაკრები მოსწონს

**ბრაზილია მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონია, აქედან, სამჯერ პელესთან ერთად. მას ფეხბურთის მეფედ მოიხსენიებენ. ინტერვიუში, რომელიც 69 წლის ბრაზილიელს გერმანულმა ჟურნალმა „11 ფროინდემ“ ჩამოართვა, „ფეხბურთის მეფე“ „ფეხბურთის ღმერთად“ მიჩნეულ დიეგო მარადონას აკრიტიკებს და ზოგადად, მიმდინარე მუნდიალზე საუბრობს.**

**- პელე, ბრაზილია მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალში გავიდა, რაც, ალბათ ძალიან გიხარიათ...**

- რა თქმა უნდა. „სელესაოს“ გამარჯვება ჩემს მეგობრებთან ერთად ვიზეიმე, მაგრამ არა ისე გიჟურად, როგორც ამას ადრე ვაკეთებდი ხოლმე. დიდი ხანია, გამოვედი ისეთი ასაკიდან, როცა თითოეული გამარჯვება ბავშვივით გიხარია. ესეც რომ არ იყოს, მსოფლიოს მიმდინარე ჩემპიონატზე ბევრი რამ არ მომწონს.

**- სახელდობრ?**

- ზოგიერთი გუნდი ნერვებს მიშლის. მაგალითად, მსოფლიოს ჩემპიონატის წინ ყველა ამბობდა, კოტ დ'ივუარის ნაკრების ფეხბურთელები აფრიკელი ბრაზილიელები არიანო. ამ გუნდის მოთამაშეები ძალიან ტექნიკურ, შემტევ, ლაღ და თვალსასეირო ფეხბურთს გვპირდებოდნენ. არადა, ბრაზილიასთან მატჩში, ერთადერთი, რაც კოტ დ'ივუარის ნაკრებისგან დავინახე, უხეშობები და პროვოკაციები იყო.



ფეხბურთის მეფე ფეხბურთის ღმერთს აკრიტიკებს

**- მუნდიალზე მსაჯები ცუდად გამოიყურებიან და უკვე რამდენიმე ძალიან საკამათო ეპიზოდი ვიხილეთ, იყო ორი სკანდალიც - ინგლისს გერმანიის ნაკრების კარში გატანილი ასპროცენტიანი გოლი არ ჩაუთვალეს, არგენტინელ კარლოს ტევესს კი მექსიკის ნაკრების კარში ერთმეტრიანი თამაშგარე მდგომარეობიდან გატანილი გოლი ჩაუთვალეს.**

- მსაჯები შეცდომებს ყოველთვის უშვებდნენ და სანამ ფიფა ტექნიკას არ გამოიყენებს, ამ მხრივ არაფერი შეიცვლება. მე უფრო გაძევებებზე ვამახვილებ ყურადღებას, რასაც არანაირი ტექნიკა არ სჭირდება. ეს არის ეპიზოდები, რომლებიც მსაჯმა თვითონ უნდა დაინახოს და შეაფასოს. მაგალითად, მიმაჩნია, რომ არც მიროსლავ კლოზე იყო სერბეთთან მატჩში გასაგდები.

**- გერმანიის ნაკრების თამაშს როგორ შეფასებას მისცემთ?**

- აშკარად ჩანს, რომ ბოლო წლებში გერმანულმა ფეხბურთმა ძალიან დიდი პროგრესი განიცადა. გერმანიის ნაკრებმა ორი წლის წინ გამართულ ევროპის ჩემპიონატზეც ძალიან კარგი, შემტევი და სანახაობრივი ფეხბურთი ითამაშა. ახლა კი, ბუნდესგუნდში საერთოდ ახალი და ყველასათვის უცნობი ფეხბურთელები ბრწყინავენ. მაგალითად, იოზილი და კიდევ ის, რა ჰქვია?

**- მიულერს გულისხმობთ?**

- დიახ, დიახ, „ბაიერნში“ რომ თამაშობს, იმ მიულერს ვგულისხმობ. იცით, რომელ ფეხბურთელებს მაგონებენ იოზილი და მიულერი? ოვერატს და ლიტბარსკის. მათ დრიბლიორობაც შეუძლიათ, შესანიშნავი პასების ჩამორიგებაც და შეტევების დაგვირგვინებაც. მოკლედ, გერმანიის ნაკრების თამაშის ყურება დიდ სიამოვნებას მანიჭებს.

**- შაბათს გერმანია მეოთხედფინალში არგენტინას ხვდება და ფავორიტი უდავოდ არგენტინის ნაკრებია...**

- მე ასე არ ვიტყოდი. გერმანიას ყოველთვის ძლიერი გუნდი ჰყავს და როცა საჭიროა, გუნდი ძალიან კარგად თამაშობს ხოლმე. ინგლისთან მოპოვებული შესანიშნავი გამარჯვების შემდეგ, ნესით, არ უნდა ფიქრობდეთ, რომ ფავორიტი არგენტინაა. შანსები მინიმუმ თანაბარია. ყველაფერთან ერთად, გერმანია გუნდურ ფეხბურთს თამაშობს.

**- ...და თქვენი აზრით, ამ გუნდს მსოფლიოს ჩემპიონობა შეუძლია?**

- გერმანიას მუნდიალზე ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდული გუნდი ჰყავს. რამდენადაც ვიცი, 1934 წლის მუნდიალის შემდეგ ბუნდესგუნდი ასეთი ახალგაზრდული არ ყოფილა. შესაბამისად, ვფიქრობ, რომ ეს გუნდი ზედმეტად გამოუცდელია იმისთვის, რომ მსოფლიოს ჩემპიონი გახდეს, მაგრამ გამორიცხული არაფერია.

**- ანუ, თქვენ ფიქრობთ, რომ ჩემპიონი ბრაზილია გახდება?**

- ყოველ შემთხვევაში, ძალიან მინდა, რომ ასე მოხდეს, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ჩილე 3:0 დაამარცხეს, ბრაზილიის ნაკრების ასი პროცენტით მაინც არ მჯერა.

**- რატომ?**

- მე თვითონაც თავდამსხმელი ვიყავი და ყველა მატჩში გოლების მხოლოდ გატანა მინდოდა. ჩემთვის გოლის გატანა ყველაზე მთავარი იყო. ჩემს დროს „სელესაო“ ყოველთვის უტევდა და ჩვენი დევიზი მუდმივად ასე ჟღერდა: გავიტანოთ მეტოქეზე მინიმუმ ერთი გოლით მეტი. დღევანდელი ბრაზილია კი უმეტესად კონტრშეტევებით ცდილობს ფონს გასვლას და თამაშს ნაკლებად აკონტროლებს. „სელესაო“ ყოველთვის დომინანტის რანგში გვევლინებოდა ხოლმე და რაკი ახლა ასე არ არის, ვერ ვიტყვი, რომ ეს მომწონს.

**- ანუ, დუნგას სტილი არ მოგწონთ?**

- დუნგამ მითხრა, დაცვით ფეხბურთს კი არ ვთამაშობთ, ჩემი სტრატეგია კონტროლზეა დამყარებულიო, მაგრამ ერთი თავდამსხმელით თამაშის კონტროლი ვის გაუგია?

**- მაგრამ ამ მუნდიალზე ჩანს, რომ ასეთი სტრატეგია ამართლებს. თანაც, ბრაზილიას ლუიშ ფაბიანოსთან ერთად, რობინიოც ჰყავს, რომელიც ხშირად მეორე ფორვარდის როლს ასრულებს...**

- არც კაკა უნდა დაგვავიწყდეს, რომელიც მთელ რიგ შემთხვევებში თავდამსხმელის როლშია ხოლმე, მაგრამ დუნგა კაკასაც უკან ჩასვლას და დაცვისთვის მიხმარებას ავალებს. ასე იქცევა რობინიოც. შესაბამისად, დიდი დრო სჭირდება ხოლმე იმას, რომ რობინიომ და კაკამ ისევ მეტოქის ნახევარზე გადაინაცვლონ და ბურთი მეტოქის საჯარიმოსთან მიილონ. ასე რომ, საკმარისია ბრაზილია ისეთ გუნდს შეხვდეს, რომელიც დომინირებას ცდილობს, რომ ვფიქრობ, კაკას და რობინიოს მეტოქის საჯარიმოსთან საერთოდ ველარ ვიხილავთ და შესაბამისად, „სელესაო“ საგოლე მომენტებსაც ველარ შექმნის.

**- რომელი ნაკრები გესახებათ ასეთ გუნდად?**

- პირველ რიგში ესპანეთი და მერე გერმანია.

**- არგენტინა?**

- არა, არგენტინა ასეთად არ მიმაჩნია.

**- აქამდეც არაერთხელ გითქვამთ, რომ არგენტინის დღევანდელი ნაკრები არ მოგწონთ. მართლა ასე ფიქრობთ, თუ უბრალოდ დიეგო მარადონას ებრძვით?**

- მარადონასთან არანაირი პრობლემა არ მაქვს. უბრალოდ, ვფიქრობ, რომ ის ცუდი მწვრთნელია. მარადონას ცხოვრების წესი არავისთვისაა სამაგალითო და შესაბამისად, ასეთი ადამიანების ხელში გუნდები წარმატებებს ძალიან იშვიათად აღწევენ ხოლმე.

**- ჰო, მაგრამ დიეგოს გუნდი ძალიან კარგ ფეხბურთს თამაშობს და მეოთხედფინალშია.**

- იმიტომ, რომ არგენტინის ნაკრებს მსოფლიო დონის ვარსკვლავები ჰყავს, რომლებიც მწვრთნელის გარეშეც მიაღწევენ წარმატებას. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მათ ლიონელ მესი ჰყავთ, რომელიც მეტოქის მცველების ყურადღებას იქცევს და ამით სხვა, ასევე არანაკლებ ვარსკვლავებს თავისუფალ სივრცეებს უქმნის.

**- ფეხბურთელობის დროსაც ძალიან ბევრს ლაპარაკობდით ხოლმე...**

- იმიტომ, რომ ჩემი თანაგუნდელები მეტწილად დუმდნენ. ალბათ დღესაც ასეთი ვიქნებოდი.

**- რამდენად შეიცვალა ფეხბურთი?**

- დიდად ნამდვილად არ შეცვლილა. სპორტის ამ სახეობას ისევ 22 მოთამაშე თამაშობს, ბურთი ერთია, კარი კი ორი...

**- ნიუ იორკის „კოსმოსში“ თამაშისას, უკვე ისეთი მოშვებული იყავით, რომ ამბობენ, პელე ყოველი მატჩის წინ გასახდელში სამბას ცეკვავდაო...**

- მართალია, ასე იყო. გუნდში ძალიან ბევრი ევროპელი ფეხბურთელი გვყავდა, მათ შორის იყო ფრანც ბეკენბაუერიც. ევროპელები ყოველთვის უაღრესად კონცენტრირებულები იყვნენ და ჩუმად თამაშების წინ ტანსაცმელს იცვლიდნენ ხოლმე. ჰოდა, აუცილებელიც კი იყო, რომ ვინმეს ხეირიანად ემხიარულა. ამიტომაც ვცეკვავდი სამბას...

**- და ამაზე ბეკენბაუერს როგორი რეაქცია ჰქონდა ხოლმე?**

- ფრანცი არასდროს ამყოლია, ჩუმად იჯდა და მიყურებდა. ერთხელაც ხელი დავავლე და ძალით ვაცეკვე.

**- კარგად იცეკვა?**

- არა! თავიდან იდიოტურად იდგა და ოდნავ მოძრაობდა. მერე ვუთხარი, მოედანზეც ზუსტად ეგრე დგახარ-მეთქი და აშკარად გულზე მოხვდა, რადგან მერე ამოძრავდა. მოგვიანებით მან არაერთხელ დაამტკიცა, რომ რიტმს შესანიშნავად გრძნობდა.

**- ბეკენბაუერს გერმანიაში კაიზერს ეძახიან, რაც ფაქტობრივად მეფეს ნიშნავს. ფეხბურთის მეფე კი თქვენ ხართ. ფრანცს ადრინდელ ცელქობებზე დღესაც ესაუბრებით ხოლმე?**

- რა თქმა უნდა, მაგრამ ერთმანეთს „კაიზერით“ და „მეფეთი“ არ მივმართავთ. ფრანცი და მე ძალიან კარგი მეგობრები ვართ და რა თქმა უნდა, ხშირად ვსაუბრობთ. უმეტესად ერთმანეთის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, ოჯახებზე და რა თქმა უნდა, სამხრეთ აფრიკაზე.

**- ფეხბურთზე?**

- ფეხბურთზეც, მაგრამ სხვაც ბევრია სალაპარაკო. ფეხბურთზე საუბარი ცოტათი მოგვბეზრდა კიდეც, რაც, ვფიქრობ, გასაკვირი სულაც არ არის...

მუნდიალს მიღმა

ტრანსფერი

# გადაწყდა: ფრიდრიხი მგელია!
## არნემ ვოლფსბურგთან სამწლიანი კონტრაქტი შეათანხმა

როგორც მოსალოდნელი იყო, ბერლინის „ჰერტას“ და გერმანიის ნაკრების მცველმა **არნე ფრიდრიხმა** მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითებული კლუბი დატოვა და კარიერას „ვოლფსბურგში“ გააგრძელებს. გერმანიის ექსჩემპიონმა ფრიდრიხის ტრანსფერი გუშინ ოფიციალურად დაადასტურა. როგორც კი არნე სამხრეთ აფრიკიდან სამშობლოში დაბრუნდება, მაშინვე „ვოლფსბურგში“ ჩავა და „მგლებთან“ სამწლიან ხელშეკრულებას გააფორმებს. „ჰერტა“ და „ვოლფსბურგი“ უკანასკნელ დეტალებზე ხუთშაბათს შეთანხმდნენ.

„კიკერის“ ინფორმაციით, „ვოლფები“ დედაქალაქელებს ორ მილიონ ევროს გადაუხდიან. მსოფლიოს ჩემპიონატის წინ 33 წლის მცველის ფასი ერთი მილიონი იყო, მაგრამ იმის გამო, რომ არნე მუნდიალზე შესანიშნავად ასპარეზობს, ფასი გაორმაგდა.

*„მიხარია, რომ ტრანსფერი გადაწყდა და არნე ფრიდრიხი „ვოლფსბურგში“ ირიცხება. ეს არის ფეხბურთელი, რომელიც ძალიან გვჭირდებოდა. ფრიდრიხი თავის მაღალ კლასს მსოფლიოს ჩემპიონატზე კიდევ ერთხელ ამტკიცებს. მიუხედავად იმისა, რომ „ჰერტაში“ არც ისე კარგი სეზონი ჰქონდა, მის შესაძლებლობებში ეჭვი არასდროს შეგვპარვია,“* - უთხრა „ვოლფსბურგის“ მენეჯერმა **დიტერ ჰიონესმა** „კიკერს“. არნე ფრიდრიხი დღეს, არგენტინასთან თავის 77-ე სანაკრებო მატჩს ჩაატარებს. ბუნდესლიგაში მას „ჰერტას“ მაისურით 231 მატჩი აქვს ჩატარებული.



არნე ფრიდრიხი კარიერას „ვოლფსბურგში“ გააგრძელებს

შალკე

# მაგათმა სანჩესი მოიშორა
## შალკეში შემცირებები დაიწყო

გელზენკირხენის „შალკეს“ მთავარ მწვრთნელ **ფელიქს მაგათს** გუნდში ძალიან ბევრი ფეხბურთელი დაუგროვდა და არცაა გასაკვირი, „დესპოტმა ფელიქსმა“ ტრანსფერებთან ერთად, მოთამაშეების მოშორებაზეც რომ დაიწყო ზრუნვა. ამ მხრივ პირველი ნაბიჯი უკვე გადადგმულია: როგორც „შალკეს“ ოფიციალური ვებ-გვერდი იტყობინება, გელზენკირხენულმა კლუბმა ურუგვაელ თავდამსხმელ **ვისენტე სანჩესს** 2011 წლამდე გაფორმებული კონტრაქტი გაუწყვიტა.

სანჩესი, რომელსაც ურუგვაის ნაკრებში 31 მატჩი აქვს ჩატარებული და მსოფლიოს ჩემპიონატზე არ წაიყვანეს, „შალკეში“ 2008 წლის იანვრიდან თამაშობდა. ამ ხნის განმავლობაში მან გუნდის ძირითად შემადგენლობაში ადგილის დამკვიდრება ვერც ერთი მწვრთნელის (სლომკა, ბიუსკენსი, რუტენი, მაგათი) ხელში ვერ შეძლო. „ხუმარებმა“ სანჩესში თავის დროზე ერთი მილიონი ევრო გადაიხადეს და ის მექსიკური კლუბიდან, „დეპორტივო ტოლუკადან“ იყიდეს. ვისენტე სანჩესმა ბუნდესლიგაში ჩატარებული 50 მატჩიდან მხოლოდ 22-ში ითამაშა სასტარტო შემადგენლობაში და სულ რაღაც სამი გოლის გატანა შეძლო (სამი საგოლე პასი), რაც, თავდამსხმელის კვალობაზე, დაგვეთანხმებით, ძალიან ცუდი შედეგია. ჯერჯერობით უცნობია, სად გააგრძელებს კარიერას 30 წლის ურუგვაელი ფორვარდი.

ტრანსფერი

# დრობნი ჰამბურგისკენ, რა ეშველება როსტს?

„ჰამბურგის“ ხელმძღვანელები მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითებული ბერლინის „ჰერტას“ მეკარე **იაროსლავ დრობნის** ყველაფერზე შეუთანხმდნენ და გადაწყვეტილია, რომ ჩეხი მეკარე ბერლინიდან ჰამბურგში უფასოდ გადავა, რადგან მას „ჰერტასთან“ კონტრაქტი დაუმთავრდა. მოგეხსენებათ, „ჰამბურგის“ კარს ვეტერანი **ფრანკ როსტი** (37 წლის) იცავს. დრობნის სათადარიგოთა სკამზე ჯდომის პერსპექტივა არ ხიბლავს. მან „ჰამბურგის“ გამო არაერთ წინადადებაზე თქვა უარი და ფაქტია, რომ ჩრდილოგერმანული კლუბის ახალი მწვრთნელი **არმინ ფეე** პირველ მეკარედ სწორედ დრობნის მოიაზრებს.

გვერდი მოამზადა **გოტფრიდ ლენცმა**

სიახლე თიაქრის მკურნალობაში




საყლაპავის და მუცლის თიაქრების
მკურნალობა ლაპარასკოპული მეთოდით
კონსულტაცია უფასოა
მედ. მეც. დოქტორი თენგიზ ჩართოლანი
ტელ: 77-19-06; 899 56-13-71; 33-78-74 (სახლი)
ჯანმრთელობის სახლი, „არამიანცის“ საავადმყოფო

მუნდიალს მიღმა

## მოკვეთავს ბლანი ევრას?

**ლორან ბლანი** უკვე ოფიციალურად გახდა საფრანგეთის ნაკრების ახალი მწვრთნელი. სამხრეთაფრიკული ფიასკოს შემდეგ ბლანის მისია გაცილებით საპასუხისმგებლოა - მან არა მხოლოდ შედეგები უნდა გამოასწოროს, არამედ უნდა იზრუნოს იმაზეც, რომ გუნდში ელემენტარული საურთიერთობო კლიმატი გაჯანსაღდეს.

საფრანგეთის ნაკრებში მომხდარ სკანდალზე ბევრი დაიწერა და კიდევ დაიწერება. ახლო წარსულის ფრანგული ფეხბურთის ვარსკვლავები ბოლოდროინდელ ამბებზე კომენტარებს არ იზარებენ. ვნახოთ, რას ფიქრობს მსოფლიოს ჩემპიონი **ლილიან ტურამი**, რომელიც გუნდის კაპიტან **პატრის ევრას** საქციელზე ამახვილებს ყურადღებას. სხვათა შორის, საფრანგეთის საფეხბურთო წრეებში მუსირებს აზრი, რომ ევრას არათუ კაპიტნობა უნდა ჩამოერთვას, საერთოდ უნდა აეკრძალოს ნაკრებში თამაში. აი, ტურამის აზრიც:

*„მე ვითხოვ, ნაკრებიდან მოიკვეთოს პატრის ევრა, თან ისე, რომ არასოდეს დაბრუნდეს ეროვნულ გუნდში. როცა კაპიტანი ხარ, უნდა გესმოდეს, რომ გაცილებით მეტზე აგებ პასუხს, ვიდრე უბრალოდ სამკლავურის ტარებაა. პატივს უნდა სცემდე ეროვნული გუნდის მაისურასა და ხალხს".*

შემდეგ ტურამი ეხება საერთო პრობლემას: *„როცა ფეხბურთელები სხდებიან ავტობუსში და მწვრთნელს გარეთ ტოვებენ, ეს მიუთითებს იმაზე, რომ მწვრთნელს ელემენტარულ პატივს არ სცემენ. მეორე მხრივ, აქედან ჩანს, რომ ფეხბურთელებს რალაც-რალაცები არ ესმით. ნაკრებში ძალაუფლება აიღეს სწორედ ფეხბურთელებმა და ეს იმიტომ მოხდა, რომ ფეხბურთის ფედერაციამ მართვის სადავეები ხელიდან გაუშვა. რაიმონ დომენეკი უბრალოდ ფედერაციის მსახურად იქცა. მას რომ არ გაეკეთებინა ის, რასაც ფეხბურთის ფედერაცია უბრძანებდა, პოსტს დაკარგავდა".*

ვნახოთ, გაითვალისწინებს თუ არა ბლანი ყოფილი თანაგუნდელის რჩევებს.

## რეალის შეთავაზება: გაგო მაიკონის სანაცვლოდ

სამეფო კლუბი, რომლის უმთავრესი სატრანსფერო ამოცანა **მაიკონის** გადაბირებაა, „ინტერს" მის ნაცვლად არგენტინელ **ფერნანდო გაგოს** სთავაზობს – ცხადია, სოლიდური თანხის დამატებით. „ინტერის" პრეზიდენტმა მასიმო მორატიმ რეალელ კოლეგა **ფლორენტინო პერესს** ბრაზილიელი მარჯვენა მცველის სანაცვლოდ 35 მილიონი ევრო მოსთხოვა, პერესი კი ჯერჯერობით, მხოლოდ 25 მილიონის გადახდაზეა ყაბულს. მართალია, მილანელთა ახალ მთავარ მწვრთნელ **რაფაელ ბენიტესს** საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე გაგოს თანამემამულე **ხავიერ მასკერანოს** დამატება ურჩევნია, მაგრამ თუ ბენიტესის ყოფილმა კლუბმა ლივერპულმა მასკერანოს გაყიდვაზე უარი თქვა, მაშინ ესპანელი სპეციალისტი ალბათ, გაგოს ვარიანტზე გადაერთვება.

## აბეტემ სკამი შეინარჩუნა

„სკუადრა აძურას" სამუნდიალო ფიასკოს შემდეგ ლამის მთელი იტალია მოითხოვდა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ **ჯანკარლო აბეტეს** გადადგომას, მაგრამ გუშინ ცნობილი გახდა, რომ ეს უკანასკნელი თანამდებობას ინარჩუნებს. მისდამი მთავარი პრეტენზია ისაა, რომ **მარჩელო ლიპის** ხელმეორედ გამწვრთნელების იდეის ინიციატორი გახლდათ.

## იტალიაში არაევროკავშირელებს შეამცირებენ

იტალიის ფეხბურთის ფედერაცია ეროვნული ნაკრების წარუმატებლობის ერთ-ერთ მიზეზად უცხოელების, კერძოდ კი არაევროკავშირელ ფეხბურთელთა მოზღვავებას მიიჩნევს. ვერ გეტყვით, რამდენად ზუსტია მსგავსი დიაგნოზი, თუმცა არაევროკავშირელთა შეკვეცა უკვე ფაქტია - გადაწყდა, რომ მომავალი სეზონიდან იტალიურ კლუბებს უფლება ექნებათ, დაარეგისტრირონ მხოლოდ ერთი არაევროკავშირელი, ნაცვლად ორისა, როგორც ეს ბოლო ხანებში იყო.

## იუვემ მოტა გადაიბირა

„უდინეზეს" მცველი **მარკო მოტა** „იუვენტუსის" მეხუთე საზაფხულო შენაძენი გახდა. შეგახსენებთ, 25 წლის მოტამდე „ბებერმა ქალბატონმა" კონტრაქტები **სიმონე პეპეს, ლეონარდო ბონუჩის, მარკო სტორარისა** და **ხორხე მარტინესს** გაუფორმა.

## მუხა ევერტონელია

სლოვაკეთის ნაკრების წარმატებულ სამუნდიალო გამოსვლას მოჰყვა პირველი პრაქტიკული შედეგი. ამ გუნდის ძირითადი მეკარე **იან მუხა** კარიერას ინგლისურ „ევერტონში" გააგრძელებს. იგი აქამდე პოლონური „ლეგიას" ღირსებას იცავდა.

მოამზადა
**ლევან ჯანეზაშვილმა**

www.britishcentre.ge

დაზოგეთ დრო ენერგია და ბიუჯეტი !
შეისწავლეთ ინგლისური ოთხჯერ უფრო სწრაფად !
ბრიტანული ცენტრის კარი ღიაა ნებისმიერი მსმენელისთვის !

BC BRITISH CENTRE

ირინა ონაშვილი:

„პირველივე გაკვეთილიდან მივხვდი, რომ ზუსტად იქ მოვხვდი, სადაც საჭირო იყო. საოცრად კარგი გარემოა, თბილი ატმოსფერო, ამასთან ერთად უმაღლეს დონეზეა დისციპლინა. ძალიან ხშირად მიწევს უცხოელ მეგობრებთან ურთიერთობა და ვატყობ, რომ ჩემი ინგლისური საოცრად დაიხვეწა. კომპლექსი არასდროს მქონია და რა დონეზეც ვიცოდი, ისე ვლაპარაკობდი, მაგრამ ახლა უკვე ვამაყობ ჩემი ინგლისურით. აუცილებლად ვაპირებ სწავლის გაგრძელებას ბრიტანულ ცენტრში და ამ დონეზე არ გავჩერდები".



ლელა მებურიშვილი:

„ბრიტანულ ცენტრში ენას კი არ გასწავლიან, აგალაპარაკებენო, მითხრეს და ეს სწორედ, ის იყო, რაც მე მჭირდებოდა. აღმოვაჩინე, რომ ბრიტანულ ცენტრში ინგლისური ენის მასწავლებლები, მოქმედი ლექტორები გადიან ენის შემსწავლელ მაღალ საფეხურებს, იმისთვის, რომ უფრო დახელოვდნენ და დახვეწონ თავიანთი ცოდნა. ერთი სიტყვით, მოვედი და დავრჩი. თვე-ნახევარია დავდივარ და ინგლისურად ლაპარაკის ყველანაირი კომპლექსი მომეხსნა".



დირექტორი დალი ლომიძე:

„თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ბრიტანული ცენტრი სავსებით აკმაყოფილებს ყველა ასაკისა და პროფესიის წარმომადგენელს".

რუსთაველის 36; ტელ: 933 878; 989 999; 934 000
ალმაშენებლის 189; ტელ: 941 111; 952 222
ფალიაშვილის 60; ტელ: 221 915
ვაჟაინის 9; ტელ: 332 557; 514 143

www.britishcentre.ge

ლა ლიგა

# ესპანური ზაფხული

### ალმერია

**მოვიდნენ:** **აკასიეტე, კორონა, ხოსე ორტისი** (სამივე - კონტრ. განახლ.), **კარლოს გარსია** (ბეტისი, იჯ. დასრ.), **ულოა** (კასტელონი), **ნატალიო** (იჯ. დასრ.), **იაკობსენი** (ოლბორგი).

**ნავიდნენ:** **სისმა** (რასინგი), **სორიანო** (ოსასუნა), **ალექს კვილო** (რეკრეატივო), **ბორძანი** (კონტრ. დასრ.), ნატალიო (ტრანსფ.).

### ატლეტიკო

**მოვიდნენ:** **კიკე ფლორესი** (მწვრთნელი, კონტრ. განახლ.), **კეკო** (ვალიადოლიდი, იჯ. დასრ.), **დიეგო კოშტა** (ვალიადოლიდი), **ფრან მერიდა** (არსენალი), **მარიო სუარესი** (მალიორკა), **რობერტო** (სარაგოსა, იჯ. დასრ.).

**ნავიდნენ:** **ტიაგო** (იუვენტუსი, იჯ. დასრ.), **პაბლო** (ვესტ ბრომვიჩი), **პერნია** (კონტრ. დასრ.), **რობერტო** (ბენფიკა).

### ბარსელონა

**მოვიდნენ:** **დავიდ ვილია** (ვალენსია), **ბოტია** (სპორტინგი, იჯ. დასრ.), **ჰლები** (შტუტგარტი, იჯ. დასრ.), **მარტინ კასერესი** (იუვენტუსი, იჯ. დასრ.), **ენრიკე** (რასინგი, იჯ. დასრ.), **კეირისონი** (ფიორენტინა, იჯ. დასრ.).

**ნავიდნენ:** **ბოტია, ჰლები, მარტინ კასერესი, ენრიკე, კეირისონი** (ყველა - ტრანსფ.), **გაი ასულინი** (კონტრ. დასრ.), **ტურე** (მანჩესტერ სიტი).

### ბილბაო

**მოვიდნენ:** **მიკელ სან ხოსე** (ლივერპული), **ეჩეიტა** (კარტახენა, იჯ. დასრ.), **იგორ მარტინესი** (ალავესი), **იბაი გომესი** (სესტაო), **ბალენსიაგა** (ნუმანსია, იჯ. დასრ.), **მურილიო** (სალამანკა, იჯ. დასრ.).

**ნავიდნენ:** **მუნიოსი, იესტე** (კონტ. დასრ.), **არმანდო, ეჩებერია** (კარ. დაასრ.), **ბალენსიაგა** (ტრანსფ.), **მურილიო** (ტრანსფ.).

### დეპორტივო

**მოვიდნენ:** **მიჩელი** (ვალენსია, იჯ.), **ურეტა** (ბენფიკა, იჯ.), **დეზმარე** (ვიტორია), **ბერგანტინიოსი** (ხერესი, იჯ. დასრ.), **აიტამი** (ხერესი, იჯ. დასრ.), **რუბენ კასტრო** (რაიო ვალეკანო, იჯ. დასრ.).

**ნავიდნენ:** **ანგულო** (ლეიქსოესი, იჯ. დასრ.), **მისტა** (კონტრ. გაწყდა), **ბერგანტინიოსი, აიტამი, რუბენ კასტრო** (ყველა - ტრანსფ.)

### ესპანიოლი

**მოვიდნენ:** **ოსვალდო** (ბოლონია, იჯ. გაგრძ.), **დიდაცი, ხორდი ამატი, რაულ ბაენა, ვიქტორ რუისი** (ყველა - სარეზ. გუნდი), **ვალდო** (მალაგა, იჯ. დასრ.), **რომანი** (ტენერიფე, იჯ. დასრ.), **ლოლა** (სპორტინგი, იჯ. დასრ.), **ანხელი** (რაიო ვალეკანო, იჯ. დასრ.), **კასილია** (კადისი, იჯ. დასრ.), **გალანი, ხუანმა** (ხირონა, იჯ. დასრ.).

**ნავიდნენ:** **პილუდი** (ტირო ფედერალი, იჯ. დასრ.), **რონკალია** (ბოკა ხუნიორსი, იჯ. დასრ.), **ხავი რუისი, მარკესი, ტამუდო** (ყველა - კონტრ. დასრ.), **ვალდო, რომანი, ლოლა, ანხელი, კასილია, გალანი, ხუანმა** (ყველა - ტრანსფ.).

### ერკულესი

**მოვიდნენ:** არავინ

**ნავიდნენ:** დანი ბაუტისტა (კონტრ. დასრ.)

### ვალენსია

**მოვიდნენ:** **მეჰმეთ თოფალი** (გალათასარაი), **რიკარდო კოშტა** (ვოლფსბურგი), **ფეგული** (გრენობლი), **სოლდადო** (ხეტაფე), **გუატა** (რეკრეატივო, იჯ. დასრ.), **ლომბანი** (სალამანკა, იჯ. დასრ.), **მორეტი** (ჯენოა, იჯ. დასრ), **რენანი** (ხერესი, იჯ. დასრ.), **ნაჩო გონსალესი** (ლევადიაკოსი, იჯ. დასრ.), **დელ ორნო** (ვალიადოლიდი, იჯ. დასრ.), **უგო ვიანა** (ბრაგა, იჯ. დასრ), **სუნი** (ბეტისი, იჯ. დასრ.), **მონტორო** (უნიონი, იჯ. დასრ.), **ნიგუესი** (სელტა, იჯ. დასრ.), **კარლეტო, ხიმო ნავარო** (ელჩე, იჯ. დასრ), **კოსტა** (მონპელიე)

**ნავიდნენ:** **დავიდ ვილია** (ბარსელონა), **მიჩელი** (დეპორტივო, იჯ.), **ჟიგიჩი** (ბირმინგემი), **ბარახა** (კონტრ. დასრ.), **სილვა** (მანჩესტერ სიტი), **რენანი** (პორტუ ალეგრე, იჯ.), **გუატა, ლომბანი, მორეტი, ნაჩო გონსალესი, დელ ორნო, უგო ვიანა, სუნი, მონტორო, ნიგუესი, კარლეტო, ხიმო ნავარო** (ყველა - ტრანსფ.).

### ვილიარეალი

**მოვიდნენ:** **ჯეფერსონ მონტერო, მარკო რუბენი, მუსაჩიო** (ყველა - სარეზ. გუნდი), **მანოელი** (ლევანტე, იჯ. დასრ.), **ალტიდორი** (ჰალ სიტი, იჯ. დასრ.), **ეგურენი** (ლაციო, იჯ. დასრ.).

**ნავიდნენ:** **მარკანო** (ხეტაფე, იჯ), **ხ. ლორენტე** (რეალ სოსიედადი), **ესკუდერო** (ბოკა ხუნიორსი), **იბაგასა, ხავი ვენტა, პირესი** (ყველა - კონტრ. დასრ.), **მანოელი, ალტიდორი, ეგურენი** (ყველა - ტრანსფ.).

### ლევანტე

**მოვიდნენ:** არავინ

**ნავიდნენ:** **პალარდო** (ხეტაფე, იჯ. დასრ.), **სენდროსი, ხავი გუერა** (მალიორკა, იჯ. დასრ.), **ხუანფრანი** (აიაქსი, იჯ. დასრ.), **ანხელი, დელ მორალი, პინა, მანუ, სამუელი, სერა** (ყველა - კონრ. დასრ.)

### მალაგა

**მოვიდნენ:** **ფერეირა** (მწვრთნელი, პორტუ), **ივან გონსალესი, ტორიბიო** (სარეზ. გუნდი), **მიგელ ანხელი** (ნასტიკი, იჯ. დასრ.), **პერე მარტი** (მურსი, იჯ. დასრ.), **ედინიო** (პაოკ, იჯ. დასრ.).

**ნავიდნენ:** **მუნიოსი** (მწვრთნელი, კონტრ. გაწყდა), **ვალდო** (ესპანიოლი, იჯ. დასრ.), **ფორესტიერი** (ჯენოა, იჯ. დასრ), **სტეპანოვი** (პორტუ, იჯ. დასრ.), **ობინა** (ინტერი, იჯ. დასრ.), **კაისედო** (მანჩესტერ სიტი, იჯ. დასრ.), **სანტამარია** (ლას პალმასი, იჯ. დასრ.), **ფერნანდო, მუნუა** (ყველა - კონტრ. დასრ.), **მიგელ ანხელი, პერე მარტი, ედინიო** (ყველა - ტრანსფ.).

### მალიორკა

**მოვიდნენ:** **მატიონი** (მილანი, იჯ. განახლ.), **სენდროსი, ხავი გუერა** (ლევანტე, იჯ. დასრ.), **დანი გონსალესი** (გრანადა, იჯ. დასრ.), **მარტი კრესპი** (ელჩე, იჯ. დასრ.), **კარმონა, ოსკარ დიასი** (რეკრეატივო, იჯ. დასრ.), **ემილიო ნსუე** (რეალ სოსიედადი, იჯ. დასრ.), **ხავი კასტელანო** (ალბასეტე, იჯ. დასრ.), **მიქაელ ლაუდრუპი** (მწვრთნელი)

**ნავიდნენ:** **მანსანო** (მწვრთნელი, კონტრ. დასრ.), **ბორხა ვალერო** (ვესტ ბრომვიჩი, იჯ. დასრ.), **პესოლანო** (ლივერპული (ურუ), იჯ. დასრ.), **მარიო სუარესი** (ატლეტიკო), **სენდროსი, ხავი გუერა, დანი გონსალესი, მარტი კრესპი, კარმონა, ოსკარ დიასი, ემილიო ნსუე, ხავი კასტელანო** (ყველა - ტრანსფ.).

### ოსასუნა

**მოვიდნენ:** **სორიანო** (ალმერია), **რიესგო** (რეალ სოსიედადი), **კიკე სოლა** (ლევადიაკოსი, იჯ. დასრ.), **ნიკოლას მედინა** (კასტელონი, იჯ. დასრ.).

**ნავიდნენ:** **კიკე სოლა, ნიკოლას მედინა** (ყველა - ტრანსფ.), **ასპილიკუეტა** (მარსელი).

### რასინგი

**მოვიდნენ:** **ენრიკე** (ბარსელონა, იჯ. განახლ.), **სისმა** (ალმერია), **ფრანსისი** (ხერესი), **მარიო ფერნანდესი, ოსმარ ბარბა** (სარეზ. გუნდი), **ხუანხო** (კორდობა, იჯ. დასრ.), **ისმოდესი** (სპორტინგ კრისტალი, იჯ. დასრ.), **გონსალესი** (კონტრ. გაწყდა), **მარიო ორტისი** (კასტელონი, იჯ. დასრ.)

**ნავიდნენ:** **კრესპო** (სევილია, იჯ. დასრ.), **მორისი** (პანათინაიკოსი, იჯ. დასრ.), **სისკო** (ნიუკასლი, იჯ. დასრ.), **კანალესი** (რეალი), **ლუის გარსია, მორატონი, ორიოლი** (ყველა - კონტრ. დასრ.), **ხუანხო, ისმოდესი, გონსალესი, მარიო ორტისი** (ყველა - ტრანსფ.).

### რეალი

**მოვიდნენ:** **ჟოზე მოურინიო** (მწვრთნელი, ინტერი), **კანალესი** (რასინგი), **ხოსელუ** (სელტა, იჯ. დასრ.), **სალაი** (მაინცი, იჯ. დასრ.), **ტებარი** (ხირონა, იჯ. დასრ.), **აგუსი** (კორდობა, იჯ. დასრ.), **პალანკა** (კასტელონი, იჯ. დასრ.), **პაბლო ხილი** (ალბასეტე), **დი მარია** (ბენფიკა).

**ნავიდნენ:** **მანუელ პელეგრინი** (მწვრთნელი, კონტრ. გაწყდა), **მეტცელდერი** (შალკე), **ხოსელუ, სალაი, ტებარი, აგუსი, პალანკა** (ყველა ტრანსფ.).

### სარაგოსა

**მოვიდნენ:** **ლონგასი** (კარტახენა, იჯ. დასრ.), **რიპა** (ორიუელა, იჯ. დასრ.), **დე ბაროსი** (ნასტიკი, იჯ. დასრ.), **სონგოო** (რეალ სოსიედადი, იჯ. დასრ.), **აბელ აგილარი** (უდინეზე, იჯ.)

**ნავიდნენ:** **კარისო, ელიზეუ** (ლაციო, იჯ. დასრ.), **სუასო** (მონტერეი, იჯ. დასრ.), **ადრიან კოლუნგა** (რეკრეატივო, იჯ. დასრ.), **რობერტო** (ატლეტიკო, იჯ. დასრ.), **კონტინი** (ნაპოლი, იჯ. დასრ.), **ლუსინი, პულიდო** (ყველა - კონტრ. დასრ.), **ლონგასი, რიპა, სონგოო, დე ბაროსი** (ყველა - ტრანსფ.), არისმენდი (ხეტაფე)

### სევილია

**მოვიდნენ:** **ალფარო** (ტენერიფე, იჯ. დასრ.), **დაბო** (სენტ ეტიენი), **გუარენტე** (ატალანტა), **კრესპო** (რასინგი, იჯ. დასრ.), **კასადო, დავიდ პრიეტო** (ხერესი, იჯ. დასრ.), **პაბლო რუისი** (კარტახენა, იჯ. დასრ.), **ჩევანტონი** (ატალანტა, იჯ. დასრ.), **კონე** (ჰანოვერი, იჯ. დასრ.).

**ნავიდნენ:** **სტანკევიჩიუსი** (სამპდორია, იჯ. დასრ.), **კრესპო, კასადო, დავიდ პრიეტო, პაბლო რუისი, ჩევანტონი, კონე** (ყველა - ტრანსფ.).

### სოსიედადი

**მოვიდნენ:** **ხ. ლორენტე** (ვილიარეალი).

**ნავიდნენ:** **ესტრადა** (მილიონარესი, იჯ. დასრ.), **ემილიო ნსუე** (მალიორკა, იჯ. დასრ.), **სონგოო** (სარაგოსა, იჯ. დასრ.), **რიესგო** (ოსასუნა), **კარლოს ბუენო, სერხიო როდრიგესი** (ყველა - კონტრ. დასრ.).

### სპორტინგი

**მოვიდნენ:** **ალბერტო ბოტია** (ბარსელონა), **აიოსე** (ტენერიფე), **გასტონ სანგოი** (აპოლონი), **ნაჩო ნოვო** (რეინჯერსი), **ხორხე** (ნასტიკი, იჯ. დასრ.), **ნოელ ალონსო** (პონტევედრა, იჯ. დასრ.), **იონი ლოპესი** (ასტორგა, იჯ. დასრ.).

**ნავიდნენ:** **ლოლა** (ესპანიოლი, იჯ. დასრ.), **კამაჩო, ხერარდი, კიკე მატეო, პედრო** (ყველა - კონტრ. დასრ.), **ხორხე, ნოელ ალონსო, იონი ლოპესი** (ყველა - ტრანსფ.).

### ხეტაფე

**მოვიდნენ:** **ბორხა** (ვალიადოლიდი), **მარკანო** (ვილიარეალი, იჯ.), **გუერონი** (კრუზეირო, იჯ. დასრ.), **სინორინო** (კარტახენა, იჯ. დასრ.), **იბრაჰიმ კაში** (ბეშიქთაში, იჯ. დასრ.), **პალარდო** (ლევანტე, იჯ. დასრ), **არისმენდი** (სარაგოსა)

**ნავიდნენ:** **სოლდადო** (ვალენსია), **ბელენგერი, სელესტინი, დავიდ კორტესი** (ყველა - კონტრ. დასრ.), **ადრიან გონსალესი, გუერონი, სინორინო, იბრაჰიმ კაში, პალარდო** (ყველა ტრანსფ.).

*შენიშვნა: ესპანურ პრიმერაში გუნდებს განაცხადში 25 ფეხბურთელის ყოლის უფლება აქვთ. პრიმერა სტარტს 28 აგვისტოს დაიწყებს.*

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



მალიორკა

# ლაუდრუპი უკვე ოფიციალურად

გუშინ გაცნობეთ, რომ „მალიორკას“ ახალი ხელმძღვანელობა მთავარი მწვრთნელის პოსტზე წარსულში ცნობილი დანიელი ფეხბურთელის **მიქაელ ლაუდრუპის** დანიშვნას აპირებდა. პარასკევს ამ საქმეს წერტილი დაესვა - ლაუდრუპმა ბალეარულ კლუბთან 2-წლიანი ხელშეკრულება გააფორმა. ლაუდრუპი გუნდის თავკაცის პოსტზე **გრეგორიო მანსანოს** შეცვლის. „მალიორკა“ წლეულს ევროპის ლიგაზე ითამაშებს. ლაუდრუპი **ლორენსო სერა ფერერის**, კლუბის ახალი გენერალური მენეჯერის პირველი შენაძენია. 46 წლის ლაუდრუპმა სამწვრთნელო საქმიანობით „ხეტაფეში“ დაგვამახსოვრა თავი, საიდანაც ის მოსკოვის „სპარტაკში“ მიიწვიეს. შარშან ლაუდრუპის მომავალს მადრიდის „ატლეტიკოს“ უკავშირებდნენ, მაგრამ დანიელმა კლუბის ხელმძღვანელობასთან შეთანხმება ვერ შეძლო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ბარსელონა

# გაუშვა, რათა ინანოს?



გაი ასულინი

„ბარსელონა“ აგრძელებს ახალგაზრდა ფეხბურთელებთან უცნაურ დამოკიდებულებას. ფაქტია, **ჟერარდ პიკესა** და **სესკ ფაბრეგასის** მაგალითებმა ამ კლუბის ახალგაზრდულ პოლიტიკაზე გავლენა ვერ იქონია - გუშინ კლუბის ხელმძღვანელობამ გამოაცხადა, რომ 19 წლის ებრაელ შემტევ **გაი ასულინს** თავისუფალ აგენტად უშვებს.

ასულინი „ბარსას“ სარეზერვო გუნდის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ტალანტი იყო, მან ერთხელ პირველ გუნდშიც კი ითამაშა (სამეფო თასზე), მაგრამ კონტრაქტი დაუსრულდა და ახალი კატალონიურმა კლუბმა აღარ შესთავაზა. ასულინი „ბარსელონაშია“ 12 წლის ასაკიდან, მან უკვე მოირგო ისრაელის ეროვნული ნაკრების მაისურა, ის ამ ქვეყნის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა წევრი გახდა. ებრაულ ტალანტზე ინგლისში ნამდვილი ნადირობაა გამოცხადებული, ყველაზე მეტად კი „ტოტენჰემი“ აქტიურობს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ტრანსფერი

# იაია და კოლო სიტიმ გააერთიანა

ესპანურმა პრიმერამ კიდევ ერთი კარგი ფეხბურთელი დაკარგა, რომელიც ინგლისურმა პრემიერლიგამ შეიძინა - **იაია ტურემ** „ბარსელონას“ მაისურა „მანჩესტერ სიტისაზე“ გაცვალა. არადა კოტ დივუარის ნაკრების 27 წლის ნახევარმცველს ლამის დაუჩოქა **ხოსეპ გვარდიოლამ**, ოღონდ ის არ წასულიყო კატალონიიდან. ბოლო კვირაში „სიტიმ“ მეორე სუპერვარსკვლავი შეიძინა, მანჩესტერულმა გუნდმა ჯერ 30 მილიონ ევროდ „ვალენსიას“ შემტევი ნახევარმცველი **დავიდ სილვა** გადაიბირა, ახლა კი ჯერი იაია ტურეზე მიდგა. მოკლედ, „სიტიმ“ ხელი ლა ლიგის კადრებით გალარიბებას მიჰყო.



იაია ტურე სიტის შარფით

მუნდიალიდან დაბრუნებულმა ტურემ ინგლისური კლუბის ექიმთა მეთვალყურეობით სამედიცინო შემოწმება ესპანეთში გაიარა. **რობერტო მანჩინი** აღფრთოვანებულია ახალი შენაძენით: *„ეს კიდევ ერთი ფანტასტიკური ტრანსფერია, რომელიც კლუბმა სრულყო. ძალიან მიხარია, რომ იაია ჩვენთანაა, ის ხომ დიდებული ნახევარმცველია. ყველამ იცის, რომ ტურეს დამატება დიდი ხანია გვსურდა. მან ბოლო სამი სეზონი უმაღლეს დონეზე ითამაშა „ბარსელონაში“, მისი გამოცდილება კი უთუოდ გამოგვადგება „სიტიში“*, - აღნიშნა გუნდის იტალიელმა თავკაცმა.

შეგახსენებთ, რომ იაია „სიტიში“ გუნდის კაპიტანსა და მის უფროს ძმას, **კოლო ტურეს** შეუერთდა, რომელმაც დაარქვა მას მეტსახელად „ახალი პატრიკ ვიეირა“.

*„ოცნება ავისრულე, მთელი ცხოვრება მსურდა, რომ მაღალ დონეზე ჩემს ძმასთან ერთად მეთამაშა. და ეს, ბოლოს და ბოლოს, მოხდა. ჩვენს ოჯახში ამის გამო დიდი ზეიმია, ძმები ისევ გავერთიანდით. კოლომ მითხრა, რომ „სიტის“ დიდი გეგმები აქვს და ისინი ხმაურიან ტრანსფერებს აპირებენ, მეც ეს მინდოდა - დიდი მიზნებისთვის ბრძოლა. „ბარსელონაში“ ძალიან მაღალი კლასის ფეხბურთელების გვერდიგვერდ ვთამაშობდი, მაგრამ ასე იქნება „სიტიშიც“, ტევესი, ადებაიორი, ვიეირა, რა თქმა უნდა ჩემი ძმა, „ბარსელონას“ ვარსკვლავებს არ ჩამოუვარდებიან. დარწმუნებული ვარ, ჩვენ დიდი გუნდი გავხდებით. შარშან „სიტიმ“ მე-5 ადგილი დაიკავა, რაც დიდი წარმატებაა, მაგრამ გუნდს მეტი შეუძლია, ჩემპიონთა ლიგაზე თამაში და ინგლისის ჩემპიონობაც. ინგლისური პრემიერლიგა კი განსაკუთრებით მიყვარს“*, - განუცხადა „სიტი ტვ-ს“ მანჩესტერელთა ახალწვეულმა.

იაია ტურემ „მანჩესტერ სიტისთან“ 5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. სატრანსფერო თანხა ოფიციალურად არ დაუსახელებიათ, მაგრამ ის (ინგლისური მედიის ცნობით) დაახლოებით 30 მილიონი ევროა. ტურე „ბარსელონაში“ 2007 წელს 9 მილიონ ევროდ გადავიდა „მონაკოდან“ და კატალონიურ გრანდში სამ ჩემპიონატში 74 თამაში გამართა და 4 გოლი გაიტანა. იაია იყო „ბარსელონას“ პირველი კოტდივუარელი ფეხბურთელი.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**




ისარგებლეთ ფრენების გაზრდილი სიხშირით.ახლა შეგიძლიათ იმოგზაუროთ პრაღაში კვირაში ექვსჯერ და ისარგებლოთ ტრანზიტული რეისებით სხვადასხვა მიმართულებით. ავიაბილეთის საფასური ევროპაში — 220 ევროდან. დაგეგმეთ მოგზაურობა დღესვე და ისიამოვნეთ კომფორტული აერობუსით. დაჯავშნეთ თქვენი ბილეთი და ინფორმაციისათვის მიმართეთ 995 32 227941 ან info@czechairlines.ge.

ბილეთის ღირებულებაში მოსაკრებლები არ შედის.

www.czechairlines.com

CSA CZECH AIRLINES

SKYTEAM

**ინგლისი**

# კაპელო მიხვდა...

## ოუენმა მწვრთნელს შეუთვალა...

**ფაბიო კაპელოს** ძალიან უნდა, ინგლისის საფეხბურთო ასოციაციამ კიდევ ერთი შანსი მისცეს და სამხრეთ აფრიკიდან ნაადრევად გავარდნილი ნაკრების სათავეში დატოვოს. შეგახსენებთ, რომ ასოციაციაში გადაწყვიტეს, ცხელ გულზე არაფერი ილონონ, ორი კვირა დაიცადონ და იტალიელს მერელა უთხრან, ტოვებენ სამსახურში თუ უშვებენ. თავად კაპელო კი დარწმუნებულია, რომ 2012 წლამდე გუნდის ახალი ენერგიით დამუხტვას მოასწრებს და ევროპის ჩემპიონატზე სულ სხვა ფეხბურთით წარდგება.

*„ფაბიოს აწვალებს შეგრძნება, რომ ინგლისში დაწყებული საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანა, - უთხრა პრესას მწვრთნელის ერთ-ერთმა ახლობელმა, - ამიტომ, მას უნდა, დარჩეს და ყველაფერი თავის ადგილზე დააყენოს. აქ ფულზე საერთოდ არ არის ლაპარაკი. კაპელო წელიწადში 6 მილიონ გირვანქას იღებს, მაგრამ მერწმუნეთ, ევროპაში უამრავი კლუბია, რომელიც ამ ჯამაგირს მას დღესვე დაუნიშნავს. ნურც იმას იფიქრებს ვინმე, რომ კაპელოს სახელი გაუტყდა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატიდან გავარდნის გამო პლანეტის ერთ-ერთ საუკეთესო მწვრთნელად აღარ ითვლება და რომ ახლა ამის გამოსწორებას ეშურება... უბრალოდ, მსოფლიოს ჩემპიონატმა მას თვალები აუხილა და დაანახვა, რატომ ვარდება ხოლმე ინგლისის ნაკრები ყოველ მუნდიალზე ადრეული ეტაპიდან, რატომ ვერ გადის ბოლომდე და რატომ ვერ ხდება ჩემპიონი... სამხრეთ აფრიკამდე ის საგონებელში იყო. ვერ გაეგო, რატომ ვერ ყოჩაღობდა მუნდიალებზე ქვეყანა, რომელსაც, როგორც წესი, კარგი ფეხბურთელები ჰყავს. მეტიც, სანამ ინგლისის ნაკრების მწვრთნელად დაინიშნებოდა, მას კიდევ არ ესმოდა, სინამდვილეში რა კარგი ფეხბურთელები ჰყავთ ინგლისელებს, მაგრამ ინგლისსა და ამ ქვეყნის ფეხბურთთან უშუალო შეხებამ ყველაფერი ყირაზე დააყენა. მართლაც გასაოცარი რამ მოხდა - ინგლისის ნაკრებმა შესანიშნავად გაიარა შესარჩევი ციკლი, მაგრამ ფინალურ ეტაპზე სახეცვლილი და შებოჭილი გავიდა. ფეხბურთელები ფიზიკურად და მენტალურად გადაღლილები ჩანდნენ".*

ამასობაში კი ვეტერანმა ვარსკვლავმა **მაიკლ ოუენმა** ამოიღო ხმა და კაპელოს შეუთვალა, მომავალში ნულარ ჩამომწერ, გუნდის დახმარება ჯერ კიდევ შემიძლიაო. შეგახსენებთ, რომ ოუენს ინგლისის ნაკრებში 9 გოლი აკლია სერ **ბობი ჩარლტონის** რეკორდამდე (49 გოლი). ოუენმა თქვა:

*„ჩემპიონატი ტრავმის გამო გამოვტოვე. ჯანზე რომ ვყოფილიყავი, წამიყვანდა კაპელო სამხრეთ აფრიკაში თუ არა, სხვა თემაა. ერთი რამ დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ სანაკრებო ფეხბურთისთვის თავი ნამდვილად არ დამინებებია და დღესაც ასე ვარ - როგორც კი გამომიძახებენ, მზად ვარ, გამოვცხადდე და ვითამაშო".*

ოუენი, რომელიც შარშან „მანჩესტერ იუნაიტედში" „ნიუკასლიდან" თავისუფალი აგენტის სტატუსით (ანუ უფასოდ) გადავიდა, ამბობს, რომ მომავალი სეზონისთვის მზად იქნება.

*„ხუთ დიდ ტურნირზე ვარ ნამყოფი და ახლა, მსოფლიოს ჩემპიონატის ტელევიზიით ყურება ძალიან მეუცნაურა. თურმე, ასეთ დროს უნებლიეთ ფანის პოზიციაში გადადიხარ და შეფასებას უკვე სხვა სამრეკლოდან აკეთებ. რაც მოხდა, ძალიან გულდასაწყვეტი იყო. მართალი გითხრათ, არც მახსოვს, რომელიმე ჩემპიონატს ამდენი კითხვა გაეჩინოს".*

***P.S.* გუშინ გვიან საღამოს ცნობილი გახდა, რომ ფაბიო კაპელო ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის ბოლომდე ინგლისის ნაკრების მთავარ მწვრთნელად რჩება.**



ფაბიო კაპელო

**ლივერპული**




როი ჰოჯსონი

# ჰოჯსონი კბილებით იბრძოლებს...

„ლივერპულის" ლეგენდა **კენი დალგლიშმა** მერსისაიდელთა სათავეში **როი ჰოჯსონის** დანიშვნას „ჩინებული გადაწყვეტილება" უწოდა. მოგეხსენებათ, დალგლიში „წითლების" ოფისს ახალი მწვრთნელის ძებნაში მთავარ მრჩევლად ჰყავდა გამწესებული, მაგრამ იყო ერთგვარი უხერხულობაც - რამდენიმე კვირის წინ, როცა ძებნა ჩიხში შევიდა, შოტლანდიელმა ისარგებლა მომენტით და თქვა - გუნდს სათავეში თავად ჩავუდგებიო. ერთი სიტყვით, დალგლიშს თავადაც უნდოდა „ლივერპულის" გაწვრთნა, მაგრამ... საბოლოოდ თანამდებობაზე „ფულჰემიდან" წასული ჰოჯსონი დაინიშნა. საბედნიეროდ, „წითლების" ოდინდელ ფეხბურთელსა და მწვრთნელს ეს არ სწყენია.

*„ამ დანიშვნას დიდი იმედითა და ენთუზიაზმით ვუყურებ. როის კარგა ხანია ვიცნობ და დიდ პატივს ვცემ. მართალია, ჩვენ ჯერ დეტალურად არ გვილაპარაკია, მაგრამ „ლივერპულის" ინტერესებიდან გამომდინარე, ვიცი, რომ გადაწყვეტილება საუკეთესოა",* - თქვა დალგლიშმა.

ჰოჯსონი 62 წლისაა. ამბობდნენ, რომ მას „ლივერპულის" მწვრთნელობაზე თანხმობა დალგლიშთან კარგა ხნის მეგობრული ურთიერთობის გაფუჭებად დაუჯდებოდა. შეგახსენებთ იმასაც, რომ დიდი ხანი არ არის, რაც დალგლიში „ლივერპულში" ახალ თანამდებობაზე დანიშნეს, ელჩი დაარქვეს და რეალურად კი ბავშვთა აკადემიასა და დიდ გუნდს შორის ურთიერთობა დაავალეს. დაირხა ჭორი, რომ ჰოჯსონის დანიშვნა მისი ამ სამსახურიდან წასვლის მომასწავებელი იქნებოდა, მაგრამ ჰოჯსონმა, რომელმაც „ენფილდ როუდზე" 3-წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი და კვირაში 50 ათას გირვანქას მიიღებს, თქვა:

*„შექმნილ სიტუაციას უხერხულად ვერ აღვიქვამ. რამდენადაც ვიცი, კენიმ კლუბის დირექტორატს შესთავაზა მწვრთნელის თანამდებობაზე მისი კანდიდატურაც განეხილათ, დირექტორატმა კი უარი უთხრა. რამდენადაც ვხვდები, ამან ჩემი და კენის ურთიერთობას ხელი არ უნდა შეუშალოს. პირიქით, მიხარია, რომ ის „ლივერპულში" მუშაობს და მისთვის ახალი და ძალიან მნიშვნელოვანი როლის მინიჭებას ვაპირებ. ის ინგლისური ფეხბურთისთვის მომავალი თაობების აღზრდის საქმეს მოემსახურება. ჩვენ აუცილებლად უნდა გვყავდეს ადგილობრივი ფეხბურთელები. 21-წლამდელები გვჭირდება და მათ კენი გაუზიარებს თავის დიდ ცოდნასა და გამოცდილებას. აკადემიასა და დიდი „ლივერპულის" საწვრთნელ ბაზას შორის ნამდვილი ხიდია გასადები. როცა კლუბში კენი დალგლიშის მასშტაბის ადამიანი გყავს, გინდა, რომ ის დიდი ხნით დარჩეს, ისე, როგორც სერ ბობი ჩარლტონია „მანჩესტერ იუნაიტედში". კენის „ლივერპულში" სხვა დიდი საქმეების კეთებაც შეუძლია და მეც ძალიან გამიადვილებს საქმეს".*

თუმცა დღეს „ლივერპულში" დალგლიშის წასვლა-დარჩენა იმდენად მნიშვნელოვანი არ არის, რამდენადაც **სტივენ ჯერარდის, ხავიერ მასკერანოსა** თუ **ფერნანდო ტორესის** ამბავი. რას ფიქრობს „წითლების" წამყვან ფეხბურთელებზე ახალი მწვრთნელი? ჰოჯსონმა ასე განაცხადა:

*„ჩვენი საუკეთესო ფეხბურთელების შესანარჩუნებლად კბილებითა და ფრჩხილებით ვიბრძოლებთ, თუმცა მათ „ენფილდ როუდზე" მიჭედებასაც ნურავინ მომთხოვს. ეს არ შემიძლია. ეს არც სტივენ ჯერარდს უნდა და ეკადრება. ის ოცნებობს, „ლივერპული" გაძლიერდეს და გუნდში მის მხარდამხარ მაღალი დონის ფეხბურთელები თამაშობდნენ. მინდა გითხრათ, რომ ჯერარდი საკმაოდ ჭკვიანი კაცია და კარგად იცის, რომ ამ წუთას მე მას ვარსკვლავური „ლივერპულის" გარანტიას ვერ მივცემ. ბუნებრივია, ის არასდროს მაპატიებს, რომ მოვატყუო. ასეთი მარტივი ტყუილები ხომ ძალიან იოლად იშიფრება".*

ჰოჯსონმა, რომელმაც „წითლების" თავკაცის თანამდებობაზე **რაფა ბენიტესი** შეცვალა, კარგად იცის, რომ მისი უპირველესი ამოცანა ზემოთ ჩამოთვლილი სამი მოთამაშის შენარჩუნებაა, თუმცა ისიც სათქმელია, რა შეუძლია მას გააკეთოს? ხელფეხშეკრული ხომ არ არის? ჯერარდის წაყვანას მადრიდის „რეალი" ეშურება, ტორესის გადასაბირებლად ყველაზე მეტად „მანჩესტერ სიტი" აქტიურობს, თუმცა არც „ჩელსი" და „ბარსელონა" აკლებენ, მასკერანო კი ბენიტესს „ინტერში" უნდა.

თავის მხრივ, ჯერარდმა ასე თქვა: *„როის დანიშვნით კლუბმა შესანიშნავი ნაბიჯი გადადგა. მე ვიცი, რომ „ლივერპულის" ოფისში კანდიდატების შესაძლებლობათა დინჯად აწონ-დაწონასა და კარგად გააზრებული ნაბიჯის გადადგმას აპირებდნენ. ვფიქრობ, ჰოჯსონის კანდიდატურა ამად ღირდა. ახლა, იმედი მაქვს, ახალი მწვრთნელი ახალი გეგმით მოვა და შემდეგ სეზონში თავის ხელწერას დაატყობს გუნდის თამაშს".*

ჟურნალისტებმა დააზუსტეს, რომ ჯერარდი ახალ მწვრთნელს „ლივერპულის" საწვრთნელ ცენტრში, მილვუდში ამ დღეებში შეხვდა, თუმცა ეს შეხვედრა მრავლისმთქმელი ვერაფრით იქნებოდა, რადგან თავისი მომავლის ამბავს ვარსკვლავი პორტუგალიური შვებულებიდან დაბრუნების შემდეგ იტყვის.

ჰოჯსონმა დასძინა: *„მე ჯერარდს ავუხსენი, რომ „ლივერპულში" მისნაირ ხალხთან სამუშაოდ მოვედი და ვიმედოვნებ, იმდენად მაინც უერთგულებს გუნდს, რომ ერთხანს თანამშრომლობის საშუალებას დამიტოვებს. ახლა ჩემი ამოცანაა საკუთარი თავი ფეხბურთელებს, კერძოდ კი ჯერარდს კარგად წარვუდგინო და მანაც მიმიღოს. მე ამ მოთამაშეს ყოველთვის გუნდის გულად და სულად აღვიქვამდი და მგონია, რომ ის იმ გზას ადგას, რომლის ბოლოსაც „ლივერპულის" ლეგენდის სახელია. მე მზად ვარ ვიცხოვრო „ლივერპულის" ცხოვრებით სტივენ ჯერარდთან და მერსისაიდელთა გუნდის სხვა ვარსკვლავებთან ერთად. სწორედ ამიტომ დავთანხმდი ამ თანამდებობას".*

ამბობენ, რომ უახლოეს დღეებში ჰოჯსონი „წითლების" ყველა ვარსკვლავთან აპირებს დალაპარაკებას, ხოლო ტორესს მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ საგანგებოდ ესპანეთშიც კი ჩააკითხავს. ახალმა თავკაცმა დასძინა:

*„ამ წუთას მისი შეწუხება არ შეიძლება, საამისოდ შესაფერისი დრო არ არის. ჯერჯერობით მისი გონება მხოლოდ მსოფლიოს ჩემპიონატის თამაშებით არის დაკავებული. იმედი მაქვს, მუნდიალის შემდეგ ის ესპანეთში დაბრუნდება და მეც სწორედ იქ ჩავაკითხავ".*

**ყვითელი [illegible]**

# გაიგეთ ჭორი ჯერარდზე?

ინგლისელი ფანები მსოფლიოს ჩემპიონატზე თავიანთი ნაკრების ჩაფლავებამ საშინლად რომ გაამწარა, ამის დასტურად გვინდა ამ მოკლე წერილის მოტანა. როგორც იტყვიან ხოლმე, ხალხი ჭრელია. ზოგი დარდს გულში იკლავს, ზოგი ბრაზობს, ზოგი ნივთებს ამტვრევს, ზოგი კი... ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ბოლო დღეებში ინგლისში უამრავმა ადამიანმა მიიღო ერთი და იმავე შინაარსის სატელეფონო „მესიჯი" თუ წერილი კომპიუტერში - თურმე, ნაკრების კაპიტან **სტივენ ჯერარდს** თავისი ცოლის, **ალექსის** 16 წლის და დაუფეხმძიმებია. ჭორი მთელ სამეფოს მოედო. ჭორი კი მოგეხსენებათ, პატარა სოფელშიც მწარე და სახიფათოა და 52-მილიონიან ინგლისში რაღა იქნება?! მაგრამ, კიდევ კარგი, ინგლისელების პრესა ძალიან გაქექილი და ხშირ შემთხვევაში - ყვითელია. რას ჰქვია, ჯერარდს ცოლისდა დაუფეხმძიმებია და ჩვენ არ ვიცოდითო?! - აღშფოთდა ქვეყნის ყველაზე დიდტირაჟიანი გამოცემა „სანი". ჰოდა, მიდგა-მოდგა და გაიგო, რომ ჯერარდის ცოლს, ალექსს, და საერთოდ არ ჰყავს.

თურმე, რა მარტივად ყოფილა ყველაფერი. არადა, რა ამბავი იყო, იცით? თან, ცოლისდის ფეხმძიმობის ისტორია ყველამ სათავისოდ რომ შემოატრიალა?! ბევრმა თქვა, ჩვენი ნაკრების ცუდი გამოსვლა ფეხბურთელებს შორის განხეთქილების ბრალი იყო, განხეთქილება კი სწორედ ჯერარდის ცულლუტობის გამო მოხდაო. თურმე ნუ იტყვით და, **ჯონ ტერის**, რომელსაც რამდენიმე თვის წინ კაპიტნის სამკლავური **უეინ ბრიჯის** ცოლთან რომანის გამო ჩამოართვეს, სწყენია - ჩემი უზნეობა თუ ისჯება, სხვებისას რატომ არ ახმაურებთო და გასახდელში ბიჭები ორ ბანაკად დაყოფილან - ერთს ტერის მხარე დაუჭერია, მეორეს - ჯერარდისა.

თუმცა ეს ყველაფერი რომ ბოროტი ტყუილია, როგორც გითხარით, ძალიან მარტივად დამტკიცდა და „სანმა" ინგლისის ნაკრებთან დაკავშირებულ ადამიანებსაც ათქმევინა, სინამდვილეში რა იყო და როგორ.

*„ტყუილი რომ არის ერთია და მეორე კი ის გახლავთ, რომ როცა ეს ყველაფერი ფეხბურთელებმა შეიტყვეს, გაოცდნენ. მათ არც კი სჯეროდათ, რომ ამგვარ სისულელეს ასეთი ამბავი შეიძლებოდა მოჰყოლოდა. ჯერარდს არანაირი სასიყვარულო თავგადასავალი არ ჰქონია, ხოლო არარსებული ამბის გამო ფეხბურთელებს შორის ვერანაირი კონფლიქტი ვერ იქნებოდა. ჭორი სიმართლის ერთ მარცვალზეც კი არ არის დაფუძნებული, მაგრამ უცნაურად გავრცელდა, მთელ ინგლისს მოედო და ბევრმა დაიჯერა",* - განმარტა საქმეში კარგად ჩახედულმა მავანმა.

კიდევ რა არის საინტერესო, იცით? ის, რომ ბევრმა „სანს" ჯერარდის მფარველობაში დასდო ბრალი. როგორც ჩანს, ამ ხალხს ისე უნდოდა, რომ ცოლისდის დაფეხმძიმების ამბავი მართალი ყოფილიყო, როცა სიმართლე გაირკვა, ვერ დაიჯერეს და ძველი ჭორის ახალი ჭორებით გამაგრება გადაწყვიტეს. გარდა ამისა, სანამ გაზეთებში დაიბეჭდებოდა, რომ **ალექს კარან-ჯერარდს** და არ ჰყავს, ხალხი ბრაზობდა, რომ პრესა სინამდვილეს მალავდა...

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**



სტივენ ჯერარდი მეუღლესთან ერთად

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიცრუის დეტექტორი 3



# არ გვინდა... ფინიში!

**მსოფლიოს ჩემპიონატზე გუშინ ორი ნახევარფინალისტი გამოვლინდა, ორიც დღეს დაემატება; რაღა რჩება: მხოლოდ და მხოლოდ ოთხი თამაში: ორი ნახევარფინალი, მატჩი მესამე ადგილისათვის და მუნდიალის გადამწყვეტი მატჩი, ფინალი! ჰო, ერთ კვირაზე ოდნავ მეტი და მსოფლიოს ჩემპიონატიც დასრულდება; აი, მერე კი, მიუხედავად იმისა, რომ არცთუ იოლი საქმე იქნება, ისევ ჩვენ პრობლემებს უნდა მივხედოთ. ამ შემთხვევაში, რაღა თქმა უნდა, საფეხბურთო პრობლემებს ვგულისხმობთ - ერთ თვეში ხომ საქართველოს ჩემპიონატი იწყება!..**

...ასეა, გვინდა თუ არა, მსოფლიოს ჩემპიონატიდან... საქართველოს ჩემპიონატზე „გადმორთვა" მოგვიწევს; საბედნიეროდ, ამ ორ გათამაშებას შორის საკმარისზე მეტი დროა, - ყოველ შემთხვევაში, ერთი თვის განმავლობაში, ალბათ, შესაძლებელიც იქნება მუნდიალის „დავიწყება" და... ეროვნული ჩემპიონატისათვის „შემზადება", ოღონდ, არცთუ ისე იოლი, მაგრამ მაინც - შესაძლებელი...

...უცბად, წარმოვიდგინოთ: საქართველოს XXII ჩემპიონატის დაწყებას აქ მონაწილე ათივე გუნდის „ფან-კლუბების" ჩამოყალიბება რომ დაემთხვევა! ჰოდა, ყველა ტურის წინ ერთდროულად ხუთი ადგილიდან რომ პირდაპირი ჩართვები იქნება, ამა თუ იმ გუნდის მაისურებში გამოწყობილი გოგო-ბიჭები მხურვალედ რომ უქომაგებენ თავიანთ (თან, ქართველ) კერპებს, ტოტალიზატორებში ხუთივე მატჩის ფსონების გარჩევა-განხილვაზე ტვინის ჭყლეტა რომ წავა, ამ ხუთივე შეხვედრის დაწყებამდე თუ დამთავრების შემდეგ ფეხბურთის სპეციალისტები თითოეული გუნდის ახალ-ახალი ტაქტიკა-სტრატეგიას რომ გაარჩევენ, ვინ იცის, იქნებ, მუნდიალიც დაგვავიწყდეს, თანაც, ხომ შეიძლება, იმ პერიოდისთვის (ანუ 7-8 აგვისტოსთვის) „დამატებითი საფიქრალიც" გვქონდეს: წლევანდელ ევროტურნირებზე მოასპარეზე ოთხივე ქართულ გუნდს პირველი და მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი დაძლეული ჰქონდეს და უკვე გადამწყვეტი მატჩებისთვის ემზადებოდნენ...

...ვერაფერს ვიტყვით. მართლაც „ცხელი საფეხბურთო ზაფხული" გველოდება; უფრო ზუსტად, ზაფხულის დარჩენილი ორი თვე, თორემ ივნისს... მხოლოდ ჩვენგან კი არა, საერთოდ, არავისგან დასაწუნი არაფერი უნდა „ჰქონოდა": ბოლოს და ბოლოს, გარკვეული პერიოდის განმავლობაში მაინც „დავივიწყეთ" ქართული ფეხბურთის პრობლემებიც და, რაც მთავარია, „სიცრუის დეტექტორი" ყველას გა-და-გვა-ვი-წყდა!!! ჰო, ქართულ ფეხბურთში „სიცრუის დეტექტორის" დანერგვაზე რომ ვფიქრობდით ამ წლის დასაწყისში, ხომ არ დაგავიწყდათ? თუ ასეა, მაშინ, ისლა დაგვრჩენია, შეგახსენოთ, თუ რამ გვიბიძგა ამ მართლაც „ნოვატორული გამოგონებისკენ". რაღა თქმა უნდა, ქართულმა სატრანსფერო კამპანიამ, დედამიწის ზურგზე ანალოგი რომ არ მოეძებნება! ჰო, მაშინვე (ამა წლის იანვარში) ვივარაუდეთ, რომ „ქართული სატრანსფერო ზღაპრები" ყოველ ექვს თვეში ერთხელ აქტუალური იქნებოდა და ასეც მოხდა.

ანუ, ზამთრის სატრანსფერო პერიოდში მოსმენილ-წაკითხულში „სატრანსფერო ზღაპრებისგან" რომ დავისვენეთ, ახლა უკვე... საზაფხულო „სერიებიც" გვეწყება! უფრო ზუსტად, უკვე დაიწყო, თან, წინა სეზონის დამთავრებისთანავე; უბრალოდ, მსოფლიოს ჩემპიონატმა, ცოტა არ იყოს, „გადაწონა" და შესაძლოა, ამის გამოც არის, რომ „სიცრუის დეტექტორი" გადაგვავიწყა. თორემ, ზღაპრებს მოისმენთ თუ წაიკითხავთ, იცოცხლეთ; თანაც, ლამის შეჯიბრებაც (გნებავთ, კონკურსი) გამოცხადდეს, ვინ უფრო... დამაჯერებლად მოიტყუება! ოღონდ, იმაზეც უნდა შევთანხმდეთ, რომ კონკრეტული ფეხბურთელის ვინაობას არ დავასახელებთ, - ჩვენთან ხომ კრიტიკა კი არა, ოდნავ განსხვავებული აზრის გამოთქმაც არავის სიამოვნებს. მაგრამ, როცა ერთი და იგივე ფეხბურთელი, ერთი კვირის განმავლობაში ხუთ თუ ექვს გუნდში ცდილობს მწვრთნელისთვის თავის მოწონებას (საბოლოოდ კი, მეშვიდე გუნდში აღმოჩნდება), რომელი „სიცრუის დეტექტორი" უშველის ამ საქმეს? ყველაზე უცნაური კი ის არის, როცა აქედან ორი-სამი წლის წინათ აქედან წასული ფეხბურთელები უკან ბრუნდებიან, როგორ „დიდ გულზე" არიან: მწვრთნელი ჩემზე ჭკუას ჰკარგავდა, პრეზიდენტს შვილივით ვუყვარდი, ფანები მაღმერთებდნენ, იქაური ჟურნალისტები ეპითეტებს არ იშურებდნენ, მაგრამ... ახალ კონტრაქტზე ვეღარ მოვილაპარაკეთ და ისევ აქ ჩამოსვლა ვამჯობინეთო! თან, როგორ გგონიათ, ერთი ან ორი ჩვენებურისგან მოისმენთ მსგავს სიტყვებს?

ეგ კი არა, აპრილი თუ მაისის თვე იყო, ზუსტად არ გვახსოვს (ყოველ შემთხვევაში, სეზონის დასრულებამდე დრო კიდევ რჩებოდა), ერთ-ერთ უცხოურ კლუბში მოასპარეზე ფეხბურთელმა „ლელოსთან" ინტერვიუში რომ განაცხადა: ხუთი-ექვსი ქვეყნის ერთიმეორეზე უკეთესი გუნდები მიწვევენ, მაგრამ გადაწყვეტილების მიღებას არ ვჩქარობო; თანაც, ქვეყნები ჩამოთვალა, მხოლოდ პრემიერლიგა, პრიმერადივიზიონი და სერია A არ უხსენებია, თორემ დანარჩენი, ყველგან ასარჩევად ჰქონდა საქმე. და, რა - მხოლოდ ერთმა ფეხბურთელმა მოყვა მსგავსი ზღაპარი? რომ არ დაიზაროთ და ერთი თვის წინანდელ სპორტულ პრესას გადახედოთ, ოცამდე (!) ანალოგიურ ზღაპარს წააწყდებით.

თანაც, ყველაზე უცნაურიც ის არის ხოლმე, როცა ასეთი განცხადების ავტორი, უკეთეს შემთხვევაში, ჩვენი ჩემპიონატის აუტსაიდერი გუნდის ღრმა რეზერვში ან, სულაც პირველ ლიგაში გამოჩნდება-ხოლმე! ისეთებიც გვყავს, წინა სეზონი აქ რომ ჩაატარეს და თავი ვერაფრით გამოიჩინეს, მაგრამ, თურმე, ექვსი-შვიდი სოლიდური უცხოური კლუბებიდან მიწვევა ჰქონიათ, ოღონდ, თუ რომელიმე ქართული გუნდი დაინტერესდება. მაინც აქაურობა გვირჩევნიაო; არადა, სინამდვილეში არც არავინ იწვევს, - უბრალოდ, სადაც თამაშობდა, კონტრაქტი დაუმთავრდა და თვითონაც რომ ატყობს, ახალს არ გაუფორმებენ, იქნებ, პრესით გაკეთებული განცხადებით ვინმეს ყურადღება მიიქციოს...

...კონტრაქტების თემა ხომ, საერთოდ, მართლაც მასხარაობამდეა მისული; შორს ნუ წავალთ: აბა, გაიხსენეთ, ბოლო ერთ წელიწადში რამდენი პომპეზური პრეზენტაცია ვნახეთ; ჰო, დაგვიძახებენ ჟურნალისტებს (პრესა, ტელევიზია, რადიო, ფოტო), კლუბის ახალწვეულებს საზეიმო ვითარებაში მუდმივნომრიან მაისურებს გადასცემენ და ასევე საზეიმოდ გვამცნობენ: „ამ" ფეხბურთელთან ორწლიანი კონტრაქტი გაფორმდა, „იმას" - ორწელიწადნახევრიანი, „ეს" ახალგაზრდაა და პერსპექტივაზე გათვლით ოთხწლიანი ხელშეკრულება დავუდეთო. აი, „ის" კი, სულაც ჩვენი კლუბის სიმბოლო უნდა გახდეს და ხუთი წელი ტყუილად ნურავინ შეგვაწუხებს, მაინც არანაირ ფასად არ დავთმობთო! სინამდვილეში კი რა ხდება: ექვსი თვის მერე კლუბის ოფიციალურ განცხადებაში ვკითხულობთ, რომ ზემოთ დასახელებულ ფეხბურთელებს თურმე, კონტრაქტი დაუმთავრდათ!

ანუ, ზოგიერთი ქართული კლუბის ხელმძღვანელი... ზუსტი მეცნიერების ისტორიაში დამკვიდრებას ცდილობს, რახან გვიმტკიცებს: ორი წელიწადი იგივეა, რაც ... ექვსი თვეო, ეგ კი არა, ოთხი წელიწადიც და ხუთიც, თუ „საჭირო იქნება", ექვს თვეს უდრისო! აბა, გჯერათ ამ ზღაპრების? არადა, გვერწმუნეთ, მართლაც ასეა; თანაც, ადრე გულისტკივილით აღვნიშნავდით-ხოლმე, - ეს „ერთწლიანი გუნდები" რა უბედურებააო, ახლა კი მთელ მსოფლიოს ვაოცებთ „ექვსთვიანი გუნდებითა" და იმ მართლაც ახალი მათემატიკური აღმოჩენით, როცა, ორი წელი და ექვსი თვე, თურმე , ერთი და იგივე დრო ყოფილა...

...გამოსავალი? ალბათ, ისევ და ისევ, „სიცრუის დეტექტორის" დანერგვა-გამოყენება ქართულ ფეხბურთში. თუმცა, ჯერ სადა ვართ: საქართველოში სატრანსფერო კამპანია, ხომ, ფაქტობრივად, ახლა იწყება; ჰოდა, ახალ-ახალი და ლამაზ-ლამაზი ზღაპრებიც ანი ნახეთ. თანაც, მუნდიალიც დამთავრდება და ქართული ზღაპრებიც „წამოვა და წამოვა"...

**გია ტუხაშვილი**

ინტერვიუ

## შოთა არველაძე

# მწვრთნელობაში ჩემი ხელწერა მექნება

### არველაძე არგენტინას გულშემატკივრობს

**37 წლის შოთა არველაძემ ჰოლანდიურ „ალკმაარში" გუნდის თავკაცის ასისტენტად მუშაობის შემდეგ, დამოუკიდებლად გადაწყვიტა გუნდის გაძღოლა. ქართველ მწვრთნელს მთხოვნელი არ აკლდა და მაისში არჩევანიც გააკეთა. შოთა არველაძე თურქულ სუპერლიგაში მოასპარეზე „ქაისერისფორის" მთავარი მწვრთნელია. მან ამ პოსტზე ახლო მეგობარი და ყოფილი თანაკლუბელი თოლუნაი კაფკაი შეცვალა.**

**შოთა უკვე შეუდგა დამოუკიდებლად მუშაობას, გუნდის მომზადებას. გუნდიც გააძლიერა და ერთ-ერთ ახალწვეულად ჩვენი ნაკრების მცველი ალექსანდრე ამისულაშვილი მიიწვია ნალჩიკის „სპარტაკიდან".**

**საინტერესოა, რა აზრისაა შოთა ახალ საქმეზე, გუნდზე, რას ფიქრობს მომავალზე, რას გეგმავს... ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე შოთა არველაძეს გავესაუბრეთ. საკლუბო თემების გარდა, რაღა თქმა უნდა, მსოფლიოს ჩემპიონატსა და სხვა საინტერესო საკითხებსაც შევეხეთ.**

**- შოთა, „ქაისერისფორზე" უკვე საკმაო წარმოდგენა გაქვთ. რას გვეტყვით ახალ გუნდზე?**

- გასული სეზონის შემდეგ ამ გუნდში ცვლილებები მოხდა, რამდენიმე ფეხბურთელი წავიდა. მთავარი მწვრთნელი რომ გავხდი, უმალ გუნდის გაძლიერებაზე დავიწყე ზრუნვა. რამდენიმე ფეხბურთელი დავიმატეთ, მათ შორის ალექსანდრე ამისულაშვილიც. კიდევ ვაწარმოებთ მოლაპარაკებას მოთამაშეებთან და იმედი მაქვს, კარგ გუნდს ჩამოვაყალიბებთ. რაც მთავარია, ჩვენს გუნდს ერთ-ერთი საუკეთესო ბაზა და სტადიონი აქვს. ეს კი კარგი გუნდის ჩამოყალიბებისთვის აუცილებელი პირობაა. ქაისერი ლამაზი ქალაქია, გულშემატკივარიც ერთგული, გამორჩეული გვყავს და მათი თანადგომისა მჯერა.

**- ისეთი ცნობილი მწვრთნელების თანაშემწე იყავით, როგორიც ლუის ვან გაალი, დიკ ადვოკაატი და რონალდ კუმანი არიან. მათგან ბევრი რამ ისწავლეთ და ვფიქრობ, დამოუკიდებლად მუშაობა არ უნდა გაგიჭირდეთ. ამ მწვრთნელებიდან რომელიმეს მიმდევარი ხომ არ იქნებით?**

- დამოუკიდებლად მუშაობის იმედი რომ არ მქონდეს, მაშინ ამ ნაბიჯს არ გადავდგამდი. ვფიქრობ, უკვე შემიძლია გუნდს ვუხელმძღვანელო და ამიტომაც მივიღე ეს გადაწყვეტილება. მაღალი დონის მწვრთნელებთან ასისტენტად მუშაობისას მათგან ბევრი რამ ვისწავლე. რა თქმა უნდა, ყველა მათგანისგან საუკეთესოს ავიღებ, მაგრამ ჩემი საფეხბურთო კრედო ჩემი იდეებით და შეხედულებებით არის გაჯერებული. ასე რომ, არავის მივბაძავ, როგორც მწვრთნელს, ჩემი ხელწერა მექნება.

**- მოდით, მაშინ ასე გკითხავთ. რა სტილის ფეხბურთს ითამაშებს თქვენი ხელმძღვანელობით „ქაისერისფორი"?**

- უპირველესად, გამართული, სწორი და გააზრებული თამაში უნდა ვაჩვენოთ. ამასთან შედეგზეც უნდა ვიზრუნოთ და არც თამაშის სანახაობრივი მხარეც უნდა დაგვავიწყდეს.

**- ამისულაშვილი უკვე დაიმატეთ. თურქულ პრესაში დაიწერა, „ქაისერისფორი" ზურაბ ხიზანიშვილსა და ოთარ ხიზანეიშვილსაც დაიმატებსო. სხვა ქართველს თუ ვიხილავთ თქვენს გუნდში?**

- არა, ზურაა და ოთარის დამატებაზე ლაპარაკიც არ ყოფილა. ამ ეტაპზე სხვა ქართველი ფეხბურთელის დამატების საკითხი ნამდვილად არ განიხილება.

**- რამდენადაც გავიგე, კლუბის ხელმძღვანელობამ ახალი სეზონისთვის მიზნად ხუთეულში მოხვედრა დაგისახათ. ეს რამდენად შესაძლებელია?**

- ბოლოს ჩატარებულ სეზონს თუ არ ჩავთვლით, „ქაისერისფორი" თურქულ სუპერლიგაში ყოველთვის მოწინავე 5-6 გუნდს შორის იყო. ჩვენ ამ მიზნისთვის უნდა ვიბრძოლოთ. იმედი მაქვს, კიდევ დავიმატებთ ფეხბურთელებს, გუნდს კიდევ გავაძლიერებთ და ჩემპიონატში წარმატებით ვიასპარეზებთ.

**- რომელ სათამაშო რგოლებზე აპირებთ გუნდის გაძლიერებას?**

- ნახევარდაცვასა და თავდასხმაში გვინდა გაძლიერება.

**- ბრიტანულ პრესაში განაცხადეთ, თუ კრის ბოიდი ქაისერში კონტრაქტის გასაფორმებლად ჩამოვა, მზად ვართ, მას პერსონალური თვითმფრინავიც კი გავუგზავნოთო. შოტლანდიის ნაკრების თავდამსხმელის ტრანსფერის საკითხზე ახალი ხომ არაფერია?**

- ჯერჯერობით არაფერია. უშუალოდ კრის ბოიდსა და მის აგენტს არაერთხელ ვესაუბრე, მისაღები პირობები შევთავაზეთ. მისი გადაბირება ინგლისურ და სხვა თურქულ კლუბებსაც უნდათ... კიდევ მაქვს იმედი, რომ ბოიდი არჩევანს ჩვენს სასარგებლოდ გააკეთებს და ვნახოთ...

**- ახლა მსოფლიოს ჩემპიონატზე ვისაუბროთ. რომელ გუნდს გულშემატკივრობთ?**

- უკვე წლებია არგენტინის გულშემატკივარი ვარ. ამ ნაკრებს ჩემი კერპი, ლეგენდა დიეგო მარადონა წვრთნის და ძალიან მინდა მსოფლიოს თასი მოიგოს. არგენტინას ძლიერი ნაკრები ჰყავს. მთავარია იღბალმა ზურგი არ აქციოს და ამ გუნდის ტრიუმფს ვიხილავთ.

**- სხვა რომელი ნაკრების თამაშმა მოგხიბლათ?**



- ჩემპიონატი კარგად დაიწყო გერმანიამ, ესპანეთისგან სასტარტო ტურში მარცხს ნამდვილად არ ველოდი. ასევე არ ველოდი, თუ იტალია ჯგუფში ბოლო ადგილზე გავიდოდა. ინგლისის ნაკრები შემეცოდა... ჰოლანდია და ესპანეთი კიდევ მოუმატებს, არგენტინაც უკეთ ათამაშდება.

**- რამდენად გაამართლა მსოფლიოს ჩემპიონატის სამხრეთ აფრიკაში ჩატარებამ?**

- სამხრეთ აფრიკაში მსოფლიოს ჩემპიონატის ჩატარება მთლიანად ამ კონტინენტზე ფეხბურთის პოპულარიზაციას დიდად შეუწყობს ხელს. მატჩები შუაევროპული დროით იწყება, სტადიონები კარგია, ორგანიზებაც. ასე რომ, ვფიქრობ, ამან გაამართლა.

**- დაბოლოს, ისევ „ქაისერისფორზე" გკითხავთ. რამდენადაც ვიცი, მალე უცხოურ შეკრებაზე მიგყავთ გუნდი... სეზონი როდის იწყება?**

- დიახ, ჯერ თურქეთში მოვემზადებით, 17 ივლისს კი ავსტრიაში, გრაცში გავემგზავრებით შეკრებაზე. რამდენიმე ამხანაგურ მატჩს გავმართავთ. თურქეთის სუპერლიგაში სეზონი 15 აგვისტოს იწყება.

**დავით ცაბაძე**

*P.S. ინტერვიუ მომზადებულია მსოფლიოს ჩემპიონატის 1/4-ფინალურ მატჩებამდე.*

ვერსია

# მერაბ ჟორდანია: დინამოს აბრამოვიჩი არ ყიდულობს

## რატომ გაჩნდა კვამლი უცეცხლოდ?

თბილისის „დინამო“ არა მარტო პოსტსაბჭოთა სივრცეში, არამედ ევროპულ საფეხბურთო სამყაროშიც ცნობილი ბრენდია. პატარა ამბავი ხომ არ არის, გუნდმა თასების თასი მოიგო და თავისი 85-წლოვანი ისტორია სხვა არაერთი ტიტულითა თუ მნიშვნელოვანი წარმატებით გაამდიდრა. გუნდს, რომელიც თითქმის მთელი ქართული ფეხბურთის ისტორიაა, შესაძლოა, კიდევ ერთხელ შეეცვალოს მეპატრონე. ცნობილ ოლიგარქ **ბადრი პატარკაციშვილის** ლონდონში მოულოდნელად გარდაცვალებიდან რამდენიმე თვეში გავრცელდა ხმები, რომლის თანახმადაც, მის მფლობელობაში მყოფ თბილისის „დინამოს“ ახალი მეპატრონე ეყოლებოდა. მაშინ ყველაზე ტიტულოვანი ქართული კლუბის ახალ მეპატრონედ რუსი ოლიგარქები დასახელდნენ - ჯერ „ჩელსის“ მფლობელი **რომან აბრამოვიჩი**, შემდეგ კი **ბორის ბერეზოვსკი**. თუმცა მაშინ ეს ხმები ხმებადვე დარჩა, „დინამოს“ პატრონობა ბადრი პატარკაციშვილის ოჯახმა გააგრძელა.




მას მერე, დღემდე პერიოდულად ვრცელდება ხმები, პატარკაციშვილის ოჯახის წევრები „დინამოს“ გაყიდვას აპირებენო. პოტენციურ მყიდველებად ჯერ რუსი ბიზნესმენები დასახელდნენ, მერე კი ერთ-ერთი ინგლისური ჰოლდინგი. იმასაც შეგახსენებთ, რომ შარშან შემოდგომაზე „დინამოს“ ყოფილმა პრეზიდენტმა **მერაბ ჟორდანიამ** საჯაროდ განაცხადა - „დინამოს“ კანონიერი მფლობელები კლუბის დაბრუნებისთვის ბრძოლის ახალ ეტაპს ვიწყებთო. შესაძლოა, ეს, ერთი შეხედვით, მოვლენათა უბრალო დამთხვევადაც კი მიიჩნიოს ვინმემ, მაგრამ მედალს ხომ მეორე მხარეც აქვს?

ამ საკითხზე, რა თქმა უნდა, „დინამოს“ მმართველი დირექტორის პოზიციითაც დავინტერესდით და **ბუბა ტყავაძეს** მივმართეთ.

**- გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, თბილისის „დინამოს“ ცნობილი ოლიგარქი რომან აბრამოვიჩი ყიდულობს. რისი თქმა შეგიძლიათ?**

- ვინც ეს ინფორმაცია გაავრცელა, სჯობს, კომენტარისთვის მას მიმართოთ.

**- კლუბის მფლობელ ბადრი პატარკაციშვილის ოჯახის ინტერესებში, მიზნებში თუ შედის „დინამოს“ გაყიდვა?**

- ამაზე ვერაფერს გეტყვით...

ბუბა ტყავაძე მხოლოდ ამ მოკლე კომენტარით შემოიფარგლა. რა თქმა უნდა, **მერაბ ჟორდანიასთან** დაკავშირებასაც შევეცადეთ, მაგრამ მისი მობილური ტელეფონი გამორთული იყო. მოგვიანებით დავადგინეთ, რომ ჟორდანია უცხოეთშია და სამშობლოში რამდენიმე დღეში დაბრუნდება. მის მეგობარ და „დინამოს“ ყოფილ მმართველ **რომან შოთაძესაც** დავუკავშირდით.

*„მერაბი საქართველოში არ არის, უცხოეთშია და თბილისში რამდენიმე დღეში დაბრუნდება. რაც შეეხება „დინამოსთან“ დაკავშირებით კითხვას, ეს პირველად მესმის და ვერაფერს გეტყვით“*, - „ლელოსთან“ საუბარში აღნიშნა რომან შოთაძემ.

როგორც ხედავთ, ამ ვერსიას ჯერჯერობით არავინ ადასტურებს. თუმცა, როგორც იტყვიან, კვამლი უცეცხლოდ არ ჩნდება. ისიც რეალობაა, რომ „დინამომ“ წელს პირველად დაარღვია ტრადიცია და ევროტურნირებისა და ახალი სეზონისთვის მოსამზადებლად გუნდი უცხოურ შეკრებაზე არ ყოფილა. კლუბი წამყვანმა ფეხბურთელებმა დატოვეს ძმებმა **გურამ** და **შოთა კაშიებმა**, მაკედონიელმა **ალექსანდრ კრტესკიმ**, გაბონელმა **ჯორჯ აკირემმა, თენგიზ ჩიკვილაძემ**. ამ ხუთეულის სანაცვლოდ კი გუნდს მხოლოდ ორი ფეხბურთელი დაემატა - ისრაელიდან დაბრუნებული **ლევან ხმალაძე** (რომელიც თავისუფალი აგენტია და მის სანაცვლოდ თანხის გაღება არ იყო საჭირო) და თბილისის „ლოკომოტივის“ ფორვარდი **ზვიად მეტრეველი**. მხოლოდ ამ ორი ფეხბურთელის დამატება, და უცხოურ შეკრებაზე უარის თქმამ ახალ ვერსიას დაუდო სათავე, რომლის თანახმადაც, „დინამოს“ დაფინანსება მნიშვნელოვნად შეუმცირდა...

და ერთიც, შესაძლოა ზოგმა იკითხოს, რად უნდა აბრამოვიჩს „დინამო“, ეს ხომ ზედმეტი ხარჯიაო. საქმე ის არის, რომ რომან აბრამოვიჩი „დინამოს“ შესყიდვას „ჩელსისთვის“ ერთი ვარსკვლავის შეძენის საფასურად შეძლებს. ამ კლუბის შენახვა კი წლიურად გაცილებით ნაკლები დაუჯდება, ვიდრე „არისტოკრატების“ ერთი ვარსკვლავი. ასე რომ, ერთი ტოპფეხბურთელის საფასურად აბრამოვიჩი მთელ კლუბს ყიდულობს მდიდარი ისტორიით და უარს რატომ იტყვის? ასე რომ, თავად განსაჯეთ...

გვიან ღამით კიდევ ერთხელ შევეცადეთ მერაბ ჟორდანიასთან დაკავშირებას და ამჯერად კომენტარიც მოვიპოვეთ.

*„ამჟამად რომან აბრამოვიჩის გარემოცვასთან ერთად სამხრეთ აფრიკაში, მსოფლიოს ჩემპიონატის დარჩენილ მატჩებზე დასასწრებად მივემგზავრები... რაც შეეხება კითხვას, შემიძლია გითხრათ, რომ ინფორმაცია, თითქოსდა რომან აბრამოვიჩი ან მისი კომპანიონები თბილისის „დინამოს“ ყიდულობენ, სიმართლეს არ შეესაბამება“*, - „ლელოსთან“ საუბარში აღნიშნა მერაბ ჟორდანიამ.

**დავით ცაგაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბები

## კანდელაკიც ინტერში ითამაშებს

აზერბაიჯანის ჩემპიონ ბაქოს „ინტერს“ კიდევ ერთი ქართველი დაემატა - 29 წლის მცველი **ილია კანდელაკი**. აზერბაიჯანული წყაროების apasport.az-ისა და extratime.az-ის ინფორმაციით, უკვე გადაწყვეტილი ამბავია, კანდელაკი ბულგარეთში მოსამზადებელ შეკრებაზე მყოფ „ინტერს“ უკვე შეუერთდა და დღეს-ხვალ კლუბთან კონტრაქტს გააფორმებს. შეგახსენებთ, რომ გუნდში, რომლის თავკაცი **კახა ცხადაძე**, თანაშემწე კი **გიორგი ჩიხრაძეა**, მეკარე **გიორგი ლომაია**, მცველი **კახა მჟავანაძე**, ნახევარმცველი **დავით ოდიკაძე**, და თავდამსხმელი **ბაჩანა ცხადაძე** უკვე ასპარეზობენ.

## ასათიანმა დინამოს გაუტანა

ავსტრიაში მოსამზადებელ შეკრებაზე მყოფმა მოსკოვის „ლოკომოტივმა“ მორიგი საკონტროლო მატჩი გამართა. რკინიგზელები ბუქარესტის „დინამოს“ გაეჯიბრნენ და 1:0 მოიგეს. ეს ერთადერთი გოლი შეხვედრის მე-14 წუთზე ჩვენი ნაკრების მცველმა **მალხაზ ასათიანმა** გაიტანა. გაცნობებთ იმასაც, რომ ასათიანი სასტარტო შემადგენლობაში იყო და 69-ე წუთზე **ბურლაკმა** შეცვალა.

## ბურდული ნეფთჩიში 2 წლით

29 წლის ნახევარმცველი **ლადო ბურდული** ბაქოს „ნეფთჩიში“ რომ ვარჯიშობს და საკონტროლო მატჩშიც ითამაშა, ეს წინა ნომერში გაცნობეთ. ბაქოელები მოსამზადებელი შეკრებისთვის ავსტრიაში გაემგზავრნენ, ბურდულმა კი სამშობლოს მოაშურა და გუშინწინ „დინამო“-„ფლორას“ მატჩს დაესწრო. ბუნებრივია, მისი ტრანსფერის საკითხით დავინტერესდით და სასიამოვნო ინფორმაცია მივიღეთ. როგორც თავად ბურდულმა გვითხრა, ავსტრიაში გასამგზავრებლად სავიზო პრობლემის მოგვარება ბაქოში ვერ მოხერხდა და ამიტომაც ჩამოვიდა თბილისში. გავიგეთ ისიც, რომ ბურდული გუშინ გაემგზავრა ავსტრიაში. ლადო დღეს, „ბეშიქთაშთან“ ამხანაგურ მატჩში ვერ ითამაშებს, 6 ივლისს რუმინულ „ოცელულთან“ კი კვლავ გამოჩნდება „ნეფთჩის“ რიგებში... და მთავარი, უკვე გადაწყვეტილი ამბავია, ლადო ბურდული ამ დღეებში ბაქოს „ნეფთჩისთან“ 2-წლიან კონტრაქტს გააფორმებს.

**დავით ცაგაძე**



საქართველოს ჩემპიონატი

# დუბლები ძირითადების შემდეგ

## პროფლიგას ბევრი ტურნირი გადააბარეს

29 ივლისს გამართული პროფესიული ფეხბურთის ლიგის მე-14 კონფერენციაზე „ლელო" უკვე წერდა. თუმცა ორგანიზაციის პრესსამსახურმა ლიგის გადაწყვეტილებები სრულად გამოაქვეყნა და მათში რამდენიმე სიახლე თუ მნიშვნელოვანი დეტალი აღმოვაჩინეთ.

კონფერენციაზე ოფიციალურად წარადგინეს პროფლიგის ვიცე-პრეზიდენტი **მიხეილ ჯიშკარიანი** და ფინანსურ საკითხებში ლიგის პრეზიდენტის თანაშემწე **ზაზა გუნცაძე**.

ცნობილია, რომ საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის 2010-11 წლების სეზონის გათამაშებას 10 გუნდი 4 წრედ ითამაშებს. კორექტირება განიცადა ლიგიდან გავარდნის წესმა: ლიგის პრეზიდენტ **გია ფირცხალავას** ინიციატივით, 2010-11 წლების სეზონის დასრულების შემდეგ, მეცხრე-მეათე ადგილებზე გასული გუნდები ქვედა ლიგაში დაქვეითდებიან და მათ ადგილებზე პირველი ლიგის პირველ-მეორე ადგილზე გასული გუნდები ალზევდებიან. გარდა ამისა, აღდგა გადათამაშების პრინციპი და უმაღლეს ლიგაში მე-8 ადგილზე გასული პირველლიგელ მესამეადგილოსანთან გაარკვევს უმაღლესის კიდევ ერთ საგზურს. გადათამაშება იქნება ერთმატჩიანი, ჩატარდება ნეიტრალურ მოედანზე და მისი გამართვის ადგილსა და თარიღს პროფლიგა განსაზღვრავს.

საინტერესოა სწორედ მიზეზი, გადათამაშების აღდგენა რატომ გახდა აუცილებელი? გასულ წელს გადათამაშება ლიგის კონფერენციამ იმ მოტივით გააუქმა, რომ ყოველ წელს დიდი სკანდალისა და უსიამოვნების მიზეზი ხდებოდა.

ფირცხალავა დარწმუნებულია, რომ გათამაშებას მინუსზე მეტი პლუსი აქვს, ეს მოდელი ჩემპიონატს გაცილებით დაძაბულს გახდის და ეგრეთ წოდებულ „გამსვლელი" თამაშების რაოდენობას საგრძნობლად შეამცირებს. ასევე, პირველ ლიგაშიც გაცილებით გაიზრდება მოტივაცია და საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლა საგრძნობლად უშელავათო ხასიათს მიიღებს. დელეგატებმა ლიგის თავკაცის ეს ინიციატივა მოიწონეს და დაამტკიცეს.

ალბათ, ამაში არის ლოგიკა და სასურველი გადაწყვეტილებაა. საქმე ისაა, რომ სამი გუნდის გავარდნის საფრთხე არის მუდმივი დაძაბულობის გარანტია. ამას გარდა, უმაღლესში გუნდების შეკვრა-გარიგების ნაკლები შანსი დარჩებათ, რადგან თითოეულ ქულას ოქროს ფასი დაედება. ბუნებრივია, ეს გადაწყვეტილება პირველ ლიგასაც მეტ დაძაბულობასა და სტიმულს შესძენს, რადგან უმაღლესში ორის ნაცვლად, სამი გუნდი შეიძლება გადავიდეს.

თუმცა ამ შემთხვევაში მატჩის ორგანიზება ბევრად უფრო მაღალი დონის უნდა იყოს, წლების წინ „გაგრა"-"სპარტაკის" (გადათამაშება) და „სიონი"-"ვიტ ჯორჯიას" (საჩემპიონო ფინალის მატჩი) შეხვედრებში მომხდარი ინციდენტები რომ არ განმეორდეს.

ფირცხალავას ეკუთვნის კიდევ ორი ინიციატივა: საქართველოს თასის ფინალის ტრადიციულად დადგენილი თარიღის შეცვლა და საქართველოს სუპერთასის ადგილზე მსჯელობა. თასის ფინალი ტრადიციულად გაზაფხულზე, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, 26 მაისს იმართებოდა. ეს დღე ყოველთვის სხვადასხვა მნიშვნელოვანი მოვლენით იყო დატვირთული. ამის გამოც, თასის ფინალი ჩრდილში იყო მოქცეული. ფირცხალავას ინიციატივით, რასაც დელეგატებმაც ერთხმად დაუჭირეს მხარი, 2011 წლიდან ფინალის დღედ ქართული ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი გამარჯვების დღე შეირჩა - 13 მაისი.

ესეც ლოგიკურია, რადგან ყველას კარგად გვახსოვს, სამი წლის წინ თასის ფინალი სწორედ 13 მაისს გაიმართა და ერთადერთი ფინალი გახლდათ, რომელიც დამოუკიდებლობის დღესასწაულის ჩრდილში არ მოექცა. 26 მაისს კი ტელევიზიების (ნებისმიერი ღონისძიების გაშუქების ხარისხი მათზეა დამოკიდებული) ყურადღება პრეზიდენტის, სამხედრო აღლუმისა და პოლიტიკური ღონისძიებებისკენაა მიპყრობილი, ფეხბურთი კი მხოლოდ „პოსტსკრიპტუმია".

რაც შეეხება საქართველოს სუპერთასის ჩატარების თარიღს, პროფესიული ფეხბურთის ლიგის ინიციატივით და კონფერენციის დელეგატების თანხმობით, ეს ჯილდო საქართველოს ჩემპიონს - რუსთავის „ოლიმპსა" და თასის მფლობელს, თბილისის „ვიტ ჯორჯიას" შორის 2010 წლის 20 ოქტომბერს გათამაშდება. არენას პროფლიგა გუნდებთან შეთანხმებით გაარკვევს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სიახლე: ზვიად სიჭინავა, რომელიც მოსვლის დროს პროფლიგის სხვა ორგანიზაციით შეცვლის აუცილებლობაზე ლაპარაკობდა, ახლა მისი ფუნქციის გაზრდას დათანხმდა და ეროვნული ჩემპიონატის ორგანიზების გარდა, 2010-11 წლების სეზონიდან უმაღლესი ლიგის გუნდების დუბლებისა და ჭაბუკთა ლიგის (ორ ასაკში (1995-1996, 1993-1994 წლებში დაბადებულთა შორის) გათამაშებაც ჩააბარა. ამ გადაწყვეტილებით, ლიგის ხელში მნიშვნელოვანი ბერკეტები და სახსრები მოიყრის თავს.

საზოგადოებისთვის უცნობი იყო კონფერენციის შემდეგი გადაწყვეტილება, რომ 1993-1994 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა ჩემპიონატში მონაწილე გუნდებს უფლება დართეს, განაცხადში 1992 წელს დაბადებული რვა ფეხბურთელი შეეყვანათ.

რაც უნდა პარადოქსულად ჟღერდეს, ჩემპიონატში სამონაწილეო თანხა მხოლოდ უმაღლესი ლიგის მონაწილეებს არ გაუზარდეს: პირველ ლიგაში საწევრო 15 ათასიდან 20 ათას ლარამდე გაიზრდა, რაც გუნდების უკმაყოფილების მიზეზი გახდა. მათი ბიუჯეტი 80-90 ათასი ლარიდან იწყება (300-400-ათასიანებიც არიან) და ასეთ სიდუხჭირეში დამატებითი მცირე ხარჯიც (5 ათასი) სერიოზულ პრობლემას ქმნის.

დუბლების ჩემპიონატში საწევრო 10-დან 12 ათას ლარამდე გაიზარდა, რადგან თამაშების რაოდენობა 27-ის ნაცვლად 36 გახდა (3-დან 4 წრემდე მოიმატა). ბუნებრივია, ამან საორგანიზაციო ხარჯები ავტომატურად გაზარდა.

უცნობი იყო დუბლების მატჩების განრიგი - ძირითად გუნდებამდე ადრე თუ მათი შეხვედრის შემდეგ. ლიგის კონფერენციამ გადაწყვიტა, რომ უმჯობესი იქნებოდა, ტურების ორშაბათობით გამართვა, უმაღლესი ლიგის ტურის მეორე დღეს.

გადაწყვეტილების მიზეზად ჩვენი მოედნების უხარისხობა დასახელდა - ბევრი მათგანი ისეთ მძიმე მდგომარეობაშია, ძირითადი გუნდების მასპინძლობისთვისაა უვარგისი და წინა დღეს დუბლები რომ ითამაშებენ, ადვილი წარმოსადგენია, უმაღლესლიგელებს როგორი მოედანი დახვდებათ. სამწუხაროდ, უხარისხო საფარი ასეთი არჩევანის წინაშე გვაყენებს და ახალგაზრდა ფეხბურთელები იჩაგრებიან. თუმცა სხვა გამოსავალი არ არის.

კონფერენციამ კომპანია „კოლხიდასთან" დაკავშირებული ფინანსური საკითხები განიხილა. ამის თაობაზე ფინანსურ საკითხებში ლიგის პრეზიდენტის თანაშემწე **ზაზა გუნცაძემ** და კომპანია „კოლხიდას" დამფუძნებელმა **ლექსო თოფურიამ** ილაპარაკეს. პოზიცია ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ზვიად სიჭინავამაც დააფიქსირა. ჩვენი ინფორმაციით, მისთვის 20-წლიანი კონტრაქტის არსებობა მიუღებელია.

მიღწეული სამმხრივი შეთანხმებით (ფეხბურთის ფედერაცია-პროფლიგა-კომპანია „კოლხიდა") „კოლხიდას" ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების შესრულების საბოლოო ვადად 2010 წლის 31 ივლისი დაუწესდა.

არსებობს ორი ვერსია - პირველი, თავად ლექსო თოფურიამ გვითხრა, რომ 31 ივლისამდე დავალიანებას გაისტუმრებს, მაგრამ გააგრძელებს თუ არა კონტრაქტს, უმაღლესი ლიგის გუნდების განსახელმწიფოებრიობაზეა დამოკიდებულია. ჩვენი ინფორმაციით, თოფურიამ საჭირო სახსრები მოიძია და ფედერაცია-პროფლიგის გაზრდილი მოთხოვნების დაკმაყოფილება არ გაუჭირდება. მეორე ვერსიით, „კოლხიდა" კონტრაქტს გაწყვეტს, მაგრამ მედიაპროექტს სხვა დაინტერესებული კომპანიები გააგრძელებენ.

ცნობილი იყო, რომ სტუმრის სტატუსით დამსწრე უეფას მედიაოფიცერმა **მამუკა კვარაცხელიამ** კონფერენციის დელეგატებს ცვლილებები შესთავაზა - ჩემპიონატისა და თასის მატჩებზე 12 წლამდე ასაკის ბავშვთა უფასოდ დასწრება; თასის ფინალში ყვითელმიღებული ფეხბურთელების დაშვება; ეროვნული ჩემპიონატის ჰიმნად დამტკიცებული **ჯანსულ კახიძის** საფეხბურთო მარშის საქართველოს სტადიონებზე დაბრუნება და ჩემპიონატის გაზაფხულ-შემოდგომის პრინციპზე გადასვლა.

თუმცა, ჩვენთვის უცნობი იყო, რა გადაწყვეტილება მიიღეს ამის თაობაზე. როგორც გავარკვიეთ, ფირცხალავას ინიციატივით, საკითხები განსახილველად ლიგის გამგეობას გადაეცა.

კვარაცხელიას იდეა ყურადღებას უდავოდ იმსახურებს, რადგან უხარისხო მოედნების პირობებში, ივნისისა და ივლისის მოცდენა მართლა გაუმართლებელი და უადგილო ფუფუნებაა. თუმცა, ევროპაში აპრობირებული შემოდგომა-გაზაფხულის სისტემასაც მრავალი დადებითი მხარე რომ აქვს, უდავოა - უპირველესად ის, რომ ევროპულ საშეჯიბრო კალენდარზეა მიბმული.

ამაზე მსჯელობა უნდა დაიწყოს. ქართულ ფეხბურთში ბევრი რამაა შესაცვლელი და თუ არ ვიმსჯელეთ, საინტერესო მოსაზრებები და პროექტები ჩრდილში მოექცევა. შესაცვლელი კი ძალიან ბევრია და კონფერენციაზე ზოგიერთი დელეგატივით პასიურად ჯდომით, მთქნარებითა და მხოლოდ თავის დაქნევით ჩვენს ფეხბურთს არაფერი ეშველება - კლუბებსა და საფეხბურთო მოხელეებს მეტი ინიციატივა მართებთ.

ფეხბურთი ბიზნესის ჭრილში

# კოლხეთში წილებს ინაწილებენ

## რა სარგებლობა მოაქვს კერძო კლუბს?

უმაღლესი ლიგის კლუბების განსახელმწიფოებრიობის პროგრამა, ბევრისათვის მოულოდნელად, ძალიან საინტერესოდ და სწრაფად წარიმართა. პროფლიგის კონფერენციის დასრულების შემდეგ, ლიგის პრეზიდენტმა **გია ფირცხალავამ** გადაწყვეტილი ამბები გაამხილა - ამიერიდან კერძო მესაკუთრის ხელში კიდევ სამი კლუბი გადავიდა: ბოლნისის „სიონს" „მადნეული" მიხედავს, ზუგდიდის „ბაიას" „სოკარი" და „ჯი-ემ-სი ჯგუფი", ფოთის „კოლხეთს" კი ფოთის პორტი და კიდევ ექვსი ბიზნესჯგუფი.

კლუბში მიმდინარე პროცესებზე კომენტარი ფოთის „კოლხეთის" პრეზიდენტ **თემურ ბარქაიას** ვთხოვეთ. ის აკონკრეტებს, პორტის გარდა, რომელი კომპანიები დაეხმარებიან ახალი სეზონიდან.

*„ფოთის პორტმა კლუბის აქციების 40 პროცენტი გადაიფორმა. ამას გარდა, „კოლხეთზე" პატრონობა კიდევ ექვსმა კომპანიამ აიღო. მათი უმრავლესობა ფოთში საქმიანობს. ახლა ტექნიკური დეტალები ზუსტდება და გვეცოდინება, რომელი მათგანი კლუბის აქციათა რამდენი პროცენტის მფლობელი გახდება და თითოეული მათგანი თავის წილ პასუხისმგებლობას აიღებს. ჩემი კომპანია „კოლხეთში" 10-პროცენტიან წილს იტოვებს და პრეზიდენტი კვლავ მე ვიქნები"*, - გვითხრა ბარქაიამ.

საქართველოს ჩემპიონატში ქართული ბრენდების შემოსვლის სეზონი ივნისის დასაწყისში კომპანია „ვისოლმა" გახსნა, რომელმაც ქუთაისის „ტორპედო" აიყვანა.

მანამდე უმაღლეს ლიგაში მხოლოდ ხუთი კერძო კლუბი გახლდათ: თბილისის „დინამო", „ზესტაფონი", „ვიტ ჯორჯია", „გაგრა" და თბილისის „ლოკომოტივი". ეს ორი უკანასკნელი უმაღლესიდან გავარდა და მათ ნაცვლად შემოსული კლუბებიც კერძო ბიზნესმა აიყვანა - „ტორპედო" და „კოლხეთი". დანარჩენი ხუთი კი („ოლიმპი", ცხინვალის „სპარტაკი", ბოლნისის „სიონი", „სამტრედია" და ზუგდიდის „ბაია") ან სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე გახლდათ, ან ნაწილობრივ მაინც იყო მასზე დამოკიდებული.

მაგალითად, ზუგდიდის „ბაია" ავიღოთ: ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ, ზვიად სიჭინავა კლუბიდან წამოვიდა. მას შემდეგ ცნობილი არ იყო, ვის ეკუთვნოდა „ბაია". როგორც ჩანს, კლუბი რაიონმა და ქალაქმა აიყვანეს, რადგან ახალი სპონსორი მოუძებნეს.

რუსთავის „ოლიმპი" კერძო კლუბად დაფუძნდა, მაგრამ ეკონომიკური გაჭირვების დროს ქვემო ქართლის ადმინისტრაციის თავკაცი **დავით კირკიტაძე** რომ არ დახმარებოდა, კლუბი სერიოზულად დასუსტდებოდა. ის ბოლნისის „სიონსაც" დაეხმარა, რომელიც მთლიანად ბოლნისის და ამ რაიონის ბიუჯეტს „ჩამოეკიდა". მსოფლიო ბაზარზე ფასების რადიკალური დაცემის შემდეგ კი, „მადნეულს" გაუჭირდა და არ ეფეხბურთებოდა.

საბედნიეროდ, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი ნელ-ნელა ჩაცხრა, ქართულმა წარმოებებმაც სული მოითქვეს და ფეხბურთისკენაც გაიხედეს: ახლა ორივე კლუბი ძველმა მეპატრონემ დაიბრუნა: „ოლიმპი" - „ქართულმა ფოლადმა", „სიონი" კი - „მადნეულმა".

ცხინვალის „სპარტაკის" არსებობა მთლიანად სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელ **დიმიტრი სანაკოევის** კეთილი ნების დამსახურებაა. ინფორმაცია „სპარტაკის" კერძო ჯგუფის ხელში გადასვლის შესახებ არ დადასტურდა, იმერლების მოლაპარაკებამ ინვესტორთან კი ჯერჯერობით შედეგი ვერ გამოიღო.

ამრიგად, ახლა უმაღლეს ლიგაში რვა კერძო კლუბია - „ოლიმპი", „დინამო", „ზესტაფონი", „ვიტ ჯორჯია", „სიონი", ზუგდიდის „ბაია", „ტორპედო" და „კოლხეთი", სახელმწიფოს კი მხოლოდ ორი კლუბი რჩება - „სპარტაკი" და „სამტრედია".

ბევრისთვის, შესაძლოა, ბოლომდე გაუგებრია, რა სარგებლობა მოაქვს კერძო კლუბს და რატომაა ის სახელმწიფო კუთვნილებაში მყოფზე სასარგებლო. ამის თვალსაჩინო მაგალითად 30 მაისს თბილისში გამართული საქართველო-შვეიცარიის ახალგაზრდული ნაკრებების შეხვედრაში ჩვენი გუნდის შემადგენლობა გამოდგება: საქართველოს ნაკრებში ეროვნული პირველობიდან (ძირითადში და შეცვლაზე) კერძო კლუბების 9 ფეხბურთელმა ითამაშა (**რონ კვასხვაძე, გიორგი ხიდეშელი, ბუბა დაუშვილი, ალექსი ბენაშვილი** (ყველა „ზესტაფონი") **ლევან კაკუბავა, მათე ვაწაძე** (ორივე თბილისის „დინამო"), **ირაკლი კლიმიაშვილი** („ვიტ ჯორჯია"), **თორნიკე ოქრიაშვილი** („გაგრა"), მხოლოდ **ნიკა კვეკვესკირი** იყო ზუგდიდის „ბაიადან" რომელსაც სახელმწიფომ მხოლოდ მეორე წრეში მიხედა.

ლეგიონერების უმრავლესობაც კერძო კლუბების გაზრდილი გახლდათ: ლაშა **თოთაძე** უცხოეთში „გაგრადან" წავიდა, **გიორგი გაწუგრავა** და **ბექა გოცირიძე** „ზესტაფონიდან", **რეზო ბარაბაძე** „თბილისიდან", **ნიკა ძალამიძე** ზვიად სიჭინავას კუთვნილ კერძო კლუბ „ბაიაში" გაიზარდა. მეკარე **გიორგი ბახტაძე,** მცველი **ბაქარ მირცხულავა,** ნახევარმცველი **ჯანო ანანიძე** და თავდამსხმელი **გიორგი ივანიშვილი** კი უცხოეთში მცირეწლოვნები წავიდნენ და კლუბში არ უთამაშიათ.

იმავე პერიოდში **თემურ ქეცბაიამ** კამერუნთან მატჩისთვის გამოძახებულ ფეხბურთელთა შორის, საქართველოს ჩემპიონატიდან მხოლოდ კერძო კლუბების ფეხბურთელები მიიწვია: **მაქსიმე ქვალითაია** (თბილისის „ლოკომოტივი"), **როინ კვასხვაძე** („ზესტაფონი"), **გურამ კაშიას** კი „დინამოში" თასის ფინალი ელოდა და ეროვნულს ამიტომ ვერ შეუერთდა.

ამას გარდა, საყურადღებოა მედიაკომპანია „კოლხიდას" პრეზიდენტ **ლექსო თოფურიას** განცხადება, რომელიც სახელმწიფო კლუბებს საფეხბურთო ტელეპროექტის დამაბრკოლებელ ფაქტორად ასახელებს, რადგან სახელმწიფო კლუბი წამგებიანია და სარისკო პარტნიორად განიხილება, მენეჯმენტიც გაცილებით მოუქნელი აქვთ.

თუნდაც „ლოკომოტივისა" და „გაგრას" მაგალითი გაიხსენეთ: *ბოლო წლებში სახელმწიფო კლუბმა გაზარდა და ძლიერ კლუბში გაუშვა ნიჭიერი ფეხბურთელი, როგორც „გაგრამ" (თორნიკე ოქრიაშვილი „შახტარში"), „ლოკომოტივმა" (ლევან ყენია „შალკეში"), „ბაიამ" (ნიკა ძალამიძე მოსკოვის ცსკა-ში) და საფეხბურთო სკოლა „საბურთალომ" (გიორგი ჭანტურია „ბარსელონაში").* ეს არ არის მშრალი სტატისტიკა, ძალიანაც მეტყველი ფაქტებია, რომელსაც დაფიქრება სჭირდება.

როდესაც ეროვნულ და ახალგაზრდულ ნაკრებებში სახელმწიფოს კუთვნილებაში მყოფი კლუბებიდან მხოლოდ ერთ ფეხბურთელს იწვევენ, ასეთი კლუბების მუშაობის „ეფექტურობაზე" ლაპარაკი ზედმეტია. ამიტომ გვჭირდება ჩვენ კერძო კლუბები, სადაც მეპატრონე საკუთარ ფულს უფრთხილდება და მისი ყადრი იცის. იცის ისიც, რისთვის მუშაობს და რა მიზანი აქვს - არა გვგონია ეს პატარა განსხვავება იყოს.

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოხმაურება

# საგანგაშო არაფერიაო...

## საუბარი საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის გენერალურ მდივან ზურაბ ქაცარავასთან



***- ბატონო ზურაბ, ალბათ გაეცანით ამ დღეებში "ლელოში" გამოქვეყნებულ გულშემატკივრის წერილს...***

- რა თქმა უნდა, გავეცანი. მართალი გითხრათ, გამიკვირდა, ისეთი მასშტაბური SOS-ის ქვეშ რომ დაიბეჭდა ეს მასალა. მავანი მკითხველი გაიფიქრებდა - ეს რა კატასტროფააო ქართულ ჩოგბურთში.

ისე, სასიამოვნოა, როცა რიგითი, "სტაჟიანი გულშემატკივარი" ინტერესდება ქართული ჩოგბურთის პრობლემებით, მაგრამ სამწუხაროა, რომ წერილში მონათხრობიდან ბევრია ჭორი და ყურმოკრული ამბავი.

***- და მაინც, წერილში მოყვანილ მოსაზრებებზე რას იტყვით, კერძოდ, იმაზე, რომ ფედერაციას ვაჟი ჩოგბურთელები გერებად მიაჩნია და მათ ყურადღებას არ აქცევს.***

- ეს, მეტი რომ არ ვთქვათ, უაზრობაა. დაფინანსება, რომელიც ფედერაციას აქვს, თანაბრად ნაწილდება. დღეს რომ შედეგები ვაჟთა ჩოგბურთში ნაკლებად შთამბეჭდავია, ეს ობიექტური მიზეზებით აიხსნება. ტრავმების გამო ირაკლი ლაბაძემ და ლადო ჩიხლაძემ თავი დაანებეს პროფესიულ ჩოგბურთს. 2-3 წლის წინ ბატონ თევზაძეს შეეძლო ეთქვა — ქალთა ჩოგბურთს ყურადღება არ ექცევა, მთელი ყურადღება ვაჟებზეა გადატანილიო. ამჟამინდელი მდგომარეობის ახსნა უბრალოდ შეიძლება — დღეს ქალთა ჩოგბურთში მართლაც ძლიერი თაობა მოვიდა. ორი მათგანი - ანა ტატიშვილი და ოქსანა კალაშნიკოვა - ლონდონის ოლიმპიური თამაშების საგზურისთვის იბრძვის. იმედი მაქვს, ერთ - ერთი მათგანი ბრიტანეთში უეჭველად იასპარეზებს.

ვაჟებში ასეთი თაობა ამ ეტაპზე არ ჩანს. ნიკა ბასილაშვილმა, ფაქტობრივად, უარი თქვა საქართველოს ნაკრების მაისურის ჩაცმაზე. ნამდვილად იმედით შევყურებთ გიორგი ცივაძესა და უმცროს ალექსანდრე მეტრეველს. ცივაძემ უკვე იასპარეზა დევისის თასზე. ისინი ჯერ მხოლოდ 16-17 წლისანი არიან და სათანადო ხელშეწყობის შემთხვევაში მათგან კარგი შედეგებია მოსალოდნელი. უფრო დაბალ ასაკობრივ ჯგუფშიც გვყავს მრავალი პერსპექტიული ჩოგბურთელი, რომელთა ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანს.

***- წინა ტურნირების - იგულისხმება დევისის თასი - ფინანსური დავალიანება დღესაც არ არისო გასტუმრებული...***

— ეს აბსურდია. ვის წინაშე გვაქვს ფინანსური დავალიანება? სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით ნაკრები ტურნირზე გაემგზავრა; გადახდილია სასტუმროში ცხოვრებისა და კვების ხარჯები; მოხდა მათი სპორტული ეკიპირება; ჩატარდა წინასაშეჯიბრო მოკლევადიანი შეკრება. ძალზე შორს უნდა იყო საჩოგბურთო ცხოვრებიდან, რომ სპეციფიკური საშეჯიბრო კალენდრის გამო მოითხოვო ნაკრების წევრთა მრავალკვირიანი შეკრება. ასეთი რამ არც ერთ ქვეყანაში არ ხდება. ჩოგბურთელები ხშირად მართლაც შეჯიბრების ადგილზე ხვდებიან ერთმანეთს. რაც შეეხება სპორტსმენთა მატერიალურ წახალისებას — კონკრეტულად ნაკრებში თამაშისთვის ეს არ ხდება. გუნდის წევრთა მნიშვნელოვანი ნაწილი სახელმწიფოსგან იღებს სტიპენდიებს. ძალზე სოლიდურია საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მიზნობრივი დახმარება იმედისმომცემი ჩოგბურთელებისადმი. ხოლო მაშინ, როცა ჩვენი ნაკრები იმ ჯგუფში ასპარეზობდა, რომელშიც, დევისის თასის გათამაშების დებულების თანახმად, გამოიყოფოდა საპრემიო თანხა, ბუნებრივია, ის ნაწილდებოდა ნაკრების წევრებზე. სამწუხაროდ, წლეულს ჯგუფის სტატუსის გამო საპრემიო თანხა გათვალისწინებული არ იყო.

***- მხოლოდ გასართობი ტურნირები ტარდებაო საქართველოში?***

- ეს არის მკითხველის დეზინფორმაციის მცდელობა. რბილად რომ ვთქვათ, არაკორექტულია ასეთი რამის დაწერა.

ბოლო 10-12 წლის განმავლობაში, როგორც ვაჟთა, ისე ქალთა შორის თბილისში, ბათუმსა და თელავში ITF-ის ეგიდით ჩატარდა 50-ზე მეტი საერთაშორისო ტურნირი 10, 15, 25, 50 და 75-ათასდოლარიანი საპრიზო ფონდით. ჩვენს ქვეყანას სტუმრობდა ასეულობით უცხოელი ჩოგბურთელი. სწორედ ამ ტურნირებმა შეუწყო ხელი იმ გოგონების დაოსტატებას, რომლებზეც წერილის ავტორი ლაპარაკობს.

სტაჟიან გულშემატკივარს კი შევახსენებ, რომ სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის მოყვარულებს შორის ჩოგბურთის პოპულარიზაცია ფედერაციის საქმიანობის ერთ-ერთი მიმართულებაა. ვიმეორებ — ტრავმების გამო ლაბაძემ და ჩიხლაძემ საკმაოდ ადრეულ ასაკში დაანებეს თავი ჩოგბურთის თამაშს. ნაკრები რომ არ ჩამოქვეითებულიყო უფრო დაბალ ჯგუფში, ფედერაციის ხელმძღვანელობამ თხოვნით მიმართა ორივე სპორტსმენს, რათა ისინი, ნაკრების ინტერესებიდან გამომდინარე, დროებით მაინც დაბრუნებოდნენ ეროვნულ გუნდს. მადლობის მეტი მათ მიმართ არაფერი გვეთქმის — ამოცანა შესრულებულია.

რომ არა უკანასკნელ წლებში სახელმწიფოს მხრიდან სერიოზული და მუდმივი მხარდაჭერა ქართული ჩოგბურთისადმი, მდგომარეობა მართლაც სავალალო იქნებოდა. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ქვეყნის ხელმძღვანელობა, პირადად საქართველოს პრეზიდენტი, ბატონი მიხეილ სააკაშვილი, დაინტერესებულნი არიან საქართველოში სპორტის ამ სახეობის განვითარებით. შესანიშნავი კორტები ჩადგა მწყობრში თბილისში, თელავში, ქუთაისში, გორში, საჩოგბურთო ცენტრი შენდება ბათუმში.

მიუხედავად ამისა, ცხადია, თანხები საკმარისი არ არის და უახლოეს წლებში, ობიექტურად, არც იქნება საკმარისი. გრძელვადიანი პერსპექტივის გათვალისწინებით კონკრეტულ შედეგზე ორიენტირებული პროგრამის ფინანსურ უზრუნველყოფას ყოველწლიურად 500-700 ათასი ლარი მაინც სჭირდება. ჩვენ კარგად გვაქვს გაცნობიერებული, რომ ასეთი თანხების მოზიდვა ჩოგბურთისთვის დღეს ობიექტურად შეუძლებელია. რა თქმა უნდა, ქართულ ჩოგბურთში გასაკეთებელი კიდევ ბევრია, არის საკითხები, რომლებიც სწრაფ და კომპეტენტურ რეაგირებას მოითხოვს. ჩვენ ვხედავთ ნაკლოვანებებს და შესაძლებლობის ფარგლებში მათ ოპერატიულ გამოსწორებას ვცდილობთ.

სხვათა შორის, წერილში "სტაჟიან გულშემატკივარს" ჩამოთვლილი აქვს იმ პიროვნებათა გვარები, რომლებსაც მართლაც დიდი დამსახურება მიუძღვით ქართული ჩოგბურთის წინაშე. მოკრძალებულად შევახსენებ ავტორს — ჩოგბურთის ფედერაციის დღევანდელი პრეზიდენტის, ოლიმპიური თამაშების პრიზიორის, თავის დროზე მსოფლიოს საუკეთესო ათეულის მოთამაშის ლეილა მესხის, როგორც სპორტსმენის წვლილზე მას სიტყვაც არ დასცდენია.

ფედერაციის ხელმძღვანელობა გამოთქვამს მზადყოფნას, "ლელოს" რედაქციაში სპეციალისტებთან და დაინტერესებული სტრუქტურების წარმომადგენლებთან ერთად მოეწყოს ქართული ჩოგბურთის პრობლემებისადმი მიძღვნილი შეხვედრა მრგვალ მაგიდასთან.

ესაუბრა
**ვაჟა დანელია**

***რედაქციისაგან: როგორც ხედავთ, ფედერაცია პუბლიკაციას ოპერატიულად გამოეხმაურა, რისი იმედი გვქონდა კიდეც. სამწუხაროა, რომ ავტორს, თავი რომ ქართულ ჩოგბურთში ჩახედული ეგონა, როგორც პასუხიდან ჩანს, ბევრი რამ არ სცოდნია. ახლა სიმართლეს თავადაც გაიგებს და მკითხველიც. თუ ასე არ არის და ავტორს უტყუარი არგუმენტები გააჩნია, მზად ვართ, გავეცნოთ ქართული ჩოგბურთის მესვეურებთან ერთად თუნდაც იმ მრგვალ მაგიდასთან, რომლის რედაქციაში გამართვას თავად გვთავაზობს ფედერაცია.***

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი

# ბერძნულ-რომაული დღეები



დღეს ბულგარულ სამოკოვში ბერძენ-რომაელთა დღე დგება - ევროპის ახალგაზრდულ პირველობაში ამ სტილით მოჭიდავეები ებმებიან. იქ საქართველოს ნაკრები ასეთი შემადგენლობით იჭიდავებს: **თორნიკე მახარაძე** (50), **მინდია წულუკიძე** (55), **ქემალ ხარაბაძე** (60), **საჩინო დავითაია** (66), **უჩა ჩიტიაშვილი** (74), **არსენ კახაბრიშვილი** (84), **ვასილ იმერლიშვილი** (96), **შალვა გოგისვანიძე** (120). ამ გუნდში რამდენიმე საკმაოდ გამოცდილი და ძალზე ნიჭიერი ფალავანია, რაც გვაიმედებს, რომ ჩემპიონატში წარმატებით გამოვლენ. მაგალითად, წულუკიძე ახალგაზრდებში ევროპის შარშანდელი ჩემპიონია, ოღონდ - 50-ში, ვნახოთ, რას იზამს ახალ წონაში. თუმცა ამ გუნდს ძალზე გაუჭირდება „თავისუფალთა" შედეგის გამეორება. შეგახსენებთ, რომ მათ ორ-ორი ოქრო-ვერცხლი და ერთი ბრინჯაო მოიპოვეს. ევროპის ჩემპიონები **დავით ხუციშვილი** (74) და მძიმეწონოსანი **გიორგი საკანდელიძე** გახდნენ, **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** (55) და **თენგიზ ჩოჩიშვილი** (60) მეორეზე გავიდნენ, **ლაშა ტალახაძე** (50) კი ბრინჯაოს დაეუფლა.

**ირაკლი თავაძე**

მეტოქე

# მანსუროვი საბოლოოდ წავიდა და ნაკრები ჩაიბარა




ოლიმპიური და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში **ფარიდ მანსუროვი** (66) საბოლოოდ წავიდა დიდი სპორტიდან და აზერბაიჯანის ნაკრების თავკაცი გახდა. ის ახალ პოსტზე ოფიციალურად 30 ივნისს დაინიშნა, როცა ბაქოს სტადიონ „ტოფიკ ბახრამოვზე" აზერბაიჯანის ჭიდაობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტების - **ნამიკ ალიევისა** და **ბაბეკ ბაბაევის** თანხლებით ნაკრებს წარუდგინეს, გუშინწინ კი პირველი ვარჯიშიც ჩაატარა, ხოლო ნაკრების მთავარი მწვრთნელის რანგში დებიუტი 16-18 ივლისს ბაქოში გასამართი „ოქროს დიდი პრიზის" ფინალურ ტურნირზე ექნება. მანსუროვმა ამ პოსტზე აზერბაიჯანის ჭიდაობის ფედერაციის კიდევ ერთი ვიცე-პრეზიდენტი **ელჩინ ჯაფაროვი** შეცვალა. სიტყვამ მოიტანა და ჯაფაროვს გუნდის თავკაცად გახარება არ ეღირსა - ჯერ იყო და შარშან ჩვენი **ოთარ ტატიშვილით** შეცვალეს. მისი საქართველოში წამოსვლის შემდეგ ნაკრების თავკაცის პოსტი კვლავ დაიბრუნა, მაგრამ დიდხანს არც ახლა დასცალდა და ამჯერად მანსუროვით ჩაანაცვლეს.

მას შემდეგ, რაც წლევანდელ ევროპირველობაზე ფარიდ მანსუროვმა ყბის უმძიმესი ტრავმა მიიღო და დარბაზიდან პირდაპირ საავადმყოფოში გააქანეს, მისი სპორტიდან წასვლა დროის ამბავი იყო. ამის შესახებ რამდენიმე დღის წინ ან უკვე ყოფილმა სპორტსმენმაც განაცხადა, ამ დღეებში კი ყველაფერი ასრულდა. *„სპორტიდან წასვლის შესახებ გადაწყვეტილება სულ რაღაც ერთი თვის წინ მივიღე, როცა ზურგის ტრავმას ყბისაც დაემატა. მაშინ ექიმებმა მითხრეს, რომ, თუ საქმის კატასტროფამდე მიყვანა არ მსურდა, სპორტული კარიერა უნდა დამემთავრებინა. მინდა, ისევ გავხდე ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონი. ეს ტიტულები სპორტსმენის რანგში მოვიპოვე და ახლა იმავეს გაკეთება მწვრთნელის რანგშიც მსურს. ჯერ კიდევ ვერ წარმომიდგენია, როგორ უნდა ვავარჯიშო ბიჭები, რომლებთან ერთადაც გუშინ საღამოს თვითონ ვვარჯიშობდი, მაგრამ ამ პასუხისმგებლობისთვის მზად ვარ"*, - განაცხადა მანსუროვმა. ჩვენი აზერბაიჯანელი კოლეგები მას ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონებთან - **როვშან ბაირამოვსა** (55) და **ვიტალი რახიმოვთან** (66) მეგობრობაზეც დაეკითხნენ, რაზეც მანსუროვმა ასე უპასუხა: *„ამაზე მათ უკვე ველაპარაკე და შევთანხმდით, რომ დარბაზში ჩვენ შორის ისეთი ურთიერთობა იქნება, როგორც შეგირდსა და მწვრთნელს შორის. დარბაზის გარეთ ისევ მეგობრები ვიქნებით და კვლავაც მივალთ ერთმანეთთან ჩაის დასალევად. გუნდში მთავარი დისციპლინაა, უამისოდ არაფერი გამოგვივა".* მანსუროვმა ისიც განაცხადა, რომ მზადაა მედიის კრიტიკის მოსასმენად და დასძინა, მწვრთნელი მუდამ მზად უნდა იყოს ცუდ შედეგებზე პასუხისმგებლობისთვის, ხოლო ვისაც ამის ეშინია, არაფერი გამოუვაო.

შეგახსენებთ, რომ მარნეულში გაზრდილი და მოგვიანებით ბაქოში გადასული მანსუროვი ოლიმპიური ჩემპიონი ათენში გახდა 2004 წელს, იქ კი მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონის რანგში ჩავიდა - ეს მედალი 2002 წელს მოსკოვში მოიპოვა. მის კარიერაში ახალი ალმასვლა 2007-09 წლებში მოხდა, როცა ზედიზედ ორჯერ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი - პირველად მშობლიურ ბაქოში, მეორედ კი შარშან დანიურ ჰერნინგში, როცა მსაჯთა დახმარებით სკანდალური ფინალი მოუგო **მანუჩარ ცხადაიას**. თუმცა შუალედში ჩააგდო 2008-ის სეზონი, როცა ოლიმპიადის გამო მსოფლიოს პირველობა არ ტარდებოდა, ევროპის ჩემპიონატი კი ოლიმპიადისთვის უკეთ მომზადების მიზნით გამოტოვა, თუმცა უშედეგოდ - პეკინის თამაშებზე სიცხიანი ჩავიდა და პირველივე წრეში ოლიმპიადის მომავალ ბრინჯაოს პრიზიორთან, უკრაინელ **არმენ ვარდანიანთან** დამარცხდა. მის კარიერას მხოლოდ ევროპის ჩემპიონის ტიტული აკლია და ამ ნაკლის გამოსწორება წლეულსვე სურდა მშობლიურ ქალაქში, მაგრამ ის ჩემპიონატი დათარსული აღმოჩნდა. მისივე სიტყვებით, მიღებული ტრავმის შემდეგ მთელი იმედები 2011 წლის ევროპირველობაზე გადაიტანა, მაგრამ ექიმებმა ჭიდაობა კატეგორიულად აუკრძალეს და ისიც ბედს დაემორჩილა.

**ირაკლი თავაძე**

პლაჟბურთი

მსოფლიო ტური

# სტავანგერში დავამთავრეთ

ნორვეგიის ქალაქ სტავანგერში მიმდინარე მსოფლიო ტურის მორიგ ეტაპზე ჩვენმა წყვილებმა ასპარეზობა ნაადრევად დაასრულეს. ქალთა ტურნირში **საქა-რთველომ** პლეი ოფში კი გაალწია, მაგრამ პირველივე მატჩში მე-2 ნომრად განთესილ ამერიკულ წყვილ **კესი-როსთან** ორ სეტში წააგო -17:21, 11:21 და გათამაშებას გამოეთიშა. ჩვენმა ფრენბურთელებმა საბოლოოდ ტურნირზე მე-20 ადგილი დაიკავეს, რისთვისაც 160 სარეიტინგო ქულა ერგოთ.

სტავანგერს გამოემშვიდობა **გეორგიაც**. სტარტზე ორი მარცხის შემდეგ ჩვენმა ბრაზილიელებმა ჯგუფური ტურნირის ბოლო მატჩში დანიურ წყვილ **ჰოიერ-სოდერბერგს** მოუგეს 2:1 (21:19, 19:21, 15:13), თუმცა ეს საკმარისი არ აღმოჩნდა პლეი ოფში გასასვლელად. ამრიგად, ჩვენები 26-ე ადგილს დასჯერდნენ, რისთვისაც მხოლოდ 80 სარეიტინგო ქულა მიიღეს.

მორიგი ეტაპი, სადაც გეორ-გია და საქა-რთველო იასპარეზებენ, შვეიცარიის ალპებში, დაბა გშტაადში 5-11 ივლისს გაიმართება.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ძიუდო

მოსკოვის დიდი მუზარადი

# კედელაშვილი დაგვაკლდა




ძიუდოისტ ვაჟთა ნაკრები დანაკლისით გაემგზავრა მოსკოვში, „დიდი მუზარადის“ ტურნირზე - გუნდს არ გაჰყოლია ევროპის სამგზის ჩემპიონი **ზაზა კედელაშვილი** (73). როგორც ამბობენ, მიზეზი ბოლო ვარჯიშებზე მიღებული ტრავმაა. ამდენად, დღეს და ხვალ მოსკოვში **ამირან ტოტიკაშვილის** ხელმძღვანელობით **დავით ასუმბანი, ამირან პაპინაშვილი** (ორივე - 60), **შალვა ქარდავა, პაატა მერებაშვილი** (66), **ნუგზარ ტატალაშვილი** (73), **ლევან წიკლაური, დავით ქევხიშვილი** (81), **ვალერი ლიპარტელიანი, მინდია ბოდაველი** (90), **ირაკლი ცირეკიძე, ლომერ ჟორჟოლიანი** (100), **ლაშა გუჯეჯიანი, ადამ ოქრუაშვილი** (+100) იჭიდავებენ. ამათგან დღეს „მეგასპორტის“ სასახლის არენაზე 60, 66 და 73-ის ფალავნები გავლენ, დანარჩენები კი ხვალ იასპარეზებენ.

მოსკოვური ტურნირი ერთ-ერთია ამ რანგის ოთხი ტურნირიდან, რომელთაგანაც პარიზისა და რიო დე ჟანეიროსი უკვე ჩატარდა, რიგში კი მოსკოვისა და დეკემბერში გასამართი ტოკიოსია, რომელსაც უფრო ძიგორო კანოს მემორიალად იცნობენ. გეტყვით იმასაც, რომ ეს ტურნირები სალიცენზიოა და საკმაოდ ხვავრიელადაც იძლევიან ჩასათვლელ ქულებს - ჩემპიონი 300 ქულას იღებს, ვერცხლის პრიზიორი - 180-ს, ბრინჯაოს მედალოსნები - 120-ს, მეხუთეზე გასული - 60-ს და ა.შ. ჩვეულებრივ, ამ რანგის შეჯიბრებათა საპრიზო ფონდად 150 ათასი დოლარია დადგენილი, მაგრამ ორგანიზატორები ხშირად საკუთარი ინიციატივით ამატებენ თანხას. ასეა ამჯერადაც და რუსებმა საპრიზო ფონდი 154 ათას დოლარამდე გაზარდეს. აქედან ჩემპიონისთვის 5 ათასი დოლარია განსაზღვრული, მომდევნო ადგილებზე გასულებისთვის, შესაბამისად, 3000 და 1500-1500 დოლარი.

ამ ტურნირმა უკვე მოხსნა რეკორდი მოასპარეზეთა მხრივ - მასში 54 ქვეყნის 500 ათლეტი გამოდის უკლებლივ ყველა კონტინენტიდან. მონაწილეთა შორის 33 ევროპული ქვეყანაა, 10 - აზიური, 4 - ამერიკული, 5 - აფრიკული და 2 ოკეანეთის რეგიონული ფედერაციებიდან. სარეკორდოა მოჭიდავეთა რაოდენობაც 81 კილოგრამ წონით კატეგორიაში ვაჟთა შორის - 53 სპორტსმენი! ამ შეჯიბრების სიძლიერეს ხელსაყრელი კალენდარიც განაპირობებს - იგი ბოლო სასტარტო ტურნირია სექტემბერში გასამართი მსოფლიოს ჩემპიონატისთვის. ამიტომ მოსკოვში უძლიერესი შემადგენლობა შეიკრიბა. არანაკლებ ძლიერი, ვიდრე ევროპის ან მსოფლიოს პირველობაზე. მართალია, საფრანგეთს, გერმანიას, სამხრეთ კორეას და კიდევ ზოგიერთს აკლია რამდენიმე წამყვანი ძიუდოისტი, მაგრამ მარტო ის რად ღირს, რომ მოსკოვში ექვსი ოლიმპიური ჩემპიონი იჭიდავებს როგორც ქალთა, ასევე ვაჟთა შეჯიბრებაში - გერმანელი **ოლე ბიშოფი** (81), ჩვენი ცირეკიძე, მონგოლი **ნაიდან ტუვშინბაიარი** (100), აზერბაიჯანელი **ელნურ მამედლი** (81), იაპონელი **მაკი ცუკადა** (+78) და ჩინელი **ხიული იანგი** (78). საფრანგეთიდან იქნებიან ოლიმპიადის ვიცე და ევროპის ჩემპიონი **ბენჟამინ დარბელე** (73), მსოფლიოსა და ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი **სელინ ლებრუნი** (78), იმავე ტიტულების მფლობელი ავსტრიელი **ლუდვიგ პაიშერი** (60), ჰოლანდიიდან გამოვლენ ევროპის ჩემპიონი, ოლიმპიადის ბრინჯაოს და მსოფლიოს ვერცხლის პრიზიორები **ჰენკ გროლი** (100), **ელიზაბეტ ვილებორდსი** (63) და **ედიტ ბოსხი** (70). ბრაზილიიდან ჩამოდიან მსოფლიოს ჩემპიონი **ლუსიანო კორეა** (100), ორგზის ოლიმპიური ბრინჯაოს პრიზიორი **ფლავიო კანტო** (81) და ასევე ოლიმპიური მედალოსანი **ლეანდრო გილეირო** (81), მონგოლი მსოფლიოს ჩემპიონი **ცაგანბაატარ ხაშბაატარი** (66), აზერბაიჯანელი **ელხან მამედოვი** (90) და სხვები. ცხადია, უძლიერესი გუნდით არიან რუსებიც. იაპონელებს იქნებ მყვირალა ვარსკვლავები არ ჰყავთ, თუ მსოფლიოს პრიზიორ **ტაკამასა ანაის** (100) არ მივიჩნევთ, მაგრამ მოსკოვში ჩაიყვანეს ყველა უძლიერესი, ვინც კი წლეულს წარმატებით ჭიდაობს.

გუშინ გამართულმა წილისყრამ ჩვენებურთა პირველი მეტოქეები გამოავლინა. დღეს 60-ში პირველ წრეში ორივე ჩვენებური ისვენებს, პაპინაშვილს კი მეორეში, შესაძლოა, რუსთა ნაკრების წევრი **რობერტ მშვიდობაძე** შეხვდეს. პირველ წრეში მერებაშვილიც ისვენებს, მეორეში კი ირანელ **მოვსენ გაფარს** შეხვდება. ქარდავა პირველივე წრეში ჭიდაობს და ბერძენთა ქართველ **ლავრენტის ალექსანიდისს**, იმავე **თემურ გივიაშვილს** ეპაექრება. ახალგაზრდებში ევროპის შარშანდელი მესამე პრიზიორი ტატალაშვილიც თავიდანვე იჭიდავებს საკმაოდ გამოცდილ ირანელ **ზაქარია მორადისთან**. რაღაც უცნაური წილისყრით, წიკლაური პირდაპირ მესამე წრიდან ჩაებმება ტურნირში, მანამდე კი ორი შეხვედრის გამართვას დაელოდება, სადაც მისი მეტოქე გაირკვევა. იმათგან ძლიერი და ცნობილი არავინაა, თუმცა ბადის ამავე ნახევარშია რუსთა შარშანდელი ტრიუმფატორი, ევროპისა და მსოფლიოს პირველობების მომგები **ივან ნიფონტოვი**. ქევხიშვილი მეორე წრეში ყაზახ **ისლამ ბოზბაევს** ხვდება, ამათ შორის გამარჯვებულს კი ბრიტანელი ევროპისა და მსოფლიოს პრიზიორი **ევან ბარტონი** ელოდება. ლიპარტელიანი ვერა და ვერ ასცდა **ილიას ილიადისს**, ანუ **ჯარჯი ზვიადაურს**. ჩვენებური ტურნირში მეორე წრიდან ებმება ბელარუს **ალექსეი სტეფანკოუსთან** შეხვედრით, ამათში მოგებულს კი, შესაძლოა, ილიადისი შეხვდეს, თუ იმანაც გაალწია იქამდე, ანუ ერთი ბრძოლა მოიგო. ბოდაველი ლატვიელ **აიგარს მილენბერგს** დაეჭიდება. პირველი მეტოქე ცირეკიძესაც ნაცნობი ეყოლება - მეორე წრეში ლატვიელ **ეუგენიუს ბოროდავკოს** ხვდება, ვისაც ივნისის დამდეგს მადრიდში ფინალში მოუგო. მოვლენათა ლოგიკური განვითარების შემთხვევაში ცირეკიძეს მეოთხედფინალში ანაი უნდა შეხვდეს. ხოლო ბადის ამავე ნახევარში არიან ყაზახი მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი **მაქსიმ რაკოვი** და კორეაც, ოღონდ მათი გზებიც მეოთხედფინალში იკვეთება. ჟორჟოლიანი პირველ შეხვედრას ირანელ **ჯავად მაჰჯუბთან** გამართავს. გუჯეჯიანი პირველ წრეში რუს **სერგეი პროხოვს** ხვდება, ოქრუაშვილი კი ამ ეტაპზე ისვენებს და რუს **სოსლან ბოსტანოვსა** და ფრანგ მსოფლიოს პრიზიორ **პიერ რობინს** შორის მოგებულს დაელოდება.


ზაზა კედელაშვილი

**ირაკლი თავაძე**




ჩოგბურთი

# ორი ქართველი შვედეთის ღია პირველობაზე


ანა ტატიშვილი


ოქსანა კალაშნიკოვა

შვედეთის ქალაქ ბასტადში იწყება WTA-ს მორიგი ტურნირი შვედეთის, ანუ ამ ქვეყნის ღია პირველობა ქალთა შორის, რომლის საპრიზო ფონდი 220 ათასი დოლარია. ტურნირის ძირითად ბადეში გაღწევას ორი ჩვენებური შეეცდება, **ანა ტატიშვილი** მე-2 ნომრად არის განთესილი, ხოლო **ოქსანა კალაშნიკოვა** - მე-4 ნომრად. გუშინ გაირკვა მათი მეტოქეების ვინაობა. ტატიშვილი უკრაინელ **ანა პივენს** შეხვდება, ხოლო კალაშნიკოვას პირველი მეტოქე რუსი **ნატალია რიჟონკოვაა**.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჭადრაკი


ნანა ძაგნიძე და მაია ჩიბურდანიძე ტაიმ აუტისას

# ესეც მეშვიდე!

მნიშვნელოვან ტურნირებზე **ნანა ძაგნიძეს** უცილობელ ფავორიტად რომ მიიჩნევენ, ეს კარგა ხანია, ცნობილია, მაგრამ იმას, რაც სომხურ ჯერმუკში ხდება მოჭადრაკე ქალთა ფიდეს გრან-პრის გათამაშებაზე, ალბათ, ძნელად თუ ვინმე წარმოიდგენდა - საკმაოდ ძლიერი შემადგენლობის შეჯიბრებაზე 8 შესაძლებლიდან 7,5 ქულის მოგროვება ნამდვილად გმირობის ტოლფასია. სწორედ ასეთი შედეგი აქვს ნანა ძაგნიძეს, რომელმაც გუშინ შავი ფიგურებით მასპინძელი **ლილით მკრტიჩიანი** დაამარცხა. ქართველმა მოჭადრაკემ სომეხი დიდოსტატის მიერ 33-ე b4 სვლით დაშვებული შეცდომა ჩინებულად გამოიყენა: მეტოქეს ჯერ პაიკი აართვა, შემდეგ აქტიური, უნაკლო იერიშებით 43-ე სვლაზე აიძულა, საათი გაეჩერებინა, რადგან შავების მომდევნო სვლაზე შამათი გარდაუვალია *(იხ. დიაგრამა)*.

ნ. ძაგნიძე



ლ. მკრტჩიანი

| | | | |
|---|---|---|---|
| 33. b4 | axb4 | 34. axb4 | ეc4 |
| 35. ლg7 | ეxb4 | 36. e5 | მf5 |
| 37. ლf6+ | მფe8 | 38. ეd3 | ეd4 |
| 39. ლh8+ | მფd7 | 40. ეxd4 | მxd4 |
| 41. მe4 | ლc1+ | 42. მფg2 | მf3 |
| 43. მf6+ | მფc7 | | |

*თეთრები დანებდნენ.*

წარმატებას მიაღწია ნანას უმთავრესმა კონკურენტმა **ტატიანა კოსინცევამ** (რუსეთი), რომელმაც, ასევე, შავებით 33-ე სვლაზე **სიუ იუჰუას** (ჩინეთი) სძლია. ტურნირის რეიტინგ-ფავორიტმა **ჰოუ იფანმა** (ჩინეთი) ეკვადორელი **მარტა ფიერრო** დაამარცხა. მშვიდობიანად დამთავრდა **შენ იანი-მაია ჩიბურდანიძის, ელინა დანიელიანი-პია კრამლინგის, ანტუანეტა სტეფანოვა-ბაირა კოვანოვას პარტიები.**

8 ტურის შემდეგ: ძაგნიძე - 7,5, კოსინცევა - 6, მკრტიჩიანი, ჰოუ იფანი - 5-5, დანიელიანი, სტეფანოვა, შენ იანი - 4-4, კრამლინგი, სიუ იუჰუა, ჩიბურდანიძე - 3-3, კოვანოვა - 2,5, ფიერო - 1 ქულა.

მე-9 ტურში ითამაშებენ: კრამლინგი-მკრტიჩიანი, კოვანოვა-დანიელიანი, ფიერო-სტეფანოვა, კოსინცევა-ჰოუ იფანი, ჩიბურდანიძე-სიუ იუჰუა, ძაგნიძე-შენ იანი.

შეჯიბრების დამთავრებამდე სამი ტური დარჩა.

**ვაჟა დანელია**

# 6-6 ქულა ექვსიდან

გუშინ კონიაში თურქეთის გუნდურ ჩემპიონატზე ერთბაშად ორი ტურის შეხვედრები გაიმართა. კვლავ გაიმარჯვეს მანისა დორუკ კოლეჯი-მ და ადანა ტრუვა სანტრაც-მა (ამ გუნდებში ქართველები არ თამაშობენ), რომლებმაც განვლილ ექვს ტურში 12-12 ქულა მოაგროვეს. ბესიკტას-ს 10 ქულით მესამე ადგილი უკავია. 9 ქულით ისეკ აქუამატცჰ-ი მეოთხეა (ძირითად დაფებზე მის ღირსებას იცავენ ფიდეს ვერსიით 2004 წლის მსოფლიოს ჩემპიონი **რუსტამ კასიმჟანოვი**, ქალებში 2006 წლის ევროპის ჩემპიონატის გამარჯვებული **ეკატერინა ატალიკი, მაიკლ ადამსი, სუათ ატალიკი და ლევან ფანცულაია)**.

ქართველთაგან ორივე ტურში შესანიშნავად ითამაშეს ლევან ფანცულაიამ და **მარიამ დანელიამ**, რომლებმაც წინა დღეების მონაგარს ორ-ორი ქულა შესძინეს და ახლა 6-6 ქულა აქვთ. დანარჩენ ქართველთა მონაპოვარი ასეთია: **თორნიკე სანიკიძე**-1,5 (6), **დავით არუთინიანი**-3,5 (6), **მერაბ გაგუნაშვილი**-3 (5), **სალომე მელია**-3 (6), **გიორგი მარგველაშვილი**-4 (6), **სოფიო გვეტაძე**-2,5 (5), **ქეთი წანაშვილი**-2,5 (6), **მიხეილ მჭედლიშვილი**-4 (6), **თამაზ გელაშვილი**-2 (5), **სოფიო გურამიშვილი**-4,5 (6).

**ვაჟა დანელია**


მარცხნიდან: რუსტამ კასიმჟანოვი, სუათ ატალიკი, ლევან ფანცულაია და ტოლგა დემირელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ მიხეილ ნარიაშვილთან



მარჯვნივ მიხეილ ნარიაშვილი

# მჯერა, აია სულ წინ ივლის

**ქუთაისის „აიას" ოცი წლის პირველხაზელის მიხეილ ნარიაშვილის კარიერა ელვისებური სისწრაფით ვითარდება. მან საქართველოს თითქმის ყველა ასაკობრივ ნაკრებში მიიღო საბრძოლო გამოცდილება და საკუთარი შესაძლებლობების იმდენად კარგად წარმოჩენა შეძლო, რომ მისი გადაბირება ფრანგული რაგბის რამდენიმე ელიტურ გუნდს სურდა. ბოლოს კი პირველ დივიზიონში მოასპარეზე „მონპელიეში" აღმოჩნდა. თუმცა, ჯობს, ყოველივე თანმიმდევრულად თავად მიხეილმა გვიამბოს:**

- სანამ „მონპელიეში" აღმოვჩნდებოდი, სინჯებზე „აჟენსა" და „ოშში" ვიყავი. შემოთავაზება ორივე გუნდისგან მქონდა, მაგრამ ზუსტად იმ პერიოდში, როცა ჯერ კიდევ საფრანგეთში ვიმყოფებოდი, მამუკა გორგოძემ დამირეკა და მითხრა, შენი გასინჯვა „მონპელიეს" მწვრთნელებსაც სურთო. ჩავედი, ძირითადად ფიზიკური მზადყოფნა შემიმოწმეს. მერე, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, „აჟენსა" და „ოშშიც" იკითხეს ჩემ შესახებ. მამუკამაც კარგად დამახასიათა, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მისი დამსახურებაა, რომ „მონპელიესთან" კონტრაქტი გავაფორმე.

**- რამდენწლიანი კონტრაქტი გააფორმეთ „მონპელიესთან"და ავალდებულებს თუ არა ის გუნდის მწვრთნელებს, ძირითადში გათამაშონ?**

- კონტრაქტი სამწლიანია. ამ ხელშეკრულების მიხედვით, ძირითად გუნდთან ერთად კვირაში რამდენჯერმე ვივარჯიშებ. თამაში კი ესპუარების გუნდში მომიწევს.

**- მონპელიელთა კლუბში უკვე იყავით, ნახეთ ინფრასტრუქტურა, არც ის ატმოსფერო იქნება უცხო, რაც იქ სუფევს. როგორი დონის კლუბია „მონპელიე" და როგორ ფიქრობთ, როდის შეძლებთ ძირითად გუნდში თამაშს?**

- „მონპელიე" უმაღლესი დონის კლუბი რომ არის, საყოველთაოდ ცნობილია. გუნდში ახალი მწვრთნელი ფაბიენ გალტიე მოიწვიეს. მისი ხელმძღვანელობით პარიზულმა „სტად ფრანსემ" დიდ წარმატებებს მიაღწია. მორაგბეც ერთ-ერთი უძლიერესი იყო და მწვრთნელიც საუკეთესოა. „მონპელიეს" ხელმძღვანელები ტყუილად არ მოიწვევდნენ. რაც აქამდე შედეგს აღწევდნენ, არ აკმაყოფილებთ, მეტი უნდათ. თავისთავად ცხადია, უკეთესისკენ სწრაფვა მხოლოდ მისასალმებელია. ეს გუნდის თითოეული მოთამაშისთვის სასარგებლოცაა და საპასუხისმგებლოც.

რაც შეეხება ძირითად გუნდში ჩემს თამაშს, სამი წელიწადი წინ მაქვს. ვეცდები, ბეჯითად ვიშრომო, ნელ-ნელა, ეტაპობრივად გავიზარდო და ვნახოთ, იქნებ უფრო მაღალ დონეზე თამაშიც შევძლო. მოკლედ, შესანიშნავი შანსი მომეცა, ჩემი შესაძლებლობები განვავითარო, დიდ რაგბიში შევდგა ფეხი და ამის არგამოყენება დაუშვებელია.

**- რაგბის თამაში ქუთაისში დაიწყეთ, იქ აიდგით ფეხი. რამდენიმეწლიანი ჩავარდნის შემდეგ"აია" ახლა აღმავლობის გზაზეა. თქვენ კი მას შუა სეზონში ტოვებთ...**

- ცხადია, ძალიან მწყდება გული, ქუთაისის „აიადან" რომ მივდივარ, მაგრამ რა ვქნა - ელიტურ რაგბიში ფეხის შედგმა ყველა მორაგბის ოცნებაა. ის აგერ, ჩემ წინა, ერთი ხელის გაწვდენაა საჭირო. უარი როგორ ვთქვა?

მადლობა მინდა ვუთხრა ყველას, ვინც ბავშვობიდან დღემდე ჩემს აღზრდაში წვლილი შეიტანა. ცხადია, როგორც მორაგბე „აიაში" ჩამოვყალიბდი. ახლანდელმა მწვრთნელმა ბესიკ ხამაშურიძემ ბევრი რამ სასიკეთოდ შეცვალა. კლუბის პრეზიდენტი გიორგი გორგასლიძე ყველანაირად ხელს უწყობს გუნდს, კრიზისს თავი რომ დააღწიოს. გამოსდით კიდეც.

„აია" ახლა საქართველოს ჩემპიონატის ლიდერია და აგერ, თასის ნახევარფინალშიც გავიდა. გუნდი წინ მიდის, ვითარდება. ძალიან კარგი ახალი თაობა მოდის. ჩემი შემცვლელიც შერკინებაში უმალ მონახეს, კონკურენცია გაიზარდა. ეს კი პროგრესის მამოძრავებელი ძალაა. ჩემი საფრანგეთში წასვლით გუნდი არაფერს დაუკარგავს. მჯერა, „აია" სულ წინ ივლის.

ლეგიონერები

# ფედერალებმა ფორმატი შეცვალეს

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ფედერალ 1 დივიზიონში გათამაშების ფორმატი შეიცვალა. აქამდე 48 გუნდი 6 ჯგუფში იყო განაწილებული და შეჯიბრება ორ ჯგუფურ ეტაპად ტარდებოდა. ელიტურ, მეორე დივიზიონში გადამსვლელთა ვინაობას კი პლეი ოფი არკვევდა.

ამიერიდან 48 გუნდი ოთხ ჯგუფში განაწილდება. ორწრიანი რეგულარული გათამაშების შემდეგ ოთხოთხი საუკეთესო ელიტაში აღზევებისთვის მერვედფინალიდან განაგრძობს ბრძოლას. ჯგუფებში მე-11 და მე-12 ადგილებზე გასული გუნდები დივიზიონს ავტომატურად ტოვებენ. მე-7-მე-10 ადგილებზე გასულები კი პლეი დაუნში შეეცდებიან დივიზიონში ადგილის შენარჩუნებას. მე-5 და მე-6 ადგილებზე გასულები ყოველგვარი პლეი ოფისგან თავისუფალნი არიან და დივიზიონშიც ადგილს ინარჩუნებენ.

მომავალ სეზონში ფედერალ 1 დივიზიონში ქართველ მორაგბეთა ცხრა გუნდი იასპარეზებს: „მასი", „ბეზიე", „ლა სეინი", „ნიცა", „პერიგო", „ფიჟაკი", „ორლეანი", „სენ ნაზერი" და „ობენა".

A ჯგუფი: სურესნე, ბობინი, მასი, სერჟ პონტუაზი, სტრასბური, ორლეანი, ნევერი, მონლუსონი, დიჟონი, მასონი, ბურგ ან ბრესი, ანესი.

B ჯგუფი: ბლანიაკი, ბეზიე, შატორენარი, ლა სეინი, გრასი, ნიცა, ობენა, რომანი, გროლე, ლავორი, ვალანსი, მონტობანი.

C ჯგუფი: სენ ჟუინენი, ლიმოჟი, რიბერაკი, პერიგო, ვანი, სენ ნაზერი, ნუარი, ტური, პაი დუ მედო, სენ მედარი, ლანჟონი, მარმანდი.

D ჯგუფი: მორლაა, ოლორონი, მოლეონი, ფიჟაკი, კაორი, ტურნეფოი, კასტანე, ლანამეზანი, ლურდი, ორტეზი, სენ ჟან დე ლუზი, ტიროსი.



ვილი გენია

# ვილი გენიამ პირველი ჯილდო ირგუნა

ბრისბენის „რედსისა" და „ვოლაბების" მგეზავმა **ვილი გენიამ** კარიერაში პირველი ჯილდო მიიღო. ქომაგების გამოკითხვით ის ზე 14-ის წლევანდელი გათამაშების საუკეთესო ავსტრალიელ მორაგბედ დაასახელეს. დაჯილდოების ცერემონიალი ამ დღეებში ბრისბენში, „ოტელ სოფიტელში" გაიმართება.

გენიამ გამოკითხვაში 209 ქულა დააგროვა და თანაგუნდელ **ქუადე კუპერს** 32 ქულით გაუსწრო. მესამე-მეოთხე ადგილები 141-141 ქულით **ბენ დეილიმ** და **საია ფაინგაამ** გაიყვეს.

**გამოკითხვის შედეგები**

1. ვილი გენია - 209 ქულა, 2. ქუადე კუპერი - 177, 3. ბენ დეილი - 141, 4. საია ფაინგაამ - 141, 5. დენიელ ბრეიდი - 134, 6. ენტონი ფაინგაა - 121, 7. სკოტ ჰიგინბოტამი - 104, 8. დიგბი იოანი - 101, 9. ლორი ვიკსი - 81, 10. რობერტ საიმონსი - 49.

მეტოქეები



# ბორტვიკი A ნაკრებს დაუთმეს

2011 წლის მსოფლიო თასის გათამაშებაში საქართველოს ნაკრების მეტოქის, ინგლისის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **მარტინ ჯონსონმა** გამოაქვეყნა იმ მორაგბეების სია, ვინც საახალზელანდიოდ მოემზადება და მსოფლიო რაგბის უდიდეს ფორუმში მიიღებს მონაწილეობას.

ჯონსონის მიერ შერჩეულ გუნდს პირობითად ინგლისის ელიტური ნაკრები ჰქვია. მასში 32 მორაგბეა. აქედან ახალ ზელანდიაში სათამაშოდ 30 გაემგზავრება. როგორც მოსალოდნელი იყო, ელიტურ გუნდში ვერ მოხვდა „პომების" ყოფილი კაპიტანი, მეორეხაზელი **სტივენ ბორტვიკი.** მან ტრავმის გამო ნაკრების რამდენიმე შეხვედრა გამოტოვა, რაც შემადგენლობაში ადგილის დაკარგვად დაუჯდა. ბორტვიკი ამიერიდან ინგლისის A ნაკრებში ითამაშებს და ვინ იცის, იქნებ თავისი პოტენციალი ისევ ისე წარმოაჩინოს, რომ ჯონსონი გადაწყვეტილების შეცვლაზე დაფიქრდეს.

A ნაკრებში დაქვეითდნენ ასევე **უგო მუნი, მეთიუ ტაიტი, ლუი დიკონი.** ელიტურ გუნდში ვერ მოხვდნენ **ფილ დოუსონი, კრის რობშუ, ტომი რისი, დენ სმიტი, ჩარლი ჰოჯსონი** და **ჯო სიმპსონი.** ამათ მარტინ ჯონსონმა **ჯორჯ ჩატერი, დენ კოული, პაულ დორენ-ჯოუნზი, ენდრიუ ფური, კრის ეშტონი, დევიდ სტრეტლი, მაიკ თინდოლი, დომინიკ ვოლდოუკი** და **ბენ იუნგზი** ამჯობინა.

ბორტვიკის „დრამა" მარტინ ჯონსონმა შემდეგნაირად ახსნა:

„ეს უძნელესი გადაწყვეტილება იყო იმათ შორის, რაც ინგლისის ნაკრების მწვრთნელის რანგში მიმიღია. ბორტვიკმა ბოლო წლებში ნაკრებისთვის ბევრი სასარგებლო გააკეთა. მაგრამ ჩვენ გვინდა, თამაშის ის ხარისხი, რაც ივნისის ტესტებისას გვქონდა, კიდევ უფრო ავამაღლოთ. ეს კი, ვფიქრობთ, იმ მორაგბეების მეშვეობით მოხდება, ვინც სამხრეთ ნახევარსფეროში გამართულ ტურნეში გვახლდა"

**ინგლისის ნაკრები**

**შერკინება: დევიდ ეთვუდი, პაულ დორან-ჯოუნზი (გლოსტერი), ჯორჯ ჩატერი, დენ კოლი, ტომ კროფტი (სამივე-ლესტერი), ნიკ ისტერი (ჰარლიქუინზი), ენდრიუ ფური (ლიდსი), დილან ჰართლი, კორტნი ლავი (ორივე-ნორსჰემპთონი), ჯიმი ჰესკელი, ტომ პელმერი (ორივე-სტად ფრანსე), ლუის მუდი, დევიდ ვილსონი (ორივე-ბასი), ტიმ პაინი, საიმონ შოუ, ჯო ვორსლი (სამივე-ვოსფსი), ენდრიუ შერიდანი (სეილ შარქსი), სტივ ტომსონი (ლიდსი),**

**უკანა ხაზი: დელონ ერმითიჯი (ლონდონ აირიში), კრის ეშტონი , ბენ ფოდენი (ორივე-ნორსჰემპთონი), მეთ ბანაჰანი, შონთაი ჰაპი (ბასი), დენ კარი (ჰარლიქუინზი), მარკ კეიტო (სეილ შარქსი), ტობი ფლუდი, ბენ იუნგზი (ორივე-ლესტერ ტაიგერზი), რიკი ფლუტი, დომინიკ ვალდოკი (ორივე-ვოსფსი), ჯონი ვილკინსონი (ტულონი), მაიკ თინდოლი (გლოსტერი), დევიდ სტრიტლი (სარასენზი).**

# ბოკე-ოლ ბლექსი სოკერ სიტიზე?

სამხრეთ აფრიკის ნაკრები აგვისტოში სამი ერის გათამაშების საშინაო შეხვედრას, სავარაუდოდ, სოვეტოში, „სოკერ სიტიზე" გამართავს, სადაც 11 ივლისს ფეხბურთში მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური მატჩი ჩატარდება.

სიმბოლურია, რომ ეს ქალაქი აპარტეიდთან მჭიდრო კავშირშია, მაშინ როცა რაგბი დღემდე თეთრკანიანების სახეობად ითვლება. თავად განსაჯეთ, სამხრეთ აფრიკის ზოგიერთ რეგიონში, იქ, სადაც შავკანიანები ცხოვრობენ, დღესაც ახალი ზელანდიის ნაკრებს ქომაგობენ, როცა „ბოკე" „ოლ ბლექსს" ეთამაშება.

სამხრეთ აფრიკის რაგბის კავშირის ხელმძღვანელები სერიოზულად დაფიქრდნენ, რამდენად მიზანშეწონილია შავკანიანებით დასახლებულ ქალაქში, სადაც „ბოკეს" არავინ ქომაგობს, ახალ ზელანდიასთან მატჩის დანიშვნა.

„ოლ ბლექსის" მწვრთნელი **გრემ ჰენრი** ამ ფაქტით აღფრთოვანებას ვერ მალავს. „ეს ფანტასტიკური იქნება - ითამაშო სტადიონზე, რომელიც 97 ათას მაყურებელს იტევს. მოუთმენლად ველი ამ მატჩის დღეს," - თქვა მან. არადა, ადვილი შესაძლებელია, სამხრეთაფრიკელებმა თამაშის გამართვის ადგილი შეცვალონ.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**



www.sport.gov.ge

ველოსპორტი

ტურ დე ფრანსი 2010

# ლენსის ბოლო ლაშქრობა

2010 წელს პლანეტის ყველაზე პრესტიჟული ველორბოლა - ტურ დე ფრანსი უკანასკნელი იქნება ტურის შვიდგზის ჩემპიონ **ლენს არმსტრონგის** კარიერაში. 38 წლის ლეგენდარული ველომრბოლი, რომელმაც თავის დროზე არა მარტო კონკურენტები, არამედ კიბოც დაამარცხა, მეტად ოპტიმისტურად არის განწყობილი. ამასთან, ლენსი ალიარებს, რომ მომავალი ტურ დე ფრანსის ფავორიტად თანამედროვე ველოსპორტის მეორე ვარსკვლავი - ესპანელი **ალბერტო კონტადორი** უნდა მივიჩნიოთ. ყველა კითხვას მალე გაეცემა პასუხი - 2010 წლის ტურ დე ფრანსი ხვალ როტერდამში დაიწყება.

რა თქმა უნდა, ბოლო დროს არმსტრონგის მიმართ განსაკუთრებული ყურადღებაა მიპყრობილი. ველოსპორტის სამყარო ლეგენდარული სპორტმენის ყოველ ფრაზას აანალიზებს, მაგრამ ხშირად დაბნეული რჩება. ტურ დე ფრანსზე საკუთარი პერსპექტივების შესახებ ლენსი ურთიერთგამომრიცხავ განცხადებებს აკეთებს - ხან ამბობს, რომ ბრწყინვალე ფიზიკურ ფორმაში იმყოფება, საფრანგეთში სამ ბრწყინვალე კვირას ელის და გამარჯვებისთვის ბრძოლას აპირებს, ხანაც ასაკზე წუწუნებს და კონკურენტებს აქებს.

მაგრამ ვინც არმსტრონგის „შემოქმედებას" იცნობს, კარგად იცის - „ბებერი" და „დაღლილი" ლენსი საკუთარ თავზე ასეთ ხმებს სპეციალურად ავრცელებს, რათა კონტადორისა და სხვა ფავორიტების ყურადღება მოადუნოს. ტურის შვიდგზის ჩემპიონს თვალთმაქცობაც კარგად ეხერხება და ყველაზე მნიშვნელოვან მომენტში სპორტული ფორმის პიკზე გასვლაც. ხოლო ის, რომ ფორმის პიკთან ახლოს იმყოფება, ცოტა ხნის წინ შვეიცარიის ტურზე დადასტურდა, სადაც ტეხასელმა მეორე ადგილი დაიკავა და მხოლოდ ლუქსემბურგელ **ფრანკ შლეკს** ჩამორჩა.

■ ■ ■

ამასთან, არმსტრონგმა ამ დღეებში განაცხადა, რომ ტურ დე ფრანსზე უკანასკნელად გამოვა. ხოლო სპორტიდან წაგებული წასვლა მის წესებში არ შედის. განსაკუთრებით იმ შეურაცხმყოფელი განცხადებების შემდეგ, რომელიც ლენსის ყოფილმა თანაგუნდელმა და თანამემამულე **ფლოიდ ლენდისმა** არმსტრონგის მისამართით გააკეთა.

ლენდისმა ტურ დე ფრანსი 2006 წელს მოიგო, მაგრამ მალე ჩემპიონის ტიტული ჩაგდებული დოპინგტესტის გამო ჩამოართვეს. ფლოიდი ყველაფერს უარყოფდა, დიდხანს იცავდა თავის პატიოსან სახელს სასამართლოში, მაგრამ მაისის ბოლოს მოულოდნელად სენსაციური აღიარება გააკეთა - სისტემატურად ვიღებდი აკრძალულ პრეპარატებსო და იქვე დაამატა, რომ სისხლის დოპინგისა და სტეროიდების მიღება სწორედ ძველმა მეგობარმა არმსტრონგმა და გუნდის მენეჯერმა **იოჰან ბრიუნელმა** ასწავლეს.



რა თქმა უნდა, არმსტრონგმა და ბრიუნელმა ბრალი არ აღიარეს და ლენდისი ტყუილში დაადანაშაულეს, თუმცა სკანდალი მაინც აგორდა - ამერიკის იუსტიციის სამინისტრომ ახალი სადოპინგო გამოძიება დაიწყო. 2010 წლის ტურ დე ფრანსზე დოპინგთან ბრძოლის უპრეცედენტო ზომები იქნება მიღებული და ასეთ პირობებში გამარჯვება საუკეთესო პასუხი იქნება ლენდისის მსგავსი არაკეთილისმსურველისთვის.

■ ■ ■

ტეხასელი ტურ დე ფრანსზე 1999-2005 წლებში იმარჯვებდა, რის შემდეგაც ველოსპორტს გამოემშვიდობა. მაშინ ყველა ეგონა - სამუდამოდ. მაგრამ პაუზა მხოლოდ სამ-ნახევარი წელიწადი გაგრძელდა. 2009 წლის დასაწყისში ლენსმა ბრიუნელის ხელმძღვანელობით ყაზახურ ველოსაჯინიბო „ასტანაში" განაახლა კარიერა. იმის გამო, რომ ამ გუნდში მთავარი ტურების (ტურ დე ფრანსი, ჯირო დ'იტალია, ვუელტა) გამარჯვებული კონტადორი გამოდიოდა, „ასტანაში" შიდაგუნდური დუელი გარდაუვალი იყო. და ეს დუელი სწორედ შარშანდელ ტურ დე ფრანსზე შედგა.

ურთიერთდახმარებაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. ქაღალდზე პარტნიორები ტრასაზე დაუძინებელი მტრები გახდნენ. შედეგად, საკმაოდ სკანდალურ სიტუაციაში ესპანელი შარშანდელი ტურის გამარჯვებული გახდა, არმსტრონგმა კი საერთო ჩათვლაში მესამე ადგილი დაიკავა.

ამის შემდეგ ლენსმა, ბრიუნელმა და კიდევ რამდენიმე ცნობილმა ველომრბოლმა „ასტანას" დატოვება და საკუთარი ველოსაჯინიბოს შექმნა გადაწყვიტეს, რომელსაც „რადიოშეკი" დაერქვა. ცხადია, რომ წლევანდელ ტურზე არმსტრონგი უძლიერესი გუნდის ულაპარაკო კაპიტანი იქნება. მას ისეთი დონის ვარსკვლავები დაეხმარებიან, როგორებიც არიან გასული წლებში ტურის პრიზიორები - გერმანელი **ანდრეას კლოდენი** და ამერიკელი **ლევი ლაიპჰაიმერი**, აგრეთვე ტურ დე ფრანსის რეპეტიციის - „კრიტერიუმ დოფინეს" გამარჯვებული, სლოვენიელი **იანეც ბრაიკოვიჩი**. ეს ბიჭები თავიანთ ბოსს არ დაალალატებენ და საკუთარ თავზე მხოლოდ მაშინ იზრუნებენ, როცა ლენსს რაიმე პრობლემა შეექმნება.

რაც შეეხება კონკურენტებს, კონტადორის გარდა, ესენი არიან: ჯირო დ'იტალიას ჩემპიონი **ივან ბასო**, ავსტრალიელი **კეიდელ ევანსი**, ლუქსემბურგელი ძმები - **ანდი** და **ფრანკ შლეკები**, ესპანელი **კარლოს სასტრე**...

გოლფი



# გაყრა დასრულებულია

ლეგენდარული ამერიკელი გოლფისტის **ტაიგერ ვუდსისა** და მისი მეუღლის **ელინ ნორდეგრენის** განქორწინების პროცესი დასასრულს მიუახლოვდა. ვუდსსა და მის ცოლს შორის ხელმოწერილი შეთანხმების თანახმად, ელინი 750 მილიონ დოლარს მიიღებს. ამის სანაცვლოდ, ტაიგერმა ყოფილ მეუღლეს პირობა ჩამოართვა - ყოფილი ტოპმოდელი საზოგადოების წინაშე საჯაროდ არასოდეს განიხილავს თავისი მეუღლის ღალატის ფაქტებს, რომელთა რიცხვმაც ოცს მიაღწია. ნორდეგრენს ცხოვრების ბოლომდე აკრძალული აქვს ამ თემაზე ინტერვიუების მიცემა ან საკუთარ ავტობიოგრაფიაში ფაქტების მოხსენიება - წინააღმდეგ შემთხვევაში, ელინს მთელი თანხის დაბრუნება მოუწევს.

შეთანხმების თანახმად, ვალდებულება ვუდსსაც გააჩნია: ის გარანტიას იძლევა, რომ თავის შვილებთან - 3 წლის გოგონასთან და ერთი წლის ვაჟთან ურთიერთობისას, ბავშვებს გაუთხოვარი ქალბატონები არ მიუახლოვდებიან. სავარაუდოდ, განქორწინების პროცესი ერთი კვირის განმავლობაში დასრულდება.

*„ელინი აპირებს დაიცვას ბავშვები თავისი ყოფილი ქმრის სკანდალური ცხოვრებისგან. ვუდსის ყველაზე დიდი თავსატეხი კი შემდეგში მდგომარეობს - მას არ სურს განქორწინების შემდეგ ელინი მოუყვეს საზოგადოებას მათი თანაცხოვრების შესახებ. გოლფისტმა ხომ ახლახან აღიდგინა შელახული რეპუტაცია?! ტაიგერს ამისი ყველაზე მეტად ეშინია"*, - ამბობს წყვილთან დაახლოებული ერთ-ერთი პიროვნება.

ფულის გარდა, ყოფილმა მეუღლეებმა უძრავი ქონებაც გაიყვეს. მისის ვუდსს ერგო სახლი ფლორიდაში, კერძოდ, უინდერმირში, აგრეთვე ბინა და სახლი შვედეთში. ტაიგერს დარჩა ახალი სახლი ფლორიდაში (იუპიტერ აილენდზე) და ბინა ლოს ანჯელესში.

ფორმულა 1

# რა ხდება პილოტთა ბაზარზე?

ბრიტანელი ექსპერტი **ჯო სავარი** ფორმულა 1-ში საკადრო სიტუაციას აანალიზებს, რომელიც სეზონის შუაში შეიქმნა:

*„ამ დროისთვის ჩვეული საკადრო თამაშები უკვე იწყება და ფორმულა 1-ის საუკეთესო ტრადიციების მიხედვით, არაერთი ჭორი ვრცელდება ვარსკვლავური პილოტების მიერ გუნდების სავარაუდო შეცვლის შესახებ.*

*უკვე ცნობილია, რომ „რედ ბული", „ფერარი" და „მაკლარენი" შეინარჩუნებენ თავიანთ შემადგენლობებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ლაპარაკია იმ დარჩენილ პილოტებზე, რომლებსაც ჩვენ საუკეთესოთა რიგს მივაკუთვნებთ: ვგულისხმობ „მერსედეს გრან-პრის" მრბოლელებსა და რობერტ კუბიცას.*

*წელს „რენოს" ბოლიდით პოლონელი ნამდვილ სასწაულებს ახდენს და ყველა დანარჩენ პილოტზე ნაკლებ შეცდომებს უშვებს. თუ „მერსედესში" ადგილი გათავისუფლდა, ის ამ ვაკანსიის დაკავების სავსებით ცხადი პრეტენდენტი გახდება. თუმცა მთავარი საკითხი შემდეგში მდგომარეობს: საერთოდ რა ხდება გერმანულ გუნდში, უფრო ზუსტად, რა ხდება მიხაელ შუმახერის თავს?*

*მისი გამოსვლა წელს სხვადასხვაგვარად ფასდება, ლაპარაკობენ, რომ „წითელი ბარონის" დაბრუნება შეიძლება წარმატებულად ჩაითვალოს, მაგრამ ციფრებს ვერსად გავექცევით: ადამიანმა, რომლისთვისაც ადრე ფორმულა 1-ში შეუძლებელი არაფერი იყო, ჯერჯერობით მხოლოდ 34 ქულა დააგროვა, იმ დროს, როცა მის თანაგუნდელ ნიკო როსბერგს აქტივში 75 ქულა აქვს.*

*არავის ეპარება ეჭვი იმაში, რომ გუნდი ყოველმხრივ მხარს დაუჭერს გერმანელ პილოტს. სხვათა შორის, ბევრს უცნაურად ეჩვენება ის ფაქტი, რომ „მერსედეს გრან-პრიში" უფრო მიხაელს ევლებიან თავს, ვიდრე ნიკო როსბერგს, რის გამოც ეს უკანასკნელი, ალბათ, განაწყენებული უნდა იყოს.*

*გუნდში ერთგვარად დაძაბული სიტუაციაა, თუმცა შეუიარაღებელი თვალით ეს ნაკლებად ჩანს. როსბერგმა უკვე საჯაროდ გამოხატა უკმაყოფილება ბოლიდის მდგომარეობის გამო. ნიკოს აზრით, დღევანდელი მანქანა - „ბრაუნ გრან-პრის" მემკვიდრეა და წელს მისი მოდერნიზება არასაკმარისად აქტიურად მიმდინარეობს. ამავდროულად, გუნდის შეფობა აცხადებს, რომ სიტუაცია კონტროლს ექვემდებარება. სხვათა შორის, ამბობენ, რომ მიხაელს გარკვეული ვალდებულებები აქვს „ფერარისთან", რომლის ვადები ჯერ არ ამოწურულა...*

*ცხადია, რომ „ფერარი" მიხაელისთვის არაფრის შეთავაზებას აპირებს, მაგრამ ბაზარზე პილოტთა სიტუაცია მათი კონტრაქტების სხვადასხვა პუნქტებზეა დამოკიდებული. თუმცა, როგორც კი მთავარი მომენტები გაირკვევა, მოვლენები, ალბათ, უფრო სწრაფი ტემპით განვითარდება. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ კუბიცა „რენოში" კიდევ ერთი წლით დარჩება, ხოლო ყველა მოლაპარაკება, რომელსაც ის ახლა აწარმოებს, 2012 წელს უკავშირდება. ის თავიდან დააკვირდება, როგორ განვითარდება მოვლენები ტოპგუნდებში და რა პროგრესი ექნებათ „რენოსა" და „მერსედეს გრან-პრის".*



*კიდევ ერთი გუნდი, რომლისკენაც არის მიპყრობილი ყურადღება - ესაა „ფორს ინდია", რადგან გერმანელი ადრიან სუტილის კონტრაქტი ამ წლის ბოლოს იწურება. ამ პილოტმა მიმდინარე სეზონში რამდენიმე შთამბეჭდავი რბოლა გამართა. ადრიანის მდგომარეობა მაინც რისკიანი რჩება, მაგრამ მის ოსტატობაში ეჭვი არავის ეპარება და რაც მთავარია, სუტილი იშვიათად ეხვევა უსიამოვნო სიტუაციებში.*

*ვიტანტონიო ლიუცი დარჩება გუნდში 2011 წელს და ალბათ, სუტილიც - თუ „რენოში" არ გაჩნდება ვაკანსია კუბიცას ან ვიტალი პეტროვის წასვლის შემთხვევაში.*

*„უილიამსიც" სავარაუდოდ შეინარჩუნებს მომავალი წლისთვის შემადგენლობას და ახლა მიდის ლაპარაკი იმაზე, რომ გუნდი არც ძრავების მიმწოდებელ კომპანიას შეცვლის და ისევ „კოსუორტის" ტექნიკას გამოიყენებს. ეს კომპანია იმის გარანტიას იძლევა, რომ მისი ძრავები კიდევ უფრო უკეთესი იქნება, მაგრამ ბევრის აზრია, რომ „უილიამსისთვის" უკეთესი იქნებოდა „რენოსთან" თანამშრომლობა".*

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

კალათბურთი

# ჯექსონი ისევ ლეიკერსის მწვრთნელია

## კლივლენდში ლებრონის შესანარჩუნებელი აქცია მოეწყო

„ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ მთავარმა მწვრთნელმა **ფილ ჯექსონმა** კიდევ ერთი წლით გადაწყვიტა ლიგაში დარჩენა და ბოლო ორი წლის ჩემპიონის განვრთნა. ამით შესახებ ლეგენდარულმა სპეციალისტმა თავად აცნობა თავის შეგირდებს.

*„ჩემი იმედი გქონდეთ. რამდენიმეკვირიანი ფიქრის შემდეგ დადგა დრო, გამოწვევა მივიღო და გუნდი შევკრიბო, რომელიც შეძლებს 2010-11 წლების სეზონში ტიტულის დაცვას. ეს ჩემი ბოლო და ყველაზე დიადი გმირობა იქნება“*, - ამბობს მოთამაშეებისადმი მიმართვაში ფილ ჯექსონი.

აქამდე კალიფორნიელთა დამრიგებელი ამბობდა, რომ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულმა პრობლემებმა, შესაძლოა, მომავალ წელს დაბრუნებაში შეუშალოს ხელი. გარდა ამისა, კლუბის ხელმძღვანელობა მისთვის ხელფასის შემცირებას აპირებდა (გასულ სეზონში ჯექსონმა 12 მილიონი დოლარი გამოიმუშავა).

ფილ ჯექსონი NBA-ის ყველაზე ტიტულოვანი მწვრთნელია - მან „ჩიკაგო“ და „ლეიკერსი“ 11-ჯერ მიიყვანა ჩემპიონობამდე.

■ ■ ■

„ვაშინგტონ უიზარდსის“ ლიდერმა **გილბერტ არენასმა** გადაიფიქრა ახალი სეზონისთვის ნომრის შეცვლა - კალათბურთელს ამ ზაფხულს „ნულიანის“ „ექვსიანით“ შეცვლა უნდოდა. ამის შესახებ ჟურნალისტებს გუნდის ახალმა მფლობელმა **ტედ ლეონსისმა** შეატყობინა.

არენასმა ჯერ კიდევ სტუდენტურ ლიგაში თამაშისას აირჩია „0“ ნომერი. მარტში ატეხილი სკანდალის შემდეგ (არენასს „ვაშინგტონის“ გასახდელში ცეცხლსასროლი იარაღი უპოვეს), გილბერტმა ახალ ნომრად „ექვსიანის“ აღება გადაწყვიტა. მაგრამ როგორც ახლა ირკვევა, ახალ სეზონში „უიზარდსის“ ლიდერი ძველი ნომრით ითამაშებს.

■ ■ ■

„კლივლენდ კავალიერზის“ გულშემატკივრებმა გუშინ გრანდიოზული აქცია მოაწყვეს. ამით ისინი გუნდის მთავარი ვარსკვლავის - **ლებრონ ჯეიმსის** კლუბში დატოვებას შეეცადნენ.

აქცია ტრადიციული კონცერტის რანგში გაიმართა, რომელიც ამერიკის დამოუკიდებლობის დღეს ეძღვნებოდა. „კლივლენდის“ ფანები თავსზემოთ სწევდნენ პლაკატებს წარწერით - „სახლი“ (Home), რითაც ჯეიმსს თავისი გუნდის მიმართ ერთგულებისკენ მოუწოდებდნენ. კალათბურთელი „კლივლენდში“ NBA-ში კარიერის დაწყების (2003) დღიდან თამაშობს.

გარდა ნახსენები პლაკატისა, გულშემატკივრებს სხვა პოსტერებიც ჰქონდათ, რომლებზეც შემდეგი სიტყვები ეწერა: „ოჯახი“, „გუნდი“, „დანიშნულება“...

აქცია NBA-ში თავისუფალი აგენტების ბაზრის გახსნას დაემთხვა. ლებრონი სხვა გუნდებთან აწარმოებს მოლაპარაკებებს. კალათბურთელის თქმით, ის ძალიან აფასებს თავის „მშობლიურ“ გუნდს, მაგრამ აწუხებს ის, რომ „კლივლენდთან“ ერთად ჯერ ვერ გახდა NBA-ის ჩემპიონი.

წელს „კავალიერზი“ პლეი ოფის მეოთხედფინალიდან გამოეთიშა ბრძოლას - სერია „ბოსტონ სელტიქსთან“ წააგო. სულ ლებრონს „კლივლენდის“ რიგებში 548 მატჩი აქვს ჩატარებული და ის კლუბის ლიდერია მოპოვებული ქულების რაოდენობით.

■ ■ ■

კიდევ რამდენიმე ინფორმაცია, რომელიც ლიგის სავარაუდო ტრანსფერებს შეეხება. „ნიუ იორკ ნიქსის“ გენერალური მენეჯერი **დონი უოლში** რამდენიმე ფრონტზე მუშაობს შემადგენლობის გასაძლიერებლად.

გაზეთ „ნიუ იორკ პოსტის“ ინფორმაციით, კლუბი ამჟამად ეძებს სნაიპერს, რომელიც მომავალ სეზონში მთავარ მწვრთნელ **მაიკ დ'ანტონის** გამოადგება. ამ მიზნით მოლაპარაკებები მიმდინარეობს **კაილ კორვერთან, რეი ალენთან** და **მაიკ მილერთან**.

■ ■ ■

„შარლოტ ბობკეტსის“ ცენტრმა **ტაისონ ჩენდლერმა** თავის ამჟამინდელ კლუბში დარჩენა გადაწყვიტა. კალათბურთელს მოქმედი კონტრაქტით კიდევ ერთი წელი აკავშირებს „შარლოტთან“ და გაისად ის 12.7 მილიონ დოლარს მიიღებს.

ჩენდლერის ეს გადაწყვეტილება ხელს შეუშლის „ბობკეტს“ ამ ზაფხულს ძლიერი თავისუფალი აგენტების გაფორმებაში. კლუბის მფლობელმა **მაიკლ ჯორდანმა** განაცხადა, რომ „შარლოტი“ არ აპირებს სახელფასო ბიუჯეტის მაქსიმალური ზღვარის დარღვევას. გუნდს ასევე გადასაწყვეტი აქვს - დაიტოვოს თუ არა მომავალი სეზონისთვის გამთამაშებელი **რაიმონდ ფელტონი**, რომელიც შეუზღუდავი თავისუფალი აგენტი გახდა.

■ ■ ■

„დენვერ ნაგეტსის“ ხელმძღვანელობამ, შესაძლოა, სხვა კლუბში გაცვალოს თავისი მთავარი ვარსკვლავი **კარმელო ენტონი**. როგორც გაზეთი „დენვერ პოსტი“ წერს, კლუბი ამ ნაბიჯს შეგნებულად დგამს, რათა არ დაუშვას მომავალ ზაფხულზე ენტონის თავისუფალი აგენტების ბაზარზე გასვლა. ამ შემთხვევაში, „დენვერმა“, შესაძლოა, კარმელო ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე დაკარგოს.

მომავალ სეზონში ენტონი 17 მილიონ დოლარს გამოიმუშავებს. „ნაგეტსი“ კალათბურთელს 2015 წლამდე კონტრაქტის გაგრძელებას სთავაზობს, რაც კლუბს 65 მილიონი დოლარი დაუჯდება. კალათბურთელისგან უარის შემთხვევაში, გუნდი კარმელოს გაცვლას ეცდება.

გასულ სეზონში ენტონის სტატისტიკური მაჩვენებლები იყო - 28.2 ქულა, 6,7 მოხსნა და 3.2 პასი.




ჰოკეი

NHL

# დიდი ვაჭრობა დაიწყო

ჰოკეის ეროვნულ ლიგაში სატრანსფერო ბაზარი გაიხსნა და პირველივე დღეს ძალიან ბევრი საინტერესო ტრანსფერი განხორციელდა. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარიგება „ოტავა სენატორზმა“ დადო, რომელმაც ვეტერანი რუსი მცველი **სერგეი გონჩარი** გადაიბირა. ლიგის ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი მცველი „პიტსბურგ პინგვინზში“ თამაშობდა.

გონჩარმა კანადურ კლუბთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა, რომლის მიხედვითაც სეზონში 5.5 მილიონ დოლარს გამოიმუშავებს - 500 ათასით მეტს, ვიდრე „პიტსბურგში“ იღებდა. ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პუნქტია ის, რომ მომავალ სამ სეზონში „ოტავას“ ეკრძალება რუსი ჰოკეისტის სხვა გუნდში გაცვლა.

აქვე გთავაზობთ სატრანსფერო ბაზრის პირველ დღეს განხორციელებული ყველაზე საინტერესო ტრანსფერების სიას:

| ჰოკეისტი | ყოფილი კლუბი | ახალი კლუბი |
|---|---|---|
| მარტინ ბირონი (მეკ) | აილენდერსი | რეინჯერსი |
| სერგეი გონჩარი (მცვ) | პიტსბურგი | ოტავა |
| ალექს ტანგი (თავ) | ტამპა ბეი | კალგარი |
| შონ ო'დონელი (მცვ) | ლოს ანჯელესი | ფილადელფია |
| ანდრეი მეზაროში (მცვ) | ტამპა ბეი | ფილადელფია |
| ზბინეკ მიხალეკი (მცვ) | ფინიქსი | პიტსბურგი |
| ანტერო ნიიტიმიაკი (მეკ) | ტამპა ბეი | სან ხოსე |
| კოლბი არმტსრონგი (თავ) | ატლანტა | ტორონტო |
| მენი მალორტა (თავ) | სან ხოსე | ვანკუვერი |
| პოლ მარტინი (მცვ) | ნიუ ჯერსი | პიტსბურგი |
| ტონი ლიდმანი (მცვ) | ბაფალო | ანაჰაიმი |
| რეი უიტნი (თავ) | კაროლინა | ფინიქსი |
| ჰენრიკ ტალინდერი (მცვ) | ბაფალო | ნიუ ჯერსი |
| ანტონ ვოლჩენკოვი (მცვ) | ოტავა | ნიუ ჯერსი |
| დენ ჰამჰუისი (მცვ) | პიტსბურგი | ვანკუვერი |
| ოლი იოკინენი (თავ) | რეინჯერსი | კალგარი |
| კრის მეისონი (მეკ) | სენტ ლუისი | ატლანტა |
| ჯორდან ლეოპოლდი (მცვ) | პიტსბურგი | ბაფალო |
| ჯეფ ტამბელინი (თავ) | აილენდერსი | ვანკუვერი |
| იოჰან ჰედბერგი (მეკ) | ატლანტა | ნიუ ჯერსი |
| ადამ ბარიში (თავ) | ჩიკაგო | დალასი |
| მეტ კალენი (თავ) | ოტავა | მინესოტა |
| ენდრიუ რეიკროფტი (მეკ) | ვანკუვერი | დალასი |
| ერიკ ნისტრიომი (თავ) | კალგარი | მინესოტა |

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **შვედეთის თასი** | |
| იონჩოპინგი-ერებრო | 0:2 |
| **ფინეთი** | |
| ვაასა-ოულუ | 2:0 |
| **ირლანდია** | |
| ბოჰემიანსი-სპორტინგი | 1:1 |
| დროგედა-უნივერსიტი | 1:0 |
| სლიგო-შემროკი | 1:2 |
| სტ. პატსი-გალვეი | 4:2 |
| **II დივიზიონი** | |
| ლიმერიკი-უოტერფორდი | 0:0 |
| მერვუ-დერი | 1:2 |
| მონეგანი-სოლტჰილი | 3:0 |
| შელბურნი-ეთლონი | 6:3 |
| უექსფორდი-ფინ ჰარპსი | 3:0 |
| **ლიტვა** | |
| ბანგა-ეკრანასი | 0:3 |

TV პროგრამა

### 3 ივლისი. შაბათი

**I არხი**

**17:00** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010.
**17:50** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. 1/4 ფინალი. არგენტინა-გერმანია (LIVE).
**21:00** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010.
**22:20** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. 1/4 ფინალი. ესპანეთი-პარაგვაი (LIVE).
**00:30** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010.

**მზე**

**13:00** იმედის ფსონი.

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

**07:30** საერთაშორისო ტურნირი. დინამო (ბუქარესტი)-ლოკომოტივი (მოსკოვი). ავსტრია.
**09:15** საფეხბურთო კლუბი მსოფლიოს ჩემპიონატზე.
**10:05** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. ცსკა-ვოლფსბურგი.
**12:00** საფეხბურთო კლუბი მსოფლიოს ჩემპიონატზე.
**12:45** საერთაშორისო ტურნირი. დინამო (ბუქარესტი)-ლოკომოტივი (მოსკოვი). ავსტრია.
**14:35** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. პორტუ-ჩელსი.
**16:35** საფეხბურთო პროგრამა.
**17:05** საფეხბურთო კლუბი მსოფლიოს ჩემპიონატზე.
**17:50** გასული სეზონის ქრონიკა. იტალიის ჩემპიონატი. იუვენტუსი-რომა.
**19:55** საერთაშორისო ტურნირი. აუსტრია (ვენა)-მაკაბი (ჰაიფა). ავსტრია (LIVE).
**22:00** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. ვოლფსბურგი-მანჩესტერ იუნ.
**23:55** საფეხბურთო პროგრამა.
**00:30** საფეხბურთო კლუბი მსოფლიოს ჩემპიონატზე.
**01:15** პლაჟის ფეხბურთი. რუსეთის თასი.
**04:00** საერთაშორისო ტურნირი. აუსტრია (ვენა)-მაკაბი (ჰაიფა). ავსტრია.
**05:45** გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ვილიარეალი.

**EUROSPORT**

**11:00** ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. ტელეჟურნალი.
**11:30** ველოსპორტი. პლანეტა არმსტრონგი. ტელეჟურნალი.
**12:00** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. 2009 წლის საუკეთესო მომენტები.
**12:30** ნიჩბოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. I დღე. ესპანეთი (LIVE).
**14:30** მულტისპორტი.
**14:45** ავტოსპორტი. „რენოს“ მსოფლიო სერია. I რბოლა. ბუდაპეშტი. უნგრეთი (LIVE).
**16:00** ავტოსპორტი. ფორმულა 2. I რბოლა. პორტიმანი. პორტუგალია (LIVE).
**17:00** ველოსპორტი. პლანეტა არმსტრონგი. ტელეჟურნალი.
**17:30** ახალი ამბები.
**17:35** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
**17:45** ნიჩბოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. I დღე. ესპანეთი.
**19:00** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. 2009 წლის საუკეთესო მომენტები.
**19:30** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. პროლოგი (LIVE).
**22:00** ახალი ამბები.
**22:05** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
**22:15** პროფესიული კრივი.
**00:30** ახალი ამბები.
**00:35** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
**01:10** ახალი ამბები.
**01:15** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. მიმოხილვა.
**02:10** ველოსპორტი. პლანეტა არმსტრონგი. ტელეჟურნალი.
**02:15** ბრძოლა წესების გარეშე.
**03:00** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.

### 4 ივლისი. კვირა

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

**07:30** გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-მანჩესტერ იუნ.
**09:15** საფეხბურთო კლუბი მსოფლიოს ჩემპიონატზე.
**10:05** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. მილანი-მარსელი.
**12:00** საერთაშორისო ტურნირი. აუსტრია (ვენა)-მაკაბი (ჰაიფა). ავსტრია.
**13:50** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. ვოლფსბურგი-მანჩესტერ იუნ.
**15:45** უკრაინის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა.
**16:45** პლაჟის ფეხბურთი. რუსეთის თასი (LIVE).
**20:00** საფეხბურთო კლუბი მსოფლიოს ჩემპიონატზე.
**20:45** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. ბეშიქთაში-ცსკა.
**22:35** გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-არსენალი.
**01:10** პლაჟის ფეხბურთი. რუსეთის თასი.
**04:00** გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-დორტმუნდი.
**05:45** საერთაშორისო ტურნირი. დინამო (ბუქარესტი)-ლოკომოტივი (მოსკოვი). ავსტრია.

**EUROSPORT**

**10:30** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
**11:00** ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. კვალიფიკაცია. პორტიმანი. პორტუგალია.
**11:30** ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. გასახურებელი წრე. პორტიმანი. პორტუგალია.
**12:00** ნიჩბოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. II დღე. ესპანეთი.
**13:30** მულტისპორტი.
**13:45** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. I ეტაპი. როტერდამი-ბრიუსელი (LIVE).
**14:45** ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. პორტიმანი. პორტუგალია (LIVE).
**15:45** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. I ეტაპი. როტერდამი-ბრიუსელი (LIVE).
**19:30** ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. პორტიმანი. პორტუგალია (LIVE).
**20:30** ავტოსპორტი. „რენოს“ მსოფლიო სერია. II რბოლა. ბუდაპეშტი. უნგრეთი.
**21:00** ავტომოტოსპორტი. უიქ ენდის მიმოხილვა.
**21:15** ნიჩბოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. II დღე. ესპანეთი.
**22:00** ახალი ამბები.
**22:05** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
**22:40** ახალი ამბები.
**22:45** ცხენოსნობა. ტურნირი Global Champions. ეშტორილი. პორტუგალია.
**00:00** პლაჟის ფეხბურთი. ევროლიგა. შესარჩევი ეტაპი. იტალია-საფრანგეთი. იტალია.
**00:30** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
**01:00** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. მიმოხილვა.
**01:55** ახალი ამბები.
**02:00** ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. პორტიმანი. პორტუგალია.
**02:45** ავტომოტოსპორტი. უიქ ენდის მიმოხილვა.
**03:00** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.

# პირველად ლენდლის შემდეგ

ჩეხურ ჩოგბურთს ივან ლენდლის შემდეგ ახალი გმირი გამოუჩნდა. 1987 წლიდან მოყოლებული, პირველად ამ ქვეყანას უიმბლდონის ფინალში თავისი წარმომადგენელი ეყოლება - ეს გახლავთ **ტომაშ ბერდიხი**, რომელიც წლევანდელი ტურნირის ერთ-ერთ მთავარ გმირად უნდა მოინათლოს. ჩეხმა **როჯერ ფედერერის** დამარცხების შემდეგ, ნახევარფინალში სამ სეტში მოუგო სერბ **ნოვაკ ჯოკოვიჩს.**

ბერდიხს აქამდე ორი შეხვედრა ჰქონდა ჩატარებული სერბის წინააღმდეგ და ორივე მატჩი „მშრალი" ანგარიშით წააგო. სწორედ ამის გამო, აგრეთვე წინა მატჩებში ჯოკოვიჩის დამაჯერებელი თამაშის გათვალისწინებით, ფავორიტად ნოვაკს ასახელებენ, თანაც, ბერდიხი ერთადერთი წარმომადგენელი იყო ნახევარფინალში, რომელსაც ბალახის კორტზე არც ერთი ტურნირი არ ჰქონდა მოგებული. თუმცა ბერდიხმა დაამტკიცა, რომ წინა წრეში ფედერერის ძლევა შემთხვევითობა არ ყოფილა.

ამ სეზონში ტომაშის პროგრესი მარტის ბოლოს დაიწყო, როცა ჩეხმა მაიამის მასტერსის ფინალში გააღწია, სადაც ამერიკელ **ენდი როდიკთან** დამარცხდა, ამის შემდეგ იყო როლან გაროსის ნახევარფინალი და ახლა, ბერდიხმა უიმბლდონის ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა.

თანაც ჩეხმა ეს ძალიან დამაჯერებლად გააკეთა. მაგალითად, პირველ სეტში მოგებას მან 33 წუთი მოანდომა. ეს შესაძლებელი გახდა მეექვსე გეიმში აღებული ბრეიკის წყალობით.

მეორე სეტში ბერდიხმა თავად გაუშვა ხელიდან წარმატების მიღწევის იოლი შესაძლებლობა. კერძოდ, 5:5-ზე ჩეხმა მატჩში მეორე ბრეიკი გააკეთა და სეტზე აწვდიდა, მაგრამ ჯოკოვიჩმა ბრეიკით უპასუხა მეტოქეს და პარტია ტაი-ბრეიკში გადაიყვანა. იქ კი სერბმა კინაღამ სასწაული მოახდინა - 2:6-ზე ნოვაკმა ოთხი სეტ-პოინტი მოიგერია, შემდეგ თავად შეეძლო ორჯერ ერთი დარტყმით სეტის მოგება. საბოლოოდ, ეს ლატარია სერბმა ცუდად დაასრულა - ბერდიხის მორიგ სეტ-პოინტზე ორმაგი შეცდომა დაუშვა და პარტია „აჩუქა" მეტოქეს.

სხვათა შორის, მესამე სეტშიც ბერდიხმა ერთადერთი ბრეიკი ჯოკოვიჩის ორმაგი შეცდომის შემდეგ გააკეთა და ანგარიში 5:3 გახდა. დანარჩენი ტექნიკის საქმე იყო - ჩეხმა მატჩზე ჩააწოდა და ფინალის საგზური მოიპოვა.

ჯოკოვიჩი მეორედ გამოეთიშა უიმბლდონს ნახევარფინალური ეტაპიდან. პირველად ეს 2007 წელს მოხდა. სერბმა მატჩის შემდეგ აღიარა, რომ მეტოქემ დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა: *„ვულოცავ ტომაშს. მან შესანიშნავი მატჩი და ტურნირი ჩაატარა. ამ შეხვედრაში ის უკეთესი იყო და ამიტომაც გაიმარჯვა. სამწუხაროდ, ჩემი შესაძლებლობები ვერ გამოვიყენე. ზოგიერთ მომენტში არ მიმართლებდა, ზოგჯერ კი ბერდიხი აშკარად მჯობდა. არ ვცდილობდი შეტევას, მხოლოდ მის შეცდომებს ველოდი. ეს არასწორი ტაქტიკა იყო. სიმართლე რომ გითხრათ, ჩემს მოქმედებებზე ნერვიულობამაც იმოქმედა. შეხვედრის დასაწყისში სწორი რიტმი ვერ ვიპოვე. ჩემი აზრით, თუ ფინალში ბერდიხი ისევე ითამაშებს, როგორც ეს ფედერერისა და ჩემს წინააღმდეგ გააკეთა, მას შეუძლია ტიტულის მოგება".*

დიდ ინტერესს იწვევდა მეორე ნახევარფინალი ბრიტანელ **ენდი მიურეისა** და ესპანელ **რაფაელ ნადალს** შორის, რომელიც თითქმის ისეთივე სცენარით წარიმართა, როგორც ბერდიხისა და ჯოკოვიჩის შეხვედრა. ადგილობრივ გულშემატკივრებს იმედი ჰქონდათ, რომ მათი კერპი შეძლებდა ნავსის გატეხვას და კარიერაში პირველად უიმბლდონის ფინალში გასვლას. თუმცა მიურეის წინააღმდეგ იყო ურთიერთშეხვედრათა სტატისტიკა - ნადალი ამ მატჩამდე 7:3-ს ამარცხებდა ბრიტანელს, ხოლო მათი ერთადერთი შეხვედრა უიმბლდონზე რაფაელმა სამ სეტში მოიგო - 6:3, 6:2, 6:4. ეს ორი წლის წინ მეოთხედფინალში მოხდა.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ გუშინდელ მატჩში ბრძოლა არ ყოფილა. ნადალმა მოულოდნელად სამ სეტში მოუგო მასპინძელს და სამართლიანად გავიდა ფინალში. პირველი პარტია სულ რაღაც 37 წუთს გაგრძელდა. პირველი ბრეიკ-პოინტი მხოლოდ მეცხრე გეიმში დაფიქსირდა - მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა შანსი ხელიდან არ გაუშვა და 5:4 დაწინაურდა, რის შემდეგაც სეტზე დამაჯერებლად ჩააწოდა - 6:4.

მეორე სეტის სტარტზეც მეტოქეები ბრძოლის გარეშე იღებდნენ საკუთარ მოწოდებებს და საქმე ბრეიკ-პოინტებამდე არ მიდიოდა. უფრო ახლო მიზანთან მაინც მიურეი იყო. მაგალითად, მეექვსე გეიმში ნადალმა 40:15 წაიყვანა ანგარიში, მაგრამ კინაღამ დათმო საკუთარი მოწოდება, მერვე გეიმში კი შოტლანდიელმა ორმაგი ბრეიკ-პოინტი მოიპოვა - 15:40, თანაც ეს მისი პირველი ბრეიკ-პოინტები იყო მატჩში. მაგრამ ნადალმა წარმატებით მოიგერია საფრთხე და ანგარიში გაათანაბრა - 4:4.

საბოლოოდ, ურთიერთობის გარკვევა ტაი-ბრეიკზე გაგრძელდა, სადაც მიურეი მინი-ბრეიკით დაწინაურდა - 2:0. მაგრამ ესპანელს დიდხანს არ უფიქრია, მეტოქეს ვალი დაუბრუნა და სტატუს-ქვო აღადგინა - 2:2. თითქოს სეტის ბედი 5:5-ზე გაირკვა, როცა რაფამ მატჩში მეორე ორმაგი შეცდომა დაუშვა და ბრიტანელს სეტბოლი „აჩუქა". თუმცა მიღებაზე ნადალმა აგრესიულად ითამაშა და ბადესთან გასულმა მნიშვნელოვანი ქულა აიღო - 6:6. უფრო მეტიც, შემდეგ გათამაშებაში ესპანელმა ბადესთან გასულ მიურეის შესანიშნავი შემოვლითი დარტყმით უპასუხა, შემდეგ კი მშვიდად დაუსვა წერტილი მეორე სეტს - 7:6(8:6).

მესამე სეტი მოულოდნელად დაიწყო: ნადალმა პირველად მატჩში საკუთარი მოწოდება წააგო, თანაც „მშრალი" ანგარიშით. ესპანელმა მხოლოდ მერვე გეიმში დაიბრუნა დაკარგული ბრეიკი - 4:4, კიდევ ორი გეიმის აღების შემდეგ კი გამარჯვება გაიფორმა და კარიერაში მეოთხედ გავიდა უიმბლდონის ფინალში.

მაშ ასე, კვირას გადამწყვეტ შეხვედრაში ნადალი ტომაშ ბერდიხს შეხვდება. სხვათა შორის, რაფაელი ამ ჩოგბურთელთან ურთიერთშეხვედრებშიც 7:3-ს იგებს. მათი ბოლო მატჩი მიმდინარე სეზონში, ინდიან უელსის მასტერსის მეოთხედფინალში შედგა, რომელიც ესპანელმა 6:4, 7:6(7:4) მოიგო.

■ ■ ■

აქვე გავეცნოთ ორ საინტერესო ინფორმაციას უიმბლდონთან დაკავშირებით. პირველი დებ **უილიამსებს** შეეხებათ. წყვილთა თანრიგის მეოთხედფინალში დამარცხების შემდეგ, **სერენა** და **ვენუსი** სავალდებულო პრესკონფერენციაზე არ გამოცხადდნენ. ამის გამო თითოეულს 4 ათასი დოლარის ოდენობის ჯარიმა დააკისრეს.

როგორც სააგენტო AP წერს, სერენა უილიამსი შოკირებული დარჩა ამ გადაწყვეტილებით, რადგან მისი სიტყვებით, დასთან ერთად ის იშვიათად ლაპარაკობს ჟურნალისტებთან და გამონაკლისს მხოლოდ ფინალებისთვის უშვებს.

ამასობაში, რუსმა **ანა კურნიკოვამ** და შვეიცარიელმა **მარტინა ჰინგისმა** ზედიზედ მეორე მატჩი მოიგეს უიმბლდონზე ვეტერანებს შორის წყვილთა თანრიგში. ანასა და მარტინას დუეტმა 6:1, 6:4 გაანადგურა ინტერნაციონალური წყვილი ჩეხი **ჰელენა სუკოვასა** და უნგრელი **ანდრეა ტემეშვარის** შემადგენლობით.

ასევე გაიარეს მეორე წრის ბარიერი **მარტინა ნავრატილოვასა** და **იანა ნოვოტნას** (აშშ/ჩეხეთი) დუეტმა.

**კაცები**

**1/2 ფინალი**

**ტომას ბერდიხი (ჩეხ. 12)**-ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 3) 6:3, 7:6(9), 6:3; **რაფაელ ნადალი (ესპ, 2)**-ენდი მიურეი (ბრიტ, 4) 6:4, 7:6(6), 6:4.



# ანენი აშშ-ის ღიას გამოტოვებს

ცუდად დასრულდა წლევანდელი უიმბლდონი მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანისთვის - **ჟუსტინ ანენისთვის.** მერვედფინალში თანამემამულე **კიმ კლაისტერსთან** მატჩში მიღებული ტრავმა იმაზე სერიოზული აღმოჩნდა, ვიდრე თავიდან ეგონათ.

ამ დაზიანების გამო ჟუსტინი გამოტოვებს ამერიკული ტურნირების სერიას და ვერც „დიდი სლემის" რიგით მეოთხე ტურნირზე - აშშ-ის ღია პირველობაზე ითამაშებს.

როგორც ბელგიელმა საკუთარ ოფიციალურ ვებგვერდზე დაწერა, ტრავმირებული იდაყვის მკურნალობისთვის ორი თვე დასჭირდება. შეგახსენებთ, რომ ანენმა იდაყვი კლაისტერსთან მატჩის პირველ სეტში დაცემის შემდეგ მიიღო. ის შეხვედრა ჟუსტინმა სამ სეტში დათმო.

ასევე იტყობინებიან, რომ ანენი არ ითამაშებს კლაისტერსის წინააღმდეგ საგამოფენო მატჩში, რომელიც 8 ივლისს ბრიუსელში უნდა გამართულიყო, თუმცა ჟუსტინმა აცნობა ორგანიზატორებს, რომ საქველმოქმედო ღონისძიებას მაყურებლის სტატუსით აუცილებლად დაესწრება.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა



მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, უროლოგი
ალექსანდრე ხელაია გაგიწევთ
კვალიფიციურ სამედიცინო დახმარებას შემდეგ დაავადებებზე:

- ერექციის დარღვევები
- სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები
- პროსტატიტი, პროსტატის ადენომა
- შარდის შეუკავებლობა
- უშვილობა

მის: თბილისი, M 300 არაგველი, წინანდლის ქ. 9.
უროლოგიის ეროვნული ცენტრი, IV სართული.
69 91 96, 855 30 50 51 www.tqveniurologi.ge

